

№
K 38950
2

რატყიელ ღანიბეკეაშვილი

ეობსაშობა
ინლოეთი



საბჭოთა მწყრალი
19 თბილისი 50.

91 (54)

ფ 200 ა

რეზიუმე დანიშნულების

მომგზავრობა ინფორმაციაში

თარგმნა, წინასიტყვაობა

და


დაბეჭდვანი შენიშვნებითურთ დაურთოთ

ს. იორდანიშვიდმა

ფ.ბ. 2019-12853

10318

მ/ე. K 88950
2



„საბჭოთა მწერალი“
19 თბილისი 50



საქართველოსა და ინდოეთის წარსული ურთიერთობიდან

საქართველოსა და ინდოეთს შორის უშუალო თუ მეშვეობითი ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა უხსოვარ დროიდანვე უნდა არსებებულიყო.

მართალია, ამ ურთიერთობის შესახებ უტყუარი ისტორიული ცნობები მხოლოდ ნაგვიანევი ხანიდან მოგვეპოვება, მაგრამ ერთი რამ უდავოა, სახელდობრ ის, რომ იმ დროს, როდესაც თანამედროვე ევროპა ჯერ კიდევ ნახევრად ველურ ტომებით იყო დასახლებული, ქართულ ზეპირსა და წერილობითს წყაროებს უკვე შემოენახათ ჩვენთვის ცნობები ინდოეთის მმართველთა აურაცხველ სიმდიდრისა და ინდოელ ხელოსანთა მაღალ ოსტატობის შესახებ.

ინდოეთისადმი საქართველოს ცხოველ ინტერესის ასახვის თვალსაზრისით საყურადღებოა ჩვენი „ქართლის ცხოვრების“ ის ნაწილი, რომელიც ჯუანშერ ჯუანშერიანის კალამს მიეწერება, და რომელსაც ასეთი სათაური აქვს: ცხოვრება და მოქალაქეობა ვახტანგ გორგასალისა მეფისა მშობელთა და შემდგომად თვით მის დიდისა და ღწის მოყვარისა მეფისა, რომელი უმეტესად სხვათა სახელგანთქმულად გამოჩნდა ყოველთა მეფეთა ქართლისათა.

თუმცა განსვენებული ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი ჯუანშერის ამ ნაშრომის შესახებ სამართლიანად შენიშნავს, რომ ცხოვრებას ზღაპრული ელფერი ადევს, რომ „მისი ისტორია“ საგმირო სახალხო ნაწარმოებს უფრო ჰგავს, ვიდრე უტყუარს და სანდო საბუთსო, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ამ თუხნადაც საგმირო-სახალხო ნაწარმოებში შემონახულია ის ცნობები და წარმოდგენება, რასაც XI საუკუნის განათლებული ქართული წრეები აკავშირებდნენ ვახტანგ გორგასალის მეფობასა და პიროვნებასთან.

დაინტერესებულ მკითხველისათვის ჩვენ ამ ცნობათა შემოკლებული ამონაწერები დავურთეთ ამ წიგნის დამატების ნაწილს (იხ. გვ. 37 და 38) იმისათვის, რომ გვეჩვენებინა, თუ რა საზღაპრო სიმდიდრის ქვეყნებში მიჰყავს ქართველობა ვახტანგის მეთაურობით ქართველ მემკვიდრეს და რა აურაცხველ ნადავალს ახვეჭინებს ზუმბერაზთა ბრძოლაში გამარჯვებულ ვახტანგს ჯერ ინდოეთსა და შემდეგ სინდეთში.

საყურადღებოა, რომ ინდოეთისადმი გარკვეულ ინტერესს ააშკარავებენ შემდეგი დროის ორიგინალური ქართული თუ ნათარგმნი ლიტერატურული ძეგლები, დაწყებული ე. წ. „სულის მარგებელ“ რომანით „სიბრძნე ბალავარისა“ (რომელიც წარმოადგენს ბუღას ცხოვრების ქართულ დამუშავებას) და გათავებული, მთელს მსოფლიოში განთქმულ ინდურ იგავ-არაკების კრებულ „ჰანჩატანტრას“ („ხუთ წიგნას“) ქართულ სახეობით, რომელსაც ქართველები იცნობენ ვახტანგ VI-სა და სულხან-საბა ორბელიანის კოლექტიურ თარგმანით სპარსულიდან „ქილილა და დამანას“ სახელწოდებით. ქართველების ინდოეთისადმი გარკვეულ ინტერესზე უნდა მიგვითითებდეს ის ვარაუდები, რომ უებრო გმირობისა, სიყვარულის და სილამაზის განმასახიერებელ ნესტან ტარგიელის საწმომლოდ ქართველთა გენიამ ინდოეთი დასახა.

ახლო და შორეულ აღმოსავლეთთან დიდი ხნის კულტურულ-ეკონომიურმა ურთიერთობამ მოწინავე ქართველებში, როგორც ჩანს, გაზარდა ინტერესი აღმოსავლეთ ენებისადმი.

ჩვენამდის მოღწეულ ცნობებით ირკვევა, რომ საშუალო საუკუნოებშივე, ჯერ კიდევ ადრე, სახამ შუა-აზიის იმპერიის დამაარსებელი, მე-14 საუკუნის კაცობრიობის რისხვა, თემურ-ლენგი (1336—1405) მის მიერ დაყენებულ სისხლის ზღვას ჯერ თბილისისა და შემდეგ დელის შენაკადებს შეურთავდა, ქართველები ხშირად დაჰყებოდნენ თანამგზავრებად რომიდან წარმოგზავნილ, ქრისტეს სარწმუნოების მქადაგებელ ძმებს—ბერებს.

საყურადღებო ცნობა შემოგვინახა ფრანჩისკიანების (მინორიტების) ისტორიამ, სადაც მოხსენებულია ერთი გაკათოლიკებული ქართველი დიმიტრი ტფილელი, რომელიც თარჯიმნად გაჰყოლია ინდოეთში რომიდან წარმოგზავნილ მინორიტების წესის ოთხ ძმასა და მათთან ერთად იქ, როგორც იტყოდნენ ძველად, „ქრისტეს სარწმუნოებისათვის სისხლი დაუღვრია და წამების გვირგვინი დაუდგამს.“ აი რას წერს ამის შესახებ ქართველ კათოლიკეთა ცნობილი მოღვაწე მიხაელ თამარაშვილი:

ფრანჩისკიანების ისტორია მისი და მისი ამხანაგების წამებას მოგვითხრობს ესაე: „1321 წ. აპრილის 13, ბზობის წინა ხუთშაბათს, დიდებული წამება მიიღეს მინორიტების წესის ოთხთა სარწმუნოების ბრწყინვალე მხედართა, რომელნიც არიან: ძმა თომა თოღეთი ელელი, ძმა იაკობ პადოელი, ძმა პეტრე სენიელი და მორჩილი ძმა დიმიტრი ტფილელი, ტომით ქართველი. იგი იყო თავისი ძმების თარჯიმნად, რადგან ძრეულ კარგად იცოდა აღმოსავლეთის ენები. ეწამნენ ინდოეთის ქვეყანაში თაჰანსა. მათი მოღვაწეობა

და დიდებული წამება აღწერეს იქვე აღმოსავლეთში და გამოგზავნეს მათისავე გზის ამხანაგებმა დომინიკიანებმა, ძმა იაკობმა, ფრან-ჩისე კიზანელმა და ძმა პეტრე თურელმა“.

სამწუხაროდ, აქ დასახელებულ პირთა წერილები დროს შთაუნთქამს და ჩვენამდე აღარ მოუწვია. ამის გამო ამ დიმიტრი ტფილელის და თუ სხვა მისი დროის ამხანაგებისა, რომელთა შორის შეიძლება, სხვა ქართველებიც ბევრი ყოფილიყვნენ, სხვა აღარაფერი ვიცით.¹

ცხადია, რომ ქართველთა ასეთი მოღვაწეობა მარტო მე-14 საუკუნის დასაწყისით არ დასრულდებოდა და მართლაც იგი უფრო გაძლიერდა კოლონიურ დაპყრობათა ეპოქაში, როცა რომიდან წარმოგზავნილ, ქრისტეს სარწმუნოების გამაერცვლებელ ბერებს ახლო, შუა და შორეულ აღმოსავლეთისაკენ დაედევნენ ეგროპის სხვადასხვა კუთხის მოგზაური გაქრები.

მართლაც, ჩვენ მოგვეპოება კიდევ უფრო საინტერესო ცნობა მე-17 საუკუნის პირველ ნახევრიდან, როცა საქართველოში გათათრებული როსტომ-ხანი იჯდა, ხოლო ინდოეთში დიდი მოლოლი შაჰ-ჯეჰანი (1627—1658).

იმავე მ. თამარაშვილს მოჰყავს ვრცელი ცნობა მეორე ქართველის შესახებ, რომელმაც დიმიტრი ტფილელივით თავისი სიცოცხლე ინდოეთში დაასრულა და პირველმა თუ „წამების გვირგვინი დაიდგა თავს“, მეორემ—გორელმა ძმა ანდრია მ (ერისკაცობაში ნასყიდამ) ისე გაითქვა სახელი ქრისტიანულ ასპარეზზე მოღვაწეობით ინდოეთის ქალაქ გოაში, რომ მას თვით პატრები მიიჩნევდნენ „წმინდახად.“

აი რას მოგვითხრობს იგივე თამარაშვილი ჩვენ მიერ უკვე დასახელებულ ნაშრომში ამ საყურადღებო პიროვნების შესახებ:

«მისიონერები მოგვითხრობენ ერთს ყურადსაღებს ამბავსა, რომელიც მომხდარა 1634 წ.

ერთი ახალგაზრდა ქართველი 15 წლის ვაჟი, გაკათოლიკებული, სახელი ნასყიდალოპამონი, გორში პატრებს ემსახურებოდა. იმან რა ნახა მათი შინაური მონაზონური ცხოვრება, ძრიელ მოეწონა და დააპირა თვითონაც მათთან მონაზონად შედგომა, რათა მათსავით სათნოებით ეცხოვრა. რადგანაც ახალგაზრდა ქალზედ უკვე დანიშნული იყო, მოინდომა მისი გაშვება. ამაზედ მოილაპარაკა პატრებთან და შეატყობინა თავისი დანიშნულის მამას, ჩემს მაგიერ სხვა სასიძო მონაზე შენის ქალისთვის, რადგან საქვეყნო ცხოვრებაზე ხელი უნდა ავიღო.

¹ იხ. მღვდელი მიხაელ თამარაშვილი. Prêtre Michel Tamarašvili. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ნამდვილ საბუთების შემოტანით და განპარტებით XIII საუკუნიდგან ვიდრე XX საუკუნემდე. Histoire du catholicisme en Géorgie avec les documents justificatifs du XIII-e au XX-e siècle. ტფ. 1902, გვ. 28.

ეს ამბავი ძრიელ სამწუხაროდ დაუბრუნა ქალის მამას. ბევრი უბრუნა და ეხვეწა ჩემს ქალს თავს ნუ დაანებებო. ამითი რომ ვერაფერი გააწყო, მიმართა სომხებს, რომლებიც პატრებს მტრობდნენ და უთხრა: თუ დღეს ქართველებს აფრანგებენ, ხვალ სომხებსაც ამასვე უზმენო. მაშინვე მას ბლომად შეუერთდნენ სომხები, ძალით გამოიყვანეს პატრების სახლიდან ნასყიდა და ცემა-ტყეპით მიიყვანეს გორის ციხის უფროსთან, რომელიც იყო მაჰმადიანი. ამასთან რომ ვერაფერი გააწყეს, წაიყვანეს ტფილისს, დაასმინეს არა მარტო კათალიკოსს, არამედ თვით როსტომ-ხანსაც და სთხოვეს სიკვდილით დაესაჯა, თუ კათოლიკე სარწმუნოებას უარს არ ყოფდა. ვიდრე ნასყიდას საქმე გადასწყდებოდა, მას ბევრი შეურაცხება მიაყენა მოჩივარ-გაბრაზებულმა ხალხმა, რადგან ხელში ჰყავდათ. ეგრეთვე შეუჩინეს ერთი ბერძნის მღვდელ-მონაზონი, რომელიც აყვედრიდა მას ქვეყნიერობის დატოვებას და მონაზონად შედგომას; თავის ნათქვამის საბუთად იმას ეუბნებოდა, რომ თვითონ ძალიან ვნანობ უცოლშვილობასო და გირჩევ შენს ახალგაზრდა მშვენიერს დანიშნულს თავს ნუ დაანებებო. ლოპამონმა იმის ლაპარაკს სრულებით ყურადღება არ მიაქცია და ყოველი შეურაცხყოფა დიდის სულგრძელობით აიტანა, შეუწყვეტლივ ლოცულობდა, რათა ღმერთს მისთვის საჭირო მადლი და სიმხნე მიეცა: ყველას პასუხად იმას აძლევდა, რომ ის უარს ვერ ჰყოფდა კათოლიკე სარწმუნოებას და მზად იყო მისთვის სისხლიც დაეღვარა. ყოველი ეს ამბავი რომას დაწვრილებით მისწერა პატრი პეტრემ, რომელიც, სხვათა შორის; ამბობს ასე: მეორე დღეს ლოპამონის გასასამართლებლად მოხდა კრება, რომელსაც კათალიკოსთან ერთად ბევრი ქართველი ეპისკოპოსი და თვით როსტომ-ხანიც დაესწრო. ბევრის გამოძიების შემდგომ კათალიკოსმა სიტყვის თქმა მიანდო ჩვენ მიერ ხშირად ხსენებულს მონაზონს ნიკიფორე ირბახს. ჯერ მოუბრუნდა და მოახსენა როსტომს: სიკვდილის ღირსი არ არის, რადგან სარწმუნოება არ გამოუცვლია და სპარსელების წინააღმდეგ არაფერი უმოქმედებიაო; ქართველების და კათოლიკეების სარწმუნოება ერთი და იგივეაო, მათ შორის სხვა არაფერი განსხვავებაა, თუ არ ის, რომ ფრანგები უფრო ერთგულად და მორწმუნებით იცავენ ქრისტეს სარწმუნოებასო.

მერმე მიმართა კათალიკოსს (რადგან თემურაზთან ერთად ზაქარია კათალიკოსიც გაიქცა იმერეთში, ამისთვის როსტომ-ხანმა კათალიკოსად დანიშნა ერთი ახალგაზრდა ეპისკოპოსი, რომელიც არ იყო მეგობარი კათოლიკეებისა და რომლის შესახებ მისიონერები ამბობდნენ: კაი მეომარი და მონადირე არისო) და ბევრი საყვედური უთხრა მას გულფიტელობისათვის და შემდგომ დასძინა: «ყოველდღე ჩენის თვალთ ვხედავთ, რომ მრავალნი ქართველნი სომხდებიან, და უფრო მომეტებული მათგანი მაჰმადის სარწმუნოებასაც ლებულობს. მაშ, ვისაც კი უნდა გაფრანგება, რალად უნდა დაეშალოს?» ესეთი პასუხი და მსჯელობა დიდის კმაყოფილებით მოისმინეს ყველა იქ დამსწრე ეპისკოპოსებმა და ქართველ წარჩინებულ პირთა. ასე რომ სომხებო

და ბერძნები დიდად შერცხვნილნი დარჩნენ. ეს ამბავი თუმცა მალე აცნობეს რომას, გარნა პეტრე ავიტაბილემ დაწერილებით ჰალეპოდგან აცნობა 10 სექტემბერს, 1638 წ.

ნასყიდა მაშინვე განათავისუფლეს იქიდგან. იგი პეტრე ავიტაბილესთან ერთად დიდის სიხარულით პატრებთან გაბრუნდა გორს, სადაც უფრო გულმოდგინებით შეუდგა თავის ახალ მონაზურს ცხოვრებას; მოკლე ხანში ყველასთვის სამაგალითო შეიქმნა. მალე პატრების სამონაზონო ტანისაპოსიც ჩაიცვა და შეიქმნა მათი მორჩილი ძმა. სახელად ანდრია უწოდეს. რადგან იგი პ. პეტრე ავიტაბილეს ძრიელ მიაჩნდა, თან წაიყვანა იტალიას, რათა იქ უფრო კარგად განსწავლულ იყო. გარნა პეტრე ავიტაბილეს ინდოეთში წასვლა და იქ ახალის მისიონის გახსნა მიანდეს. ამიტომ თავის მეორე ამხანაგად აირჩია ქართველი ძმა ანდრია და 1639 წ. ოქტომბერში ორი მღვდელი და ის ანდრია წაყვინდნენ ინდოეთის გოა ქალაქსა. იქ ანდრიას გულმოდგინებით დაუწყია სხვებთან ერთად შრომა ხალხის მოსარჯულებლად და თავისი მოღვაწეობით მოკლე ხანში ისეთი სახელი მოუხვეჭია, რომ თურმე პატრები წმიდას უწოდებდნენ. მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრი აღარ უცოცხლია. თუმცა ზედმიწევნით არცერთ, როდის გარდაცვლილა ანდრია, მაგრამ ჩვენის ფიქრით უნდა გარდაცვლილ იყოს ან 1641 წ. ან 1642 წ., რადგან იმ დროს გარდაცვლილა, როდესაც ჯერ გოაში თეთინელ პატრებს საკუთარი ეკლესია არა ჰქონიათ.

ანდრიას გარდაცვალების შესახებ პეტრე ავიტაბილემ რომაში თავის უფროსს ვრცელ მოხსენებას უგზავნის. თარიღი არ აქვს. რაკი საკმაოდ ყურადსაღებია ის წერილი, მოვიყვანთ აქ მის ერთს ნაწილს.

„ამ ჩვენის კურთხეულის ძმის განშორება ჩვენთვის დიდად სამწუხაროა, გარნა ღმერთს დიდს მადლობას ვსწირავთ და იმედი გვაქვს მისის მამობრივის განგებისა, რომ ანდრია იქნეს ჩვენი მფარველი ამ დიდს უდაბნოში. მისის სიკვდილის ამბავი მოგვინა არა მარტო მთელს ქალაქში, არამედ შორ ადგილებშიც. ვინც კი იცნობდა, ყველანი წმიდანად რაცხვიდენ როგორც თვითვე მოგვითხრეს. რადგან მის გვამს უხომო პატივი მიაგეს, ამიტომ საჭიროდ ვრაცხ ეს მოგახსენო. წმიდა დომინიკის დიდებული წესის მამებს უნდოდათ თავიანთ ეკლესიაში დაესაფლავებინათ, მაგრამ თავიანთი სურვილი გვიანლა განაცხადეს. წმიდა თერეზიას (კარმელიტანების) მამები დარწმუნებული იყვნენ, რომ მათ მონასტერში უნდა დასაფლავებულიყო და არა სხვაგან, თუ იმიტომ, რომ ისინი ჩვენს სახლზე ახლო იყვნენ და თუ იმიტომ, რომ ინდოეთში მოსვლის დროს პირველად მათ მიგვიღეს. ხოლო რა სცნეს, ჩვენი აზრი სულ სხვა იყო, მოიწადინეს გვამი მოეპარათ პირველ დამეს, როდესაც ჯერ არ იყო დასაფლავებული, რისთვისაც გამოგზავნეს ორი თავიანთი მონაზონი და სამიც მარჯვე ერის კაცი, რათა წაესვენებინათ იქ, სადაც უნდოდათ. ღვთის განგებით ადრე შევიტყვეთ ესა,

ვიფხიზლეთ და ვილონისძიეთ და ესრედ ავიცილეთ თავიდან უსიამოვნება, რომელიც ადვილად შესაძლებელია მომხდარიყო, იმით რომ გვამი მოეპარათ. ამიტომ დავსაფლავეთ წმიდა აგვისტინეს მონაზონების მონასტერში, რადგან ერთი თვის წინათვე მათმა უფროსმა დიდის ვედრებით გვთხოვა. თავის მონაზონებითურთ მოვიდა, კვირა დღეს მძარხვ გაიდღეს და წაასვენეს მუსიკით, გალობით და დიდის გამოჩენებით; წირვა-ლოცვა შეუსრულეს და აუგეს მას ყოველი წესი, როელიც მათ კანონად აქვთ შეუსრულონ მართო თავიანთი პროვინციის უფროსს, პროვინციალს. ესეც უნდა მოგახსენო, რომ, როდესაც ჩვენი კურთხეული ძმა ავად იყო, იმ მონაზონებმა დიდის სიყვარულით მოუარეს; ასევე მოიქცნენ კარმელიტანებიც“.

ძმა ანდრია მეორე ქართველი მონაზონია, რომელიც კათოლიკე სარწმუნოებისათვის ინდოეთში ასრულებს თავის სიცოცხლეს. ყველა საბუთებს რომ მოეწია ჩვენამდე, ვინ იცის, რადენი ასეთი ქართველი მოემატებოდა ერთგულ კათოლიკეთა რიცხვს!¹

ბუნებრივია, რომ ყველაზე მეტი ცნობები საქართველოსა და ინდოეთის ურთიერთობიდან შემონახულია თეიმურაზ II-სა, ერეკლე II-სა და საქართველოს ჯუჯანასკნელი მეფის გიორგი XII-ს დროიდან. ცნობილია, რომ პირველი მამა-შვილის (თეიმურაზისა და ერეკლეს) მეფობა დაკავშირებულია სპარსეთის შაჰის, სისხლიან დამპყრობელისა და სასტიკ მმართველის, ნადირ-შაჰის (1688—1747) მეფობასთან, რომელმაც 1738-39 წლებში ავღანისტანსა და ინდოეთზე გაილაშქრა და რომელსაც თან ახლდა მრავალი ქართველი და მათ შორის საკუთარ ამაღლაში ბატონიშვილი ერეკლეც, რამდენიმე თავდადებულ თავადისა და მასთან შეზრდილ გლეხების თანხლებით.

ამ წიგნის დამატებითს ნაწილში ჩვენ მოვიყვანეთ ზოგი ცნობილი და ზოგიც დღემდის სრულიად უცნობი დოკუმენტი, რომლებიც ნათლად გვიხატავენ ინდოეთში მყოფ ქართველთა განცდებსა და თავგადასაყალს.² გარდა ამისა, ვფიქრობთ, რომ ამ დოკუმენტების გულდასმით გაცნობა, დაინტერესებულ მკითხველს ბევრს საყურადღებო მომენტს გაუჩვენებს საქართველოსა და ინდოეთის გვიანფეოდალურ ხანის ურთიერთობიდან.

ოფიციალურ დოკუმენტებს ჩვენ დავუბრუნებთ აგრეთვე XVIII ს. საქართველოსა და ინდოეთის ურთიერთობაზე ზოგიერთი ცნობები ზ. ჭიჭინაძის დავიწყებულ ნაშრომებიდან, რადგან ოფიციალური ისტორიკოსებს ამ საკითხზე ვერა გუპოვეთრა.³

¹ იხ. მ. თამარაშვილის დასახ. შრომა. გვ. 126.

² იხ. დამატება: მასალები საქართველოსა და ინდოეთის ურთიერთობაზე გვ. 39—58 და 101.

³ ნახეთ, მაგალითად, სხვა მხრივ საყურადღებო ნაშრომი სარგის კაკაბაძისა. საქართველო ერეკლე II-ს დროს (ისტორიული მონოგრაფია) ჟურნ. „შვიდი მნათობი“ № 2, 1919 წ. გვ. 131—193.

მართალია სანეკროლოგო წერილშიაც კი განსვენებული ჟურნალისტი ალი არსენიშვილი ზაქარია ჭიჭინაძის (1854 — 1931) შესახებ წერდა, რომ „მას არა აქვს მასალების შერჩევისა და თემატიკური დალაგების გარკვეული მეთოდი... იგი მეტად თავისუფლად ეკიდება ისტორიულ ფაქტების ნამდვილობის საკითხს, უდაოდ და დამტკიცებულად აცხადებს შეუზომებელ ცნობებს, სხვადასხვა პიროვნებების იგივეობას, დათარიღებას და სხვა“...¹ მაგრამ ამ თვითნასწავლ დიდი მწიგნობრის დასაცავად უნდა განვაცხადო, რომ მან თავის სიცოცხლეში, როგორც ჩანს, ბევრი საინტერესო ისტორიული ტერატურული, თუ ზეპირი ცნობა გადაგვიჩინა განადგურებისაგან და კერძოდ, ამჟამად ჩვენთვის საინტერესო საკითხზე, რაც რამ გამოუქვეყნებია, ბევრის ჭეშმარიტება დასტურდება შემდეგი გამოვლენილ ოფიციალურ დოკუმენტებით, თუ გამოქვეყნებულ სპეციალურ ნაშრომებითა და მონოგრაფიებით. ამ მხრივ საგანგებოდ აღსანიშნავია ჩვენი მეზობლების სომეხთა მეცნიერების ნაშრომები, დაწყებული ა. ერიცოვით და ვათავებული მ. ზოლოტოვის სახელობის ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ ა. იოანისიანი.²

ერეკლე მეფის ხანგრძლივი ურთიერთობა ინდოეთთან და მადრასში მოქმედ სომეხთა ეროვნულ გამათავისუფლებელ მოძრაობის ცენტრთან (მის ხელმძღვანელ შამირ-აღასთან ცოცხალ და წერილობით კავშირის სახით) თუ ოსტინდიის კამპანიის იმ დროის ინგლისელ მმართველებთან, რასაკვირველია, სრულის ჭეშმარიტებით გარკვევა შეიძლება მას შემდეგ, რაც გულდასმით იქნება შესწავლილი და გამოქვეყნებული შესაბამისი მასალები უორენ ვასტინგის (1772 — 1785), ლორდ კორნუელსის (1785 — 1793) და სერ ჯონ შორის (1793 — 1798) მმართველობის არქივებიდან, ისევე როგორც ჩვენს სიძველეთ საცავებიდან და სომხეთის მატენადარანიდან, სადაც საფიქრებელია, სხვადასხვა ცნობებთან ერთად ამ ურთიერთობიდან, უნდა ინახებოდეს მრავალი ქართული დოკუმენტის დამოწმებული პირი, თარგმანი თუ დედანი.

არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ დანიბეგავილების (მამისა და შვილის — იოსებისა და რაფიელის) —

¹ იხ. ალი არსენიშვილი - „ზაქარია ჭიჭინაძე“ ვახ. „კომუნისტი“ 1931 წ. № 299 გვ. 3, 30. XII.

² А. Еринов. Индийские богатые завещания. газ. „Кавказ“, 1883. №№ 81, 83, 94, 100 (განსაკუთრებით 2 უკანასკნელი №); А. Р. Иоанниси, Россия и армянское освободительное движение в 80-х годах XVIII столетия, Ереван 1947 г. განსაკუთრებით IV თავი (გვ. 136—163).

თეიმურაზისა და ერეკლეს სამსახურში მყოფ პირების—ინდოეთში არა ერთგზის მოგზაურობას იმ დროისათვის პოლიტიკური მნიშვნელობა უფრო ჰქონდა, ვიდრე კულტურულ-ეკონომიური.

არ არის გამორიცხული ეს შესაძლებლობა, ვიძვრობთ, მით უმეტეს, რომ სომეხთა ეროვნულ გამათავისუფლებელ მოძრაობის მეორე ჯგუფის მეთაური იოსებ ემინი (1726—1809), როგორც ირკვევა სომხურ და ინგლისურ წყაროებით,¹ ისევე დიდ იმედებს ამყარებდა ერეკლეს როლზე ამ საკითხში, როგორც შამირ-ალა.

სომხეთის გამათავისუფლებელ მოძრაობის ორივე საზღვარგარეთელ მოღვაწეს, ემინსაც და შამირ-ალასაც, კარგად ჰქონდათ შეგნებული, რომ მე-18 საუკუნის საქართველო და ქართველები ერთ-ერთ თვალსაჩინო როლს ასრულებდნენ იმ დროინდელ ახლო და შუა-აღმოსავლეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში და ამით იყო გამოწვეული ემინის საქართველოში მოსვლა, (პირადი საუბრები ერეკლესთან თბილისსა თუ თელავში) და შამირ-ალას ძღვნები, წერილები და ლოროში გადმოსახლების სურვილი. აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი თავის პოლიტიკურ ოცნებაში არ კმაყოფილდებოდა ერეკლეს დახმარებით განთავისუფლებულ სომხეთისათვის კონსტიტუციის პროექტის შედგენით² და თვით ერეკლესაც ურჩევდა მოეხდინა თავის სახელმწიფოში ძირითადი რეფორმები, გაეუქმებინა ბატონყმობა, უზრუნველყო პიროვნების თავისუფლება, ქონების ხელშეუხებლობა, სარწმუნოების შემწყნარებლობა—ერთი სიტყვით: მოესპო კავკასიაში ფეოდალური წყობილება, აზიური დესპოტიზმი და წის ნაცვლად დაემყარებინა მოწინავე ბურჟუაზიული რესპუბლიკა შორეულ ამერიკის სახელ-

¹ ნახ. Life and adventures of Emin, Joseph Emin 1726—1809, Written by himself. Second edition with portrait, correspondence, reproductions of original letters and map. Calcutta 1918; აგრეთვე W. E. D. Allen. A History of the Georgian People. განსაკუთრებით: Chapter XVIII. Indian summer of the Bagratids. Teimuraz II and Irakli II (1747—1798). London. 1931.

² იხ. მადრასში მის მიერ 1773 წ. დაბეჭდილი წიგნი სომხურ ენაზე: გირქ ანოვანელ ოროგაჲთ ქარაც“... (წიგნი წოდებული პატივმოყვარეობის მახედ...) მეორე გამოცემა. თბილისი 1913 წ. სახელწოდების აზრი იმაში მდგომარეობს, რომ წიგნში გამოქვეყნებული კანონები უნდა იქცნენ ერთგვარ მახედ კერძო პირთა პატივმოყვარულ განზრახვათათვის. როგორც ირკვევა, ერეკლესადმი შამირ ალას მიერ იოსებ დანიბეგაშვილის ხელით (1787 წ. 15 ოქტომბრის თარიღით) წარმოგზავნილ წერილით, რომელიც 1881 წელს დაიბეჭდა სომხურ ჟურ. „ქორძ“-ში (№ 2. გვ. 24—37), შამირ-ალას მიაჩნდა, რომ ამ წიგნს შეეძლო ეჩვენებინა ბედნიერებისა და ძმობის გზა ქართველ და სომეხ ერისათვის.

მწიფოს მსგავსად, რომლის განთავისუფლებისათვის (ბრიტანეთის ბატონობიდან) იბრძვის „ბრძენი ვაშინგტონი“.

ძნელი დასაჯერებელია, რომ შამირ-ალას ამ პოლიტიკურ ოცნებას (შექმნას კავკასიაში ერეკლეს დახმარებით ქართველთა და სომეხთა გაერთიანებული ბურჟუაზიული რესპუბლიკა) მხარს უჭერდნენ ინგლისის ოსტ-ინდიის კამპანიის ყაჩაღები, რომლებიც იმეამად ინდოელთა სისხლითვე იპყრობდნენ მათ სამშობლოს, უსევდნენ რა ერთმანეთს ფეოდალურ ბრძოლებში დაუძღურებულ ცალკეულ პროვინციათა მმართველებს.

ამისდა მიუხედავად, არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ინგლისის მთავრობა, რომელიც გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს რუსეთის ფარულსა და აშკარა სვლებსა და ღონისძიებებს კავკასიის დაპყრობისათვის, შეცდილიყო კავკასიაში მტკიცე საყრდენის შექმნისათვის ისევე, როგორც ეს მას მოეპოვებოდა სპარსეთსა და ოსმალეთში. ამ თვალსაზრისით შეუძლებელი არ არის, რომ ინგლისელებსაც ჰქონოდათ ერთგვარი მოლაპარაკებისა და კავშირის გაბმის ცდები ერეკლესთან, თუნდაც შამირ-ალას მეშვეობით. ეს მით უმეტეს, რომ მათ ვერ მოახერხეს საქართველოში ინგლისურ ორიენტაციის კაცის გამეფება, იქნებოდა ეს პაატა თუ ალექსანდრე ბატონიშვილი მაჟინ, როდესაც რუსეთის დიპლომატიამ შესძლო ერეკლესთან გიორგიევსკში 1783 წლის ტრაქტატის დადება, რაც მიმართული იყო როგორც სპარსეთისა და ოსმალეთის, ისე მათ ზურგს უკან მდგომ ინგლისისა და საფრანგეთის წინააღმდეგ.

მაგრამ ამ საკითხებს სპეციალური შესწავლა ესაჭიროება და ამ წიგნის წინასიტყვაობისათვის მოზომილ წერილის ფარგალს სცილდება.

ასეა თუ ისე, ერეკლეს ხანგრძლივმა ურთიერთობამ ინდოეთთან, სხვა მრავალ, ჯერ კიდევ შეუსწავლელ,¹ გამოუვლინებელ და გამოუქვეყნებელ დოკუმენტებთან ერთად, როგორც საქართველოსა ისე უცხოეთში, დაგვიტოვა ქართველ აზნაურის რაფიელ დანიბეგაშვილის ეს მოგზაურობა, რომელიც „ბედის“ ახირებულ უკუღმართობით პირველად (1815 წ.) ავტორის თარგმანით რუსულად გამოქვეყნდა, როგორც უღრ-

¹ სრულიად შეუსწავლელია, მაგალითად, მადრასში, კალკუტასა და ბენარესში მცხოვრებ და იქ გარდაცვლილ ქართველთა თავგადასავალი. სხვათა შორის, ჩვენ არ ვიცით ვინ იყო და რა საქმიანობას ეწეოდა ბენარესში დაკრძალული კოჯრელი თამაზა ხუდუაშვილი, რომლის საფლავის ქვის ფოტო (ინდოეთიდან უცნობ კორესპონდენტისაგან გამოგზავნილი) დაგვიტოვა გამოსაქვეყნებლად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პროფ. ვ. ბერიძემ.

მესი მოკრძალებით მიძღვნილი ძღვენი „მისი უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე I-სადმი“ (1777—1825), რომელმაც რუსეთის ტახტზე ასვლის უმაღლეს (1801) ბაგრატიონთა ტახტი გააუქმა და საქართველო რუსეთის ოლქად გამოაცხადა.

რადგან მოგზაურობის ქართული დედანი ჯერჯერობით ვერ გვიპოვნია, მის პირველ ქართულ გამოცემას ჩვენი თარგმანითა და ისტორიულ-გეოგრაფიულ კომენტარის დართვით ვაქვეყნებთ.

მოგზაურობის ტექსტს რუსულ თარგმანში წინ უძღვის შემდეგი უერთგულესქვეშევრდომული მიმართვა იმავე ალექსანდრესადმი:

„ყოვლად უმონყალესო ხელმწიფე!

თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობის შემწყნარებელი და მამობრივი ყურადღება რუსეთის თვითველ შვილისადმი, რაიც შეძლებისამებრ ხელს უწყობს საყოველთაო სიკეთეს, და სამშობლოს სასარგებლოდ წარმოებულ თვით უმცირეს შრომის სულგრძელი, შემწყნარებელი მოწონება მბედვინებენ დავანხო თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობის ფერხთა წინაშე მცირე შრომა ჩემი.

ვიმოგზაურე რა 18 წელი ინდოეთსა და მის გარშემო მდებარე ვრცელ ქვეყნებში, მე შეეკრიბე ზოგიერთი თვისება იქაურ მკვიდრთა ზნე-ჩვეულებისა, მათი ყოფა-ცხოვრებისა, მათი ღვთისმსახურებისა და ზოგიერთი ცნობა თვით მიწის ღირსებათა შესახებ.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, მსურდა რა გარდამეცა ჩემს თანამემამულე რუსთათვის ყველაფერი ჩემ მიერ ნახული, და ამ გვარად გამეცნო მათთვის არა მარტო ის ქვეყნები, არამედ მათი მცხოვრებნიც, გადავთარგმნე ეს მოგზაურობა ქართულიდან რუსულ ენაზე.

ბედი ჩემი ამადღდება ბედნიერების მწვერვალზე, თუ ამ მცირე ჩემ ძღვენს ეღირსება თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობის სულგრძელი კეთილმოსურნეობა.


ყოვლად უმონყალესო ხელმწიფე!

თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობის უერთგულესი ქვეშევრდომი.

რაფიელ დანიბეგოვი.“

როგორც მკითხველი დარწმუნდება, რ. დანიბეგაშვილის „მოგზაურობა ინდოეთში“ მეტად საინტერესო ძეგლია ისტორიულ, გეოგრაფიულ და ლიტერატურულ თვალსაზრისით.

იგი არა ჰგავს ჩვენში ძველად გავრცელებულ „წმინდა და



ბენარესში დაკრძალულ კოჯრელ თამაზა ხუდუამვილის საფლავის ქვა და წარწერა¹

¹ ჩვენ ამ წარწერას ასე ვკითხულობთ, თუმცა ზოგი რამ ნათლად არ ირკვევა: ქ. მაიხსენე უშუალო, ესე საფლავი კოჯ(ა)რელი ხუდთან თამაზას საფლავია, რომ ჩემ(ა)ს ქვეყანას საქართველოს მიწას, მოვშორდი. ინდისტანის მიწას (?) ველირსე. ვინც წაიკითხოს, მიბძანოს შენდობა. ქორონიკონს უო [1782].

სხუათა აღმოსავლეთის ადგილთა“ იმ მომლოცავთა ნაშრომებს,¹ რომლებიც უმეტეს შემთხვევებში რელიგიურ მიზნებით მიემგზავრებიან შავს მთასა თუ იერუსალიმს, ისევე როგორც ერეკლე II-სა და მისი შვილის გიორგი XIII-ის სამსახურში მყოფი, მამის (იოსებ დანიბეგაშვილის) თანამდებობის (ხუთასის თაობის) გამგრძელებელი რაფიელ დანიბეგაშვილი² არა ჰგაფს ამ მიმოსვლა-მოხილვათა სასულიერო წოდების წარმომადგენლებს—მიტროპოლიტ მთავარ ეპისკოპოსებს.

„მოგზაურობის“ ავტორი პირველად ერეკლე II-ს მიერ ყოფილა დიპლომატიურ მიზნით ინდოეთს წარგზავნილი (რასაც იგი „მოგზაურობის“ დასაწყისშივე აღნიშნავს), ხოლო მეორედ, ამავე მიზნით, იგი გაუგზავნია გიორგი XIII-ს 1799 წელს, პირველ მგზავრობიდან დაბრუნების შემდეგ, როდესაც მას მადრასში გარდაცვლილი დახვედრია შამირ-ალა, ვისთვისაც უნდა მაერთმია ერეკლეს მიერ ბოძებული წყალობის წიგნი.

„და შენ რაფაელა ამაჟამად ინდოეთს გაგზავნეთ შამირალას შვილ-თანა. რადგანაც მამაშენი კუთხეულის მამის ჩვენის სამსახურისათვის ინდოეთს რამდენჯერმე წარგზავნილიყო, შენც იმავეს სამსახურზედ ინდოეთს გაგზავნეთ“.³

სულ უკანასკნელ ხანს ჩვენ მიერ გამოვლენილ საბუთების მიხედვით ისიც ირკვევა, რომ რ. დანიბეგაშვილი ინდოეთში მიმოსვლის დროს ერთგვარ სავაჭრო საქმიანობასაც ეწევა. უკანასკნელად ინდოეთში გამგზავრების წინ იგი თბილისში სესხულობს ინდურ ფულს გარკვეულ ვალდებულებით.

„ავილე დანიბეგანთ ხუთასისთავ იოსებას შვილმა რაფიელმა შენ, დეკანოზ ტერ-დავითასაგან სამოცი დანა რუფია სურათის სიქა, ორ მისხალნახვერიანი...“⁴ (ე. ი. სამოცი ცალი რუფია, ინდოეთის პროვინცია სურათში მოჭრილი).

„მოგზაურობის“ ტექსტით ისიც ცნობილია, რომ რ. დანიბეგაშვილი თვით ინდოეთშიაც შოულობს გარკვეულ სამსახურს და ზოგიერთ მის მიერ ნახულ ქალაქში კარგა ხანს რჩება.

¹ მაგალითად: 1. მიმოსულა ანუ მგზავრობა იონა რუისის მიტროპოლიტისა, თბილისი 1852 წ.

² მოხილვა წმიდათა და სხუათა აღმოსავლეთისა ადგილთა ტიმოთე-საგან ქართლის მთავარ ეპისკოპოსისა, თბილისი 1852 წ. და სხვა.

³ დანიბეგაშვილის (იგივე დანიბეგაშვილის) გვარის წარმომადგენლები ადრეც გვხვდებიან მეფის სამსახურში: პაპა დაჰბაშია, (ათის თავი) თეიმურაზ II-ის სახელოს სიგელით, მამა იოსები—ხუთასის თავი.

⁴ იხ. „მოგზაურობის“ დამატებითს მასალებში: გიორგი მეფის წყალობის სიგელი რაფიელ დანიბეგაშვილის ინდოეთს გაგზავნის შესახებ, გვ. 56.

⁵ იხ. საქართველოს სსრეპუბლიკის შსს საარქივო სამმართველოში დაცული ძველ საბუთთა პირები, გადაწერილი საქართველოს უმაღლესი მართებლობის ბრძანებით XIX ს. 55 წლ. დავთარი 25, საბუთი 100.

„ჩემ იქ ყოფნის დროს დელის მფლობელმა მე დამავალა ხალხზე დაწესებულ გადასახადის აკრება. ამ თანამდებობის გამო მათ მეფისაგან ყოველთვიურად მიძლეოდა 200 რუფია.“¹

ამგვარად, ირკვევა, რომ დანიბეგაშვილის „მოგზაურობა“ არ არის მგზავრის უბრალო „დღიური“, თუ „შთაბეჭდილებათა წიგნი“, „მგზავრის წერილები“ უცხოეთში ერთი გავლის შედეგად დაწერილი. არა. ინდოეთსა და მის გარშემო მდებარე ვრცელ ქვეყნებს რაფიელ დანიბეგაშვილი ეცნობა 18 წელიწადი (1795—1813), რის შემდეგაც იგი ტიბეტსა და იარყანდზე გამოვლით ჩვეულებრივ საქარავნო გზით გადმოვა აქსუზე და უჩ-ტურფანსა და ილიის მხარეზე გაძოსვლით, სემპალატინსკისა და ომსკის გზით ბრუნდება რუსეთის უძველეს დედაქალაქ მოსკოვში, სადაც აქვეყნებს თავის ნაშრომს რუსულად.²

რ. დანიბეგაშვილი ამ მცირე ნაშრომით ჩვენ გვევლინება როგორც გაძედავი, მეტად თავგზიანი, ცნობისმოყვარე და დაკვირვებულ პიროვნება. მის ყურადღების გარეშე არა რჩება მის მიერ გაცნობილ ქვეყნების შესახები ეთნოგრაფიული, დემოგრაფიული, გეოგრაფიული, ლინგვისტური, რელიგიური, მორალური, ისტორიული, პოლიტიკური, არქიტექტურული თუ სხვა ხასიათის ცნობები.

მართალია, ყველაზე დაწვრილებით იგი ამ მხრივ ინდოეთს გვაცნობს, მაგრამ იგი არა ნაკლებ ყურადღებას აქცევს აგრეთვე გზად გავლილ ქვეყნებისა და ქალაქების გეოგრაფიულ მდებარეობას, ქვეყნის ისტორიულ წარსულს, ბუნებრივ სიმდიდრეს, მცხოვრებთა ზნე-ჩვეულებას, ენას, სარწმუნოებას, ეკონომიურ ვითარებას, საზოგადოებრივ ურთიერთობას, პოლიტიკურ მდგომარეობას, მორალურ მხარეს, სამხედრო საქმეს და სხვა ამა თუ იმ ქვეყნის დამახასიათებელ ვითარებასა და ყოფას.

იგი გამახვილებული ყურადღებით ასახავს ინდოეთში შესულ სხვადასხვა ევროპულ (პორტუგალიელების, ჰოლანდიელების, ფრანგების და განსაკუთრებით ოსტ-ინდიის) კამპანიების დამპყრობლურ პოლიტიკის ფანდებს.

დამონებულ ერის აუტანელ საგადასახადო სისტემის და-

¹ იხ. „მოგზაურობის“ ტექსტი, გვ. 18.

² წიგნი, როგორც ჩანს, ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. აკად. მ. ბროსეს იგი შეტანილი აქვს თეიმურაზ ბატონიშვილის წიგნთსაცავის კატალოგში დამატების სახით: № 163. Путешествие в Индию, par un noble géorgien, Raphael Danibeg; traduit du géorgien. Moscou. 1815. იხ. Catalogue des livres géorgiens tant imprimés que manuscrits, anciens et modernes... დამატებად მისდევს 1937 წ. 29.XII წარმოთქმულ სიტყვას.

სახასიათებლად დანიბეგაშვილს არ ავიწყდება აღნიშნოს, რომ ინგლისელებს დაბეგრული აქვთ მცენარე და მდინარეც კი.

„თუმცა იგი ჩვეულებრივი ბალახია,—წერს დანიბეგაშვილი ინდოელების საღებავ ფოთოლ ბეთელზე,—მაგრამ ინგლისელები მაინც ადგილობრივ მცხოვრებლებს მასშიაც გადასახადს ასდევინებენ, რაც ნახევარ მილიონამდე აღწევს.“¹

ანდა: „...ინგლისური კამპანია ყოველწლივ შემოსავალს ღებულობს 500 მილიონ რუფიამდის.“² ან კიდევ: „თაყვანისა ცემად მოსულ ინდოელებს ინგლისელები ახდევინებენ ბაჟს თითო რუფიას, და აძლევენ ხელწერილს, ანუ ბილეთს გახგვისის თაყვანისა ცემად“—წერს დანიბეგაშვილი განგვისის სათავესთან დაწესებულ ბაზრობასთან დაკავშირებით, სადაც 500,000 კაცი იურის თავს და რომელიც მთელი თვე გრძელდება.“

დანიბეგაშვილი გვაწვდის რა ცნობას ქაშმირში განვითარებულ შინამრეწველობის შესახებ:

„ამ ქალაქის მიდამოებსა და თვით ქალაქში ითვლება 24 ათას დაზვამდე, რახედაც ქსოვენ შალებს“,⁴ იგი არ ივიწყებს იმის აღნიშვნასაც, რომ ეს მრეწველობა უწყალოდ იბეგრება ინგლისელ დამპყრობელების მიერ:

„ამ ქალაქის მთავარმართებელი ყოველდღიურად აქაურ ფართელზე 300 რუფიას ღებულობს; მის ბეჭდის გარეშე ერთი თავშლის გაყიდვაც არ შეუძლიანთ.“⁵

დანიბეგაშვილის დაკვირვებულ თვალსა და მახვილ ყურს არ გამოორჩენია ის თავგანწირული ბრძოლა, რომელსაც აწარმოებდა ადგილობრივი უბრალო ხალხი ინგლისელ დამპყრობელების წინააღმდეგ. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს მის მიერ აღწერილი ერთი ქალაქის თავდაცვითი ბრძოლა, რომელშიაც ქალებიც იღებდნენ მონაწილეობას „თავიანთი ქმრების ასეთი თავგანწირულობით“ აღფრთოვანებულები.

„ამ ბრძოლაში დაიღუპა 40 ინგლისელი უფროსი, ხოლო უბრალო ჯარისკაცი 20,000. ინგლისელები ბევრს ეცადნენ. მაგრამ მათდა სამარცხინოდ, ხელი უნდა აეღოთ თავიანთ ცდაზე. ამ საქმეში ინგლისელ ჯარის მთავარსარდალი იყო ლიკი.“—ასრულებს ნაამბობს დანიბეგაშვილი.⁶

ერთი სიტყვით, წიგნში მრავლად არის საილუსტრაციო მასალა ინგლისურ მართვა-გამგეობის სისტემის დასახასიათებლად, რომლის შესახებ ვ. ი. ლენინი წერდა: „არა აქვს

¹ „მოგზაურობის“ ტექსტი. გვ. 8. ² იქვე, გვ. 13. ³ იქვე გვ. 18. ⁴ იქვე, გვ. 22. ⁵ იქვე. ⁶ იქვე, გვ. 20.

დასასრული იმ ძალადობათა და იმ ძარცვას, რომელიც იწოდება ინდოეთის ინგლისურ მართვა-გამგეობის სისტემადაა.

აღსანიშნავია, რომ უცნობ ქვეყნებისა და ხალხის ზნე-ჩვეულებათა გაცნობისას დანიბეგაშვილი ხშირად თავის შეფასებასაც აძლევს ამა თუ იმ მოვლენას, ზნეობრივი ხასიათისა იქნება იგი, თუ სარწმუნოებრივისა.

დანიბეგაშვილი აღწუთებულა „ინდურ უღმობელ ჩვეულებით“, რომლის თანახმად „ქმრის სიყვარულის გამო, ცოლები უნდა ნებაყოფლობით შეეწირონ ცეცხლს“,² და რომლის ერთ შემთხვევას იგი აგვიწერს, როგორც დამსწრე.

მას „კუდად“ და „საღ გონებასთან სრულიად შეუსაბამოდ“ მიაჩნია ტიბეტელთა სამოთხ ძმის მიერ ერთი ცოლის ყოლის ჩვეულება და მემკვიდრეობის წესი.

დანიბეგაშვილის გონება ვერ შერიგებია და „უმეცრებად“ მიიჩნევს იმ ვითარებას, რომ „ყოველ არსთა უბრძნეს შემოქმედის ნაცვლად ისინი თავყანსსცემენ ძროხებსა და წყალს“³

ჩვენი მოგზაურის ცნობისმოყვარეობას არ გამორჩენია ზოგიერთი სასაცილო მხარეც ადგილობრივ მცხოვრებთა სოციალურ ურთიერთობიდან, როგორცაა, მაგალითად, ტიბეტელთა თარჯიმან მაჰმადიან ბეკის ჩინელ „ამბანის“ (მთავარმართებლის) წინაშე მოხსენების ზეპირ წარდგენისას მუხლის თავებზე დგომა;⁴ ქ. მასკატის შიშველ იმამის წინაშე ქვეშევრდომთა პირქვე დამხობა და მოწიწებით ხელზე ამბორი;⁵ ანდა ერთი ქალაქის მთავარმართებლების შეხვედრა მეფესთან, რომლის დროსაც ისინი „იატაკზე მუცლით უნდა იწვნენ, და, თუ იგი მათ რასმე შეეკითხება, ასე აუღდომლივ უნდა გასცენ მას პასუხი.“⁷

ასეთი დაკვირვებით ეცნობა ქვეყნიდან ქვეყნად და ქალაქიდან ქალაქად ზღვით თუ ხმელეთით, საქარაენო გზით, თუ ფოსტის ცხენებით, თანამგზავრებით, თუ მარტო ქვეითად მოგზაური დანიბეგაშვილი ადგილობრივ უცნობ მცხოვრებლებს, მათ ზნე-ჩვეულებას, მათ კულტურას და საქმიანი, ფაქტიური მასალის მიშველებით ცდილობს გავაცნოს ნახული თუ მოსმენილი.

უნდა ითქვას, რომ მის ნაამბობში ერთგვარად გამოიყო-

¹ „Нет конца тем насилиям и тому грабежу, который называется системой английского управления Индией“. В. И. Лешин, Горючий материал в мировой политике.

² „მოგზაურობის“ ტექსტი, გვ. 21. იქვე ³ გვ. 26. ⁴ იქვე, გვ. 6. ⁵ იქვე, გვ. 30. ⁶ იქვე, გვ. 5. ⁷ იქვე, გვ. 10.

ფა და მკითხველი ოდნავი მღელვარებით ეცნობა მის თავგადასავლიდან მოთხრობილ რამდენიმე სახიფათო შემთხვევას. ასეთია, მაგალითად: ხომალდის საშენ ადგილას განცდილი ზიფათი, როცა მას დამსწრე ბრბომ კინალამ თავი არ მოჰკვეთა მეფის ხომალდისათვის განკუთვნილ ფიცარზე ლაფიან ფეხებით გაფლის გამო;¹ თავგადასავალი კალკუტის საზღვაო გზაზე, როდესაც მას მე-18 დღეზე საშინელმა ქარიშხალმა გემი მთლად დაუშხვრია და იგი ძლივსღა გადაარჩა სიკვდილს შემთხვევით ნავზე გადავარდნით.²

ამგვარი და ზოგიერთი სხვა ადგილიც დანიბეგაშვილის თხრობისა არ არის მოკლებული ერთგვარ კომპოზიციურ გაწყობილობას, რაც მის „მოგზაურობას“ ერთგვარ ლიტერატურულ ღირებულებასაც ანიჭებს.

დანიბეგაშვილის „მოგზაურობა ინდოეთში“ რომ უფრო გასაგები ყოფილიყო ისტორიულ-გეოგრაფიულ კომენტართან ერთად, წიგნს დაეურთეთ რამდენიმე სურათი იმდროინდელ სხვა ევროპულ მოგზაურთა წიგნებიდან ამოღებული, როგორც საყოფაცხოვრებო, ისე ხუროთმოძღვრების ძეგლთა ამსახველი. და აგრეთვე, „მოგზაურობასა“ და დამატებითს მასალებში მოხსენებულ ქვეყნებისა და ქალაქების ნათლად წარმოსადგენად, ოთხი რუკა: ერთი — ინდოეთს რაფიელ დანიბეგაშვილის მოგზაურობის მარშრუტი (თბილისიდან ომსკამდის) და სამი³ ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შესრულებული (მის მიერვე რუსულიდან თარგმნილ გეოგრაფიის სახელმძღვანელოდან):⁴ 1. თურქის ასიის წილი, 2. სამეფო სპარსეთისა და ბალხი ბუხარა, 3. ინდოეთი მოღოლის სამფლობელო.

ს. იორდანიშვილი

¹ „მოგზაურობის“ ტექსტი, გვ. 11. ² იქვე, გვ. 12.

³ მარშრუტის რუკა დახატა და ვახუშტის რუკების პირები გადმოიღო მხატვარმა გიორგი ნათიძემ.

⁴ აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცული ხელნაწერი A № 717.

მომზადებულია ინტელექტუალური

1795 წელს მარტის 15-ს, ვიყავ წარგზავნილი საქართველოს მეფის ერეკლეს მიერ ინდოეთს შემდეგი გარემოებისა გამო: მადრასში ცხოვრობდა მდიდარი სომეხი, რომელიც ყოველწლივ უგზავნიდა ერეკლეს საჩუქრებს. მეფემ სამაგიეროდ უწყალობა მას დიდი სოფელი ლორი, და წყალობის სიგელი ამის შესახებ გამატანა მე.

მადრასში მისვლისას, მე იგი სომეხი ცოცხალი აღარ დამხვდა: იგი გარდაცვლილიყო ერთი წლით ადრე ჩემს ჩასვლამდე.

ხსენებული სიგელი მე მივართვი მის შვილს, რომელიც იმჟამად მადრასში იმყოფებოდა.

პირველი ქალაქი, რომელიც ვნახე ჩემი მგზავრობის ექვსი დღის შემდეგ, რაც საქართველოდან გავემგზავრე, იყო ახალციხე.

ეს ქალაქი იმყოფება ოსმალთა მფლობელობაში.

დადლილობამ მგზავრობისა გამო და ცნობისმოყვარეობამ ქალაქის დათვალიერებისა მაიძულა დავრჩენილიყავ იმ ქალაქში რამდენიმე დღე. იმ ხნის განმავლობაში, რაც მე ქალაქში დავრჩი, ვერა ვნახე რა ისეთი, რაიც ღირსი ყოფილიყო ყურადღებისა. ქალაქს გარემოცულობა დიდი არა აქვს, თვალწარმტაცი შენობები მასში სრულიად არ არის, მცხოვრებნი საშუალო შეძლებისანი არიან. მთავარი საქმიანობა მათი არის მეხილეობა; ხილით ქალაქი მდიდარია.

დავტოვე რა ახალციხე, გავემგზავრე ოსმალეთის სამფლობელოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. ოცი დღის შემდეგ მივედი არზრუმს. ახალციხიდან ხსენებულ ქალაქამდე გზა მიიმართება მაღალ კლდოვან მთებსა და გორაკებს შორის, რომელთა წარმტაცი სანახაობა ატყვევებს თვალს ყოველი მგზავრისას. მე ვერ დავტკბი ბუნების თვალწარმტაც სურათის მხერით.

ქალაქ არზრუმს ადგილმდებარეობა საკმარისად კარგი აქვს. სივრცით იგი აღემატება ახალციხეს. დაძველებული შენობები აქ სრულიად არ გვხვდება და არც შეიძლება რომ შეგვხვდეს, რადგან მისი მცხოვრებნი ძალიან მშრომელები არიან და მიდიდრები. გარდა ამისა, ერთმანეთის მიბაძვით ცდილობენ ჰქონდეთ საუკეთესო სახლები. ამის გამო ამ ქალაქში არის მრავალი მშვენიერი შენობა. დიდ სილამაზეს აძლევს ამ ქალაქს მშვენივრად გაკეთებული მარმარილოს ქვები, რომლებიც ყოველ ქუჩაში გვხვდება. ამ სიმდიდრის მიუხედავად, ეს ქალაქი შეშით ძალიან ღარიბია, ასე რომ მცხოვრებნი, არიან რა დიდ გაჭირვებაში უშეშობის გამო, სახლების სათბობად საქონლის წივას ხმარობენ. რაც შეეხება დანარჩენ მოთხოვნილებებს, მცხოვრებნი იკმაყოფილებენ მათ, თუ თავიანთ ქალაქით არა, მის მახლობლად მდებარე სხვა ქალაქებიდან შემოტანილით.

დავრჩი რა იქ ცოტა ხანს, გავემგზავრე მუშუში.

იგი მდებარეობს არზრუმიდან თორმეტი დღის სავალზე.

მუში მცირე ქალაქია. მისგან ოცდაათი ვერსის მანძილზე არის საფლავი. იოანესი, ქრისტეს ნათლისმცემლისა. ამ საფლავში განისვენებს წმიდა ნეშტი იესოს დიდი წინასწარმეტყველისა. იმ საფლავზე, სადაც მდებარეობს კუბო, აშენებულია ტაძარი მშვენიერი სამრეკლოით; ეს შენობები როგორც ღამაში აგებულობით, ისე მთაზე მდებარეობით მშვენიერ სანახაობას წარმოადგენს. ამ მთის ზოგიერთ ადგილიდან გამომდინარეობს სამკურნალო ნაკადული. ამ ტაძარში მღვდელთმსახურების შემსრულებელი ბერები იკვებებიან მხოლოდ ბრინჯით.

თაყვანი ვეცი რა ნათლისმცემლის საფლავს, განვაგრძე გზა, და რვა დღის შემდეგ მივედი ქალაქს, რომელსაც ეწოდება არგანა. ეს ქალაქი განთქმულია სპილენძის საბადოებით, თურქები სპილენძს აქ ბლომად მოიპოვებენ. იგი მდებარეობს მაღალ მთაზედ. ამ ქალაქის ჰავა კეთილშეზავებული და სრულიად ჯანსაღია. აქ მცხოვრებთ არ აკლიათ არაფერი, რაც კი საჭიროა არსებობისათვის.

ზემოხსენებულ ქალაქიდან გავემგზავრე ქალაქ ფალაში. არგანადან ფალამდე დამკირდა ცხრა დღე. ეს ქალაქი არც

თუ ისე დიდია და მდებარეობს მდინარე ტიგროსის ნაპირას, ვრცელს ველობზე. უნდა ვიფიქროთ, რომ იგი, ალბათ, აღარ არსებობს, რადგანაც ამ უახლოეს ხანში მომხდარმა მიწისძვრამ საფუძვლიანად დაანგრია.

ვინაიდან აქ ვერა ვნახე რა საცნობისმოყვარო, რამდენიმე დღის შემდეგ გავემგზავრე მერტინში.

მერტინამდე მე ვიმგზავრე შვიდი დღე. ეს ქალაქი მდებარეობს მთაზე, რომლის სიმაღლე იქაურ მცხოვრებთა ორი ვერსი მიაჩნიათ. წყლით მერტინი მეტად ღარიბია, რადგან კარგი წყალი არ მოიპოვება და მომსვლელ უცხოელებმა წყალი უნდა სხვა ადგილებიდან მოიტანონ, რადგან იქაურმა შეიძლება აენოს მათს ჯანმრთელობას. მერტინის მცხოვრებნი საერთოდ ღარიბნი არიან. მაღალ ადგილმდებარეობისა გამო, აქ არ მოდის არაერთარი ხილი და არც მცენარეულობა.

არ ჩავთვალე რა საჭიროდ, რომ აქ დიდხანს გავჩერებულყავ, გავემგზავრე ტიგრანაკერტში. უძველეს და მშვენიერ ქალაქს ამჟამად ტიარბეკირი ეწოდება. იგი მდებარეობს მდინარე ტიგროსის ნაპირას. ამ ქალაქს გარშემო ძველს დროში შემოვლებული ჰქონდა ქვის მაგარი კედელი, მაღალი კოშკებით. მათგან ამჟამად მხოლოდ ნანგრევებიღა მოჩანს. ეს ქალაქი განთქმული იყო თავისი სიდიდით და მის გარშემო მდებარე ლამაზი სანახებით. ქალაქი მდიდარია უამრავი ხეხილით, და მისი მცხოვრებნი კარგადაც ვაჭრობენ ხილით. იქაური ჰავა მეტად ხელს უწყობს ნაყოფიერებას და ამიტომ მიწათმოქმედთა შრომა ყოველთვის უზგ სამკალით თავდება. სამწუხარო არის, რომ ასეთს მშვენიერს ქალაქში მცხოვრებნი მეტად ცუდნი არიან, აღარას ვიტყვი უცხოელთადმი სიძულვილის შესახებ, მათ ერთმანეთიც სძულთ. სიყვარულისა და ალერსის გრძნობა მოყვარისადმი სრულიად უცხოა მათი გულებისათვის. ამ ქალაქში ყველაზე მდიდრები არიან ებრაელები, რომლებიც აქ საკმარისად ცხოვრობენ.

აქედან გავემგზავრე ნინევიას. ამ ქალაქამდე გზაში თხუთმეტი დღე დავყავ. ეს ქალაქი ამჟამად იწოდება მოსულად. იგი ძალზე დიდია, და იმ მშვენიერ შენობებით, რომლებიც მასში ძალზედ ბევრია, იგი შეიძლება შესანიშნავ ქალაქად ჩაითვალოს. იგი მდებარეობს მდინარის ნაპირას, რო-

მელსაც მათებურად ეწოდება შ ა ტ ი. როდესაც მას უახლოვდებით არ შეიძლება ალტაცებაში არ მოხვიდეთ მისი ლამაზი სანახაობით. იგი, როგორც ტიკრანაკერტი, მდიდარია ხილით, მაგრამ ამ ქალაქის მცხოვრებნი არ გვანან მის მცხოვრებლებს; იმიტომ რომ ნინეფის მცხოვრებნი მეტად ალერსიანი და კაცთმოყვარენი არიან. მათ შორის მრავალი მდიდარია. იქაური ქალები შეიძლება ლამაზთა შორის შევრაცხოთ. იქაური მცხოვრებნი ყველანი არ აბუღად ლაპარაკობენ, ასე რომ იქ მცხოვრები ქრისტიანებიც სამღვთო წირვას ამ ენაზედ ასრულებენ.

დავყავ რა ცოტა ხანი ამ ქალაქში, მე გავემგზავრე ბ ა ბ ი ლ ო ნ ს. ეს ქალაქი ამჟამად ბ ა ლ დ ა დ ა დ ეწოდება.

იგი საკმარისად დიდია და ლამაზი. იგი შემოზღუდულია მაღალ და ლამაზად გაშენებულ კედლით. ამ ქალაქში ბევრი მცხოვრებია და მრავალი მათგანი მეტად მდიდარი. მათ აქვთ აღებ-მიცემა ევროპისა და სხვა ხალხთან. მათი ქცევის მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, უნდა ვთქვათ, რომ ისინი მეტად ამაყნი და მოუტყლენი არიან, თუმცა სტუმართმოყვარენი და კეთილმოსურნენი. ეს ქალაქი მდებარეობს მდინარე შატის ორსავე მხარეს, რომელთაგან ერთს ეწოდება დიდი მხარე და მეორეს — მცირე. ამ მდინარეზედ მდებარეობს მეტად მტკიცე ხიდი ხომალდებისა, რომლებიც ერთმანეთზე გადაბმულნი არიან უმაგრესი ჯაჭვებით. ქალაქის მცხოვრებნი ამ ხიდს უწოდებენ ჯ ი ს ი რ ს.

საკუთრივ ბაბილონელთა გარდა ამ ქალაქში მრავალი სხვა ეროვნებაც ცხოვრობს, როგორიცაა ინდო, სპარს-თურქი, სომეხი და ევროპიელი. ამ ქალაქში არის ნავსადგური რომელსაც ინგლისელები ფლობენ. მათგან ამ ნავსადგურს მიჩენილი ჰყავს ზედამხედველი, რომელსაც ბ ა ლ ი ო ზ ი ეწოდება. მას ამ თანამდებობის გარდა ევალება, როგორც მიღება სხვა ადგილებიდან მოსულ წერილებისა და დანიშნულებისამებრ დარიგება, ისე აქედან მათი გაგზავნა სხვადასხვა ადგილას.

დავტოვე რა ბაბილონი, მე გავემართე ბ ა ს რ ა ს და იქ 15 დღის შემდეგ მივედი. ეს ქალაქი მდებარეობს სპარსეთის სრუტის ნაპირას. საითაც გაიხედავთ, ყველგან გარშემო ვენახებია, ყველგან ბაღები სხვადასხვა ხილით სავსე. დიდი

ნიცხეების გამო, აქაური ჰავა ჯანმრთელობისათვის მავნებელია. ასევე აქაური წყალიც არაფრად არ ვარგა. მისი დაღვევა განსაკუთრებით აქ მოსულთათვის სრულიად არ შეიძლება. თვით იქაური მცხოვრებნი ჩივიან, თუმცა აქამდის უნდა შესჩვეოდნენ.

აქაც, ისევე, როგორც ზემოხსენებულ ქალაქში, მთავარ-მართებლად ინგლისელია. ინგლისიდან ამ ქალაქში წერილების მისაღებად და აქედან ინგლისში წარსაგზავნად შემოღებულია ხომალდის ყოველთვიურად თვეში ერთხელ გზავნა აქედან ბომბაიში და იქიდან აქეთ. ამ ხომალდს პაკეტი ეწოდება. ამ ქალაქიდან მდინარით ზღვამდე ჩასვლას სამი დღე უნდა.

აქედან ხომალდით, ერთ არაბთან ერთად, მე გავემგზავრე ზღვის პირას მდებარე ქალაქ მასკატს. ეს ქალაქი თითქმის ყოველმხრიდან შემოზღუდულია ძალზედ მაღალი მთებით, რომელთა მწვერვალები სრულიად უნაყოფოა. ამიტომ, ამ ქალაქს შეიძლება დამშეული ქალაქი ეწოდოს. მართლაც და ბაგრა და ბოშერნო, რომ არ აწვდიდნენ მას საჭირო სახმარს, იქ მცხოვრებნი არაბები სიღარიბეში იქნებოდნენ ჩაცვივნილნი საარსებო სურსათის მხრივ.

ამ ქალაქის მმართველს აქაური მცხოვრებნი იმამს უწოდებენ. იგი ყოველთვის შიშველი დადის, იფარავს რა წინიდან მცირე ტილოს ნაჭრით სხეულს. როდესაც იგი გამოჩნდება ხოლმე თავის ქვეშევრდომთა შორის, ეს უკანასკნელნი ემხობიან პირქვე მის წინაშე და გამოუთქმელი მოწიწებით ეამბორებიან მის ხელს. ამ სანახაობის დამსწრე უცხოელნი ვალდებულნი არიან სცენ აგრეთვე პატივი მას და სცემენ კიდევ, მხოლოდ თითოეული მისთვის შესაბამისად. აქ დიდი სიცხე იცის. ამიტომ, ამ ქალაქის ჰავა არც თუ ასე ჯანსაღია. თუმცა საარსებო მოთხოვნილებათა ნაკლებობა არის ამ ქალაქში, მაგრამ მცხოვრებთა უმრავლესობა მდიდარია.

ყველანი გამოუკლებლივ ცეცხლთაყვანისმცემელნი არიან. გავემგზავრე რა ზღვით მასკატიდან, 22 დღის შემდეგ მივედი ქალაქ ბომბაიში. მას თავის ადგილმდებარეობის მიხედვით, შეიძლება ეწოდოს სანაქებო ინგლისური ნავსადგური.

აქედან მგზავრობენ ხომალდებით ჩინეთს, სპარსეთს და ინდოეთს.

ბომბაი განთქმულია უფრო იმიტომ, რომ იქ აკეთებენ საუკეთესო ინგლისურ ხომალდებს. ნავსადგური ამ ქალაქში აშენებულია ევროპულ ნავსადგურების გეგმაზე პორტუგალიელების მიერ. ინგლისელებს ეს ნავსადგური ერგოთ პორტუგალიელებთან ქონების გაყოფის დროს.

მცენარეთა და ხილეულის მხრივ ეს ქალაქი მეტად ღარიბია, მაგრამ ამ ნაკლებობას ავსებს პანკალის სიუხვე. ასე რომ ზემოხსენებულ ქალაქის მცხოვრებნი ვაჭრობენ რა ამ უკანასკნელის მცხოვრებლებთან, არაფერი ისე ბლომად არ შემოაქვთ ბომბაიში, როგორც ხილი და სხვა მცენარეული.

ეს ქალაქი მეტად განთქმულია თავის ვაჭრებით, რომლებიც ძალზე მდიდრები არიან.

საერთოდ ყველა აქაური მცხოვრები ცეცხლთაყვანისმცემელია. თავისთავს ისინი კაბერს ანუ ფარსს უწოდებენ.

ბომბაიდან ინგლისურ გემით გავემგზავრე ქალაქ კოლუმბს, რომელიც მდებარეობს კუნძულ ცეილონზე. იქ მივედი 18 დღის შემდეგ. ძველად კოლუმბს ჰოლანდიელები ფლობდნენ. ახლა იგი ინგლისელებს ეკუთვნის.

მის მიდამოებში იზრდება მრავალი იშვიათი ხე, როგორცაა: სანდალი, მიხაკი, ილი, დარიჩინი და სხვა.

აქედან გავემგზავრე რა აღმოსავლეთისაკენ, მივედი ქალაქ მანარში, რომელიც მდებარეობს ოკეანის ნაპირას. ამ ქალაქთან არის ერთი ადგილი, საიდანაც სამ წელიწადში ერთხელ ძალზე ბევრ მარგალიტს ღებულობენ. ამ ქალაქის ჰავა მეტად ცხელია და ამიტომ იქ მცხოვრებლებს კანი ძალზე შავი აქვთ.

ყოველ არსთა უბრძნეს შემოქმედის ნაცვლად ისინი თავყვანს სცემენ ძროხებსა და წყალს, დადიან უჩქმოდ და უმაშიოდ, რადგან თავიანთ უმეცრებისა გამო, მიუტყვებელ ცოდვად მიაჩნიათ ფეხზე საქონლის ტყავის სამოსის ჩაცმა. მაგარი აგებულობისა გამო, ბევრი მათგანი ღრმა მოხუცებულობას აღწევს. არა ცხოველს არ დაჰკვლენ საჭმელად, რადგან მათ თავიანთ მსგავსად მიიჩნევენ და ამიტომ მათი საჭმე-

ლად ხმარება, მათი გონებით, იგივეა, რაც ადამიანთა ხორციით კვება. ამის გამო მცენარეული და ხილი შეადგენს ერთადერთ მათ საკმელს.

ზემოხსენებულ ქალაქიდან ზღვით გავემგზავრე ქალაქ ბონდოჩერს, ანუ კოსტ-მალვარს.

ეს ქალაქი ძველად ფრანგთა სამფლობელო იყო. ამჟამად მას ინგლისელები ფლობენ. იგი გაშენებულია ევროპის ქალაქთა გეგმაზე. მცხოვრებთა საკმაო ნაწილს ფრანგები შეადგენენ.



ნავსადგური მადრასში

მათ შეიძლება იქაური ძველი მცხოვრებნი ვუწოდოთ. ადგილობრივი მცხოვრებნი, ისევე როგორც მის გარშემო მდებარე ქალაქთა, ცეცხლთაყვანისმცემელნი არიან და კანიც შავი აქვთ.

აქედან ხმელეთით გავემგზავრე ქალაქ თრაკბერს, სადაც მივედი სამი დღის შემდეგ. დიდი ხანი არ არის, რაც ამ ქალაქს ინგლისელები ფლობენ. ეს ქალაქი გაყოფილია ორ

ნაწილად. იმ ნაწილში, რომელიც ზღვის პირას მდებარეობს, ევროპელები ცხოვრობენ, სხეულით ისევე თეთრკანიანები, როგორც ჩვენ, ხოლო მეორე ნაწილში ქალაქისა, რომელიც ამ ქალაქის გულში მდებარეობს, ცხოვრობენ ადგილობრივი მკვიდრნი, რომელთაც სხეულის კანი შავი აქვთ და რომელიც კერპთაყვანისმცემელნი არიან.

აქ იმავე ენაზე ლაპარაკობენ რა ენაზედაც კოლუმბში. დაერჩი რა რამდენიმე ხანი თრაკბერს, მე გავემგზავრე განთქმულ მადრასში, რომელსაც იქაური მცხოვრებნი ტანაბატინს უწოდებენ.

იგი, მსგავსად ზემოხსენებულ ქალაქისა, ორ ნაწილად იყოფა. ზღვის მაზლობლად მდებარე ნაწილში ცხოვრობენ ევროპელი ქრისტიანები, ხოლო თვით ქალაქში, ე. ი. მის გულში, ადგილობრივი მკვიდრნი, რომელნიც კანით შავნი არიან და კერპთაყვანისმცემელნი.

ზღვის მხრიდან ამ ქალაქს აქვს მეტად კარგი ციხე, რომელსაც მცხოვრებლები Fort Géorgie-ს უწოდებენ.


აქ დიდს ხმარებაშია საღებავი ფოთოლი, რომელსაც მათებურად ფანი ეწოდება, და რომელსაც ისე მიჩვეულნი არიან მცხოვრებნი, რომ მთელი დღის განმავლობაში პირიდან არ იშორებენ. ეს ფოთოლი დაღეჟის შემდეგ ძალზე ალისფერ საღებავად იქცევა ხოლმე და ამიტომ ვინც მას ხმარობს, ტუჩები და მთელი პირი თითქოს გასისხლიანებული აქვსო, ისე გეჩვენებათ. ეს მცენარე მრავლად იზრდება მადრასში და ჩვეულებრივ მცენარეთა შორის ირიცხება. მას საკმაოდ სასიამოვნო სუნი უდის. თუმცა იგი ჩვეულებრივი ბალახია, მაგრამ ინგლისელები მაინც ადგილობრივ მცხოვრებლებს მასშიაც გადასახადს ახდევინებენ, რაც ნახევარ მილიონამდის აღწევს. აქ მოსულ უცხოელებს არაფრით ასე არ უმასპინძლებიან, როგორც ამ ბალახით.

აქაური ჰავა ასეთი თბილია, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი მთელი წლის განმავლობაში არავეითარ სამოსს არა ხმარობენ, ძალზე წმინდა ტილოს გარდა, მასაც მხოლოდ ავდრიან დღეებში.

ეს ქალაქი მდიდარია ბევრი სხვადასხვანაირი და იშვიათი ხილით, მათ შორის ანანასებით.

მისი წყალი კარგია, მიწა—ნაყოფიერი. ამ ქალაქიდან 3 ვერსის მანძილზე მდებარეობს მოციქულ თომას სათლავი, ზოლო იქიდან ექვსი ვერსის მანძილზე — ამავე მოციქულის უდაბნო, სადაც გაშენებულია მონასტერი, მშვენიერი ეკლესიით.

ქალაქ მადრასიდან (დავრჩი რა იქ ცოტა ხანი და მსურდა რა სხვა ქალაქების გაცნობაც) გავემგზავრე ზღვით ქალაქ ბეკს ანუ რანხუნში. მაგრამ ის იყო შევედით ზღვაში,



მადრასი. ნავსადგურის კუთხე

ამ მრისხანე სტიქიაში, რომ უცებ საშინელი ქარიშხალი ამოვარდა, ზღვა საზარლად აღელდა, და ჩვენი ხომალდი სწრაფად დაქროდა რა აზვირთებულ ტალღებზე, აუცილებელ დღეებს გვიქადა. ამან გვაიძულა, რომ ქალაქ ბეკამდე მიუსვლელებმა, ღუზა ჩავაგდეთ ქალაქ მუშლი-ბანდართან, სადაც გადმოვედით რა ნაპირზე, მე იძულებული ვიყავ რამდენიმე დღე ჩემს ამხანაგებთან ერთად გამეტარებინა, სანამ ჩვენს ხომალდის საჭეს, რომელმაც ბევრი რამ განიცადა ქარი-

შხლისაგან, შეაკეთებდნენ. დასასრულ, გავემგზავრეთ რა აქედან, 15 დღის შემდეგ მივედით ქალაქ ბეკში. ამ ქალაქის შუაზე გადის მდინარე, რომელიც მას ორ ნაწილად ჰყოფს, რომელთაგან ერთს სწოდება ახალი, ხოლო მეორეს ძველი. ამ ქალაქის მცხოვრებლებს კანის ფერი თეთრი აქვთ, სახის მოყვანილობით ისინი ჩინელებს ჰგვანან. საქმელად ყველანი ბრინჯსა ხმარობენ და თევზს. მათ არავითარი პურეული არა აქვთ. ამ ქალაქს ფლობს ადგილობრივი ძველი თაობა, რომელსაც ხა ვ ა ბ ა რ მ ა ი ეწოდება.

ამ ქალაქიდან ერთი ვერსის მანძილზე იმყოფება სახლსადგომები მათი მოგვებისა, რომელთაც ლამას ან ბრამას ეწოდებენ.* აქ ბევრი მდიდარი ვაჭარია.

ბეკას ხშირი ტყე აქვს გარს შემორტყმული და იგი ხომალდების საშენ ხე-ტყეს აწვდის ინგლისელებს. ამ ქალაქში ინგლისელები ხომალდებს აშენებენ. თუმცა ხომალდების შენებით ბომბაი არის შეტად განთქმული, მაგრამ საუკეთესო ხე-ტყეს იგიც აქედანღებულა. ამ ქალაქს მართავს უფროსი ხა ვ ა რ ბ ა რ მ ა ი, რომელიც ყველა უცხოელს, ვინც კი იქ მივა რაიმე საქმის გამო, ახდევინებს 12 რუფიას.** აქაური მთავარმართებელი და მის მსგავსად გარშემო მდებარე ქალაქებისაც, ვალდებულნი არიან ყოველწლივ გამოცხადდნენ მეფესთან, რომელიც ცხოვრობს ქალაქ ხა ვ ა შ ი.

ქალაქი ბეკა დაშორებულია ქალაქ ხავადან 3 თვის სავალი გზით და ამ ქალაქში მისასვლელად რამდენიმე მდინარის გადასვლა არის საჭირო.

არაფერია იმაზე სასაცილო სანახავე, როგორც ამ მთავარმართებლებს შეხვედრა მეფესთან. გარდა იმისა, რომ მათ მასთან საუბრისას მისდამი მიმართვა შეუძლიათ მხოლოდ მისი ღვთაებად წოდებით, მეფის წინაშე მათ არამც თუ ჯდომის ნება არა აქვთ; არამედ არც დგომისა და ამიტომ იატაკზე მუცლით უნდა იწვნენ, და თუ იგი მათ რასმე შეეკითხება, ასე აუღგომლივ უნდა გასცენ მას პასუხი.

* მათ ღირსებას იმდენად პატივსცემენ, რომ დამნაშავე, რომელსაც მეფისაგან მისჯილი აქვს სასჯელი, ლამას სახლში შესვლით თავს იხსნის სასჯელისაგან.

** იქაური ფული 2 რუფია ვერცხლის ერთ მანეთს უდრის.

ერთ დღეს მომესურვა იმ ადგილის ნახვა, სადაც ხომალ-
დებს აშენებენ. მე მეგონა, რომ იქ აშენებულ გემების სიმრავ-
ლის გამო, ის ადგილი ძალიან დიდი იქნებოდა. მაგრამ გავ-
კვირდი, როცა იგი არც თუ საკმარისად ფართო იყო. იგი
შემოზღუდულია მესრით და გარშემო საშინელი ლაფია-
ჩემი მისვლა იქ, ერთის მხრივ, საბედნიერო იყო და მეორის
მხრივ, საუბედურო. საბედნიერო იმიტომ, რომ სწორედ იმ
დროს დაიწყეს მეფის ხომალდის კეთება. ეს ჩემს ცნობის-
მოყვარეობას აღძრავდა. გარედან ხომალდს ბაჯალლო ოქრო-
შემოაქედეს, ხოლო შიგნიდან სულ ძვირფასი ხეებით უნდა
მოეწყოთ. საუბედურო კი იყო ეს ჩემთვის იმიტომ, რომ
ჯერ მე არც კი დავმტკბარიყავ ამ ძვირფას სახანაობით, რომ
უცებ ხალხის ბრბო შემომერტყა, შემიპყრეს, მემუქრებოდნენ
თავის მოკვეთას. და მერე რისთვის? იმისთვის რომ, მე მიწ-
დოდა რა დაწყებულ გემის ახლო ნახვა, და რაკი ლაფის
გამო ვერ მოვახერხე მისვლა, ჩემი გულუბრივეობით, ამ
გემისათვის განკუთვნილ ერთ ფიცარზე გავიარე. იქნება
თავიც წამეგო, რომ ზოგიერთი, სიმდიდრით განთქმული სო-
მეხი არ გამომქომაგებოდა და არ დაერწმუნებინათ უფროსი,
რომ მე ეს ჩავიდინე ჩემი უცოდინარობით. ეს ქალაქი განთ-
ქმულია ძვირფასი ქვით—იაგუნდით, რომელიც აქ მრავლად
მოაქვთ. ის ვაჭრები, რომელთაც მინიჭებული აქვთ უფლება
მისი თხრით ძიებისა, ისე შეზღუდულნი არიან, რომ თუ
თხრის დროს ისეთი ძვირფასი ქვა იპოვეს, რომელიც სიდი-
დით ცერცვის მარცვალს აღემატება და ამასთან კარგი წყლი-
საა, ვალდებულნი არიან მიართვან ქალაქის უფროსს, ხოლო
იგი აგზავნის მათ სახელმწიფო ხაზინაში; აღნიშნულ სიდიდე-
ზე მცირე ქვები კი ვაჭრებს შეუძლიათ გამოიყენონ და გა-
ყიდონ. ეს პირობა ისე სასტიკად სრულდება, რომ ვინც ამას
გაღუხვევს, სიკვდილით ისჯება. აქვე მოიპოვება ვერცხლისა
და ტყვიის ქანები. მრავლად იცის აგრეთვე სპილო, რომლის
ძვლებით აქაური მცხოვრებნი ბევრს ვაჭრობენ. ინგლისელებ-
მა მრავალჯერ სცადეს ამ ქალაქის დაპყრობა, მაგრამ უშე-
დეგოდ. ნავსადგური ამ ქალაქისა ისე მყარია და მიუდგო-
მელი მტრისათვის, რომ მას ვერც ერთი მხრიდან ახლო ვერ
მიუდგებიან. ქალაქს ჩაუდის მდინარე, სავსე ნიანგებით.

ქალაქ ბეკიდან რამდენიმე მგზავრთან ერთად გავემგზავრე ოკეანით ქალაქ კალკადაში. ეს ზღვით მოგზაურობა დასაწყისში ძალიან სასიამოვნო იყო, რადგან ჩვენ მეტად წყნარად მივცურავდით, მაგრამ ჩვენი მგზავრობის მე-18 დღეს ატყდა საშინელი ქარიშხალი, და ოკეანის ტალღები ყოველ წამს სიკვდილს გვიქადა. ჩვენი გემი დიდხანს ებრძოლა აქაფებულ ტალღებს. მაგრამ ბოლოს, მათ ძალას უნდა დაზორჩილებოდა და იგი მთლად დაიმსხვრა. მის დაღწევისას ბევრი მგზავრი დაგვეღუპა. ღვთის განგებით, მე და ჩემი სამი ამხანაგი გადავცვივდით გემზე მიბმულ ნაეში და ამით გადავირჩინეთ თავი. 19 დღე ამ ნავით ვეხეთქებოდით ოკეანის ტალღებს. მრავალჯერ ვცადეთ ნაპირზე მიდგომა, მაგრამ გვეშინოდა ნიანგებისა, რომლებიც იქ ბლომად იცის. ამასთან, ოკეანის ნაპირას მდებარე ტყეებიდან გვესმოდა საშინელი ბრღღვინვა ლომებისა და ამიტომ ვერ გავებდეთ ნაპირზე გადასვლა. ამ ხნის განმავლობაში ჩვენი ერთადერთი საკვები იყო მხოლოდ ბალახეული და სხვადასხვა ფესვები. ბუნება მთელი თავისი სილამაზით მკვდარი იყო ჩვენთვის, ვერც დიდებულ სანახაობებს, ვერც ფრინველთა სასიამოვნო გალობას, რაც ისმოდა ოკეანის ნაპირას, ვერ წარეხოცა განცდილი საშინელებანი ჩვენს სულიდან. ყველგან შიში და ძრწოლა გვდევდა თან და ჩვენდა საუბედუროდ არსად არ ჩანდა კვალიც კი ადამიანისა. დასასრულ, ჩამოდგა რა ბუნეზაში მყუდროება, ჩვენც დავმშვიდდით. ამგვარად, მივემართებოდით ნელ-ნელა სულ წინ და წინ, საკეთილო ქარის ქროლაზე. მალე ოკეანედან შევცურდით მდინარე კიკაიაში. აქ მივაყენეთ რა ნავი ნაპირას, დავრჩით იქ შუალამედის ისე, რომ არავინ გვინახავს. უცებ შორიდან შუქი გამოჩნდა: ჩვენ იმ წამსვე ვეცით იქით, საიდანაც შუქი გამოკრთოდა.

როდესაც იმ ადგილს მივუახლოვდით, შევნიშნეთ, რომ იგი გამოკრთოდა ერთ ნავიდან, რომლის გვერდით იდგა მებადღური, რომელიც როგორც ეტყობოდა, თევზის საჭერად ემზადებოდა. როგორც კი შევგნიშნა, რომ მას უახლოვდებით, უცებ ჩახტა ნაეში და სასწრაფოდ წყალში ცურვით მიგვემალა თვალთაგან. ჩვენ ისევ უცნობ ადგილას დავრჩით მარ-

ტონი, გულით მწუხარენი. რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ მახლოვლად ცეცხლი გამოკრთა და ჩვენ გამოგვაცოცხლა, გაგვიხარდა: ეს იყო მეორე მებადური. მას ცეცხლი ნავში გაეჩაღებინა. ჩვენ მალულად მიეუახლოვდით მას, მაგრამ როგორც კი გავეცით ხმა, იგი ძალზე შეშინდა და პირდაპირ წყალში გადავარდა. ჩვენ ერთხმად მივაძახეთ ყველამ, რომ ჩვენც მის მსგავსი ადამიანები ვართ. როცა იგი გონს მოვიდა, ჩვენსკენ მობრუნდა. ჩვენ უამბეთ მას რაც თავს გადაგზვდა. მან წაგვიყვანა თავისთან და თავის სოფელში მიგვიყვანა. აქ ჩვენ დავყავით 8 დღე. ამის შემდეგ გავიყოლეთ თვით ის მებადური და განვაგრძეთ გზა.

სამი დღის შემდეგ მივედით ქალაქ ბაჰარკანში, სადაც მთავარსარდლად ინგლისელია. ჩვენ მივედით მასთან. მან მეტად აღერსიანად მიგვიღო, მოგვცა ახალი ტანისამოსი. რამდენიმე დღე თავისთან გვამყოფა, გვიბოძა ყველაფერი, რაც კი გზაში დაგვჭირდებოდა და ინგლისურ ხომალდით გაგვისტუმრა ქალაქ კალკადაში, სადაც ჩვენ, ღვთის განგებით, მშვიდობით მივედით 15 დღის შემდეგ.

ქალაქი კალკადა მეტად ლამაზი და საუცხოვო რამ არის. მასში ბევრი მდიდარი მცხოვრებია. იგი მდებარეობს მდინარე განგესის უბის ნაპირას.

იქ ბევრი სომეხია. აქაური სომეხები ცხოვრობენ მეტად მდიდრულად და საუცხოოდ. მათ უცხოელებთან დიდი ვაჭრობა აქვთ გაჩაღებული. ინდოელების გარდა, რომლებიც ყველა კერპთაყვანისმცემელია, და გარდა ადგილობრივი მკვიდრი მაჰმადიანებისა, აქ ცხოვრობენ ინგლისელები, ფრანგები და ყველაზე მეტი პორტუგალიელები. ესენი ვაჭრობენ ერთიერთმანეთში და ბაჟს არავის უხდიან.

ამ ქალაქში მთავარსარდლად ინგლისელია. ადგილობრივი მცხოვრებნი მას ლარტს უწოდებენ. იგი მართავს მთელ ინდოეთს. მის მმართველობაში მყოფი ინგლისური კამპანია ყოველწლივ შემოსავალს ღებულობს 500 მილიონ რუფიამდის; მაგრამ ამასთან ამ ფულიდან მას ძალიან მცირე რჩება, რადგან მას ხარჯიც ძალიან ბევრი აქვს: ამ თანხიდან იგი ვალდებულია ჯამაგირი მისცეს აქაურ ჯარს, რომელიც მრავალრიცხოვანია.

ამ ქალაქის ჰავა მეტად ცხელია და წყალიც ძალიან ცუდი. ამიტომ არის, რომ, აქაური მცხოვრებნი წვიმიან დღეებში დიდ გეჯებს უდგამენ წვიმას წყლის შესაგროვებლად და საქმელში სახმარად. აქაური წყალი ივარგებდა კიდევ სახმარად, მაგრამ ვინაიდან ინდოელების ჩვეულებისამებრ ცოტას შეტრუსავენ რა ცეცხლზე მიცვალებულის გვამებს, შემდეგ მათ წყალში ჰყრიან, ამიტომ წყალს, გვამების გახრწნის გამო, არასასიამოვნო სუნი უდის და არაფერში არ იხმარება.

ადგილობრივი მკვიდრი ინდოელები და მაჰმადიანები იკვებებიან მხოლოდ ბრინჯითა და თევზით; პურს სრულებით არ ხმარობენ.

აქ საერთო სალაპარაკო ენა იგივეა, რაც პანკალში.

მთელს ინდოეთში ინგლისურ ჯარის რიცხვი 150 ათას აღწევს; ადგილობრივ ჯარს კი შავებს უწოდებენ. თუმცაღა ინდურმა ჯარმა ისე კარგად იცის სამხედრო დისციპლინა, რომ იგი არაფერში არ ჩამორჩება ინგლისურს.

ფთობების თითოეული ჯარისკაცი ყოველთვიურად ჯამაგირს 7 რუფიას ღებულობს, და ჯამაგირის გარდა ძროხის ხორცსა და ღვინოს. ამდენსავე ფულს ღებულობს შავი ჯარისკაციც.

კაპიტნები ღებულობენ 250 რუფიას;

პოლკოვნიკი—1500;

მდივანი—2000;

გენერალ გუბერნატორი—10.000;

ექიმი—2000;

ცხენოსანი ჯარისკაცები ყოველთვიურად ღებულობენ 30 რუფიას, გარდა იმ ფულისა, რომელიც მათ ცხენისათვის ეძლევათ.

კალკადის რუფია უდრის აქაურ 2 მანეთს.

ზღვის პირას ამ ქალაქში გაშენებულია ძველებური ციხე, რომლის მიდამოებში ცხოვრობენ ევროპელები, ხოლო სამხრეთ მხარეზე ცხოვრობენ ადგილობრივი მკვიდრნი.

სსენებული წყალი განგეს ანუ განგა ქალაქს სამი მხრიდან ერტყმის. ეს მდინარე სავსეა ნიანგებითა და კუებით.

რადგან ამ ქალაქში ბევრი კარგი შენობაა და მეტად მდი-

დარი ვაჭრები ცხოვრობენ, ინგლისელები მას მეორე ლონდონს უწოდებენ.

დაერჩი რა ამ ქალაქში საკმარისი დრო, განეაგრძე მეზავრობა და ერთ დღეში მიველ ქალაქ სირამპურას. ეს ქალაქი კალკადიდან 20 ვერსზე მდებარეობს. ამ ქალაქს შეიძლება ეწოდოს ყველაზე ცნობილი სავაჭრო ქალაქი. იგი წინათ დანიას ეკუთვნოდა, ახლა მას ინგლისელები ფლობენ. აქაური მცხოვრებნი სახლებს ევროპელების წესზე იშენებენ.

გამოვემგზავრე რა სირამპურადან, გავემართე ქალაქ ჩიტრასკენ.

ეს ქალაქი კალკადიდან 40 ვერსზე მდებარეობს. ძველად მას ჰოლანდიელები ფლობდნენ, ახლა ინგლისელებს ეკუთვნის.

ქალაქ ჩიტრადან გავწიე მარშატატს ანუ მახსუტატს და 4 დღის მგზავრობის შემდეგ მივედი იქ. ეს ქალაქი კალკადიდან 150 ვერსზე მდებარეობს.

აქ აქვს თავისი საბრძანებელი ინდოელთა ნაბაბს. აქედან იწყებენ საკუთრივ ინდურ ენაზე ლაპარაკს. თუმცა ქალაქს ინგლისელები ფლობენ, მაგრამ ნაბაბსაც საკმარისი შემოსავალი აქვს.

ნაბაბი შეიძლება ამ ქალაქის უძლეველს მფლობელად ჩაითვალოს.

დავტოვე რა ხსენებული ქალაქი, გავემგზავრე მუნკირს და 8 დღის შემდეგ მივედი იქ. ეს ქალაქი მდებარეობს მდინარე განგესის ნაპირას, მთის ფერდობზე. ამ ქალაქის მცხოვრებნი საერთოდ ხელოსნები არიან. აქ მრავლად იზრდება წითელი და შავი ხე.

აქედან გავემგზავრე ქალაქ აზიმპატს ანუ ფატონში.

იგი მდებარეობს მდინარე განგესის ნაპირას. აქაური ჰავა მეტად კარგია. აქაურ მცხოვრებლებს საარსებო სურსათის მხრივ არაფერი არ აკლიათ. აქ ხმარობენ ჭის წყალს, რადგან მდინარის წყალი არაფრად არ ვარგა იმის გამო, რომ მასში მიცვალებულთა გვამებს ჰყრიან, რაც მას აყროლებულსა და მაწყინარს ხდის.

ამბობენ, რომ ამ ქალაქს საფუძველი ჩაუყარა ვინმე ინდოელ მეფისწულმა, რომელსაც სახელად აზიმუჩანი ერქვა, ამიტომაც არის რომ ქალაქს აზიმპატი ეწოდება.

აქ აქვთ ერთი ჩვეულება, რასაც უსასტიკესი უნდა ეწოდოს. სახელდობრ: ორივე სქესის ავადმყოფსა და სუსტ ადამიანებს, თუკი მათი მოგვები მათ შესახებ იტყვიან, რომ ისინი სიკვდილის პირას არიან, ჩასდებენ კუბოში, მოიტანენ მდინარე განგესთან, შეიყვანენ მათ მუხლამდე წყალში და მრავალჯერ ჩაასხამენ რა პირში წყალს, აიძულებენ წარმოსთქვან სიტყვები: კინა-ნარაინ, ე. ი. უფალო ღმერთო. შეუძლებელია გულის აუთრთოლებლივ უმზიროთ ამ სანახაობას. თუ ვინმე იმ უბედურთაგანი განუტევებს სულს, მის სხეულს ცოტა ხნით შეტრუსავენ მცირე ცეცხლზე და შემდეგ წყალში გადააგდებენ. თუ ისე მოხდა, რომ რომელიმე მათგანმა ძალა მოიკრიბა და გაჯანსაღდა, მათ მოგვები საზიზღარსა და ღვთის უნდოს უწოდებენ. მათ ქალაქში ცხოვრების უფლება ერთმევათ. ისინი უნდა გადასაქლდნენ ასეთ უბედურთათვის საგანგებოდ გაშენებულ სოფელში, რომელიც მდინარე განგესის მეორე მხარეზე მდებარეობს. ინდოელები ამ სოფელს მუდრუნკი კრამს ე. ი. მკვდართა სოფელს უწოდებენ.

ამ სოფლის მცხოვრებლებს ინგლისელები არავითარ ბაჟს არ ახდევინებენ, რადგან ისინი, ინდოელების ჩვეულებისამებრ, მათ მკვდართა შორის სთვლიან.

დაეტოვე რა აზიმაპატი, ხსენებულ მდინარით გავემგზავრე ქალაქ ბანარისში და 17 დღის შემდეგ მივედი იქ. ამ ქალაქის ჰავა უკეთესია და ჯანსაღი ზემოხსენებულ ქალაქისაზე. ამიტომ არის, რომ ამ ქალაქში ბევრია დიდიხნის მოხუცი.

ამ ქალაქს მდებარეობა ძალიან კარგი აქვს; მასში ბევრია თვალწარმტაცი და შესანიშნავი შენობა, ეს ქალაქი ინდოელებისათვის ითვლება აღთქმის ქალაქად იმის გამო, რომ მოხუცებას მიღწეული ინდოელები სტოვებენ რა თავიანთ ოჯახებს და მთელს ქონებას, გარდა დარჩენილ სიცოცხლისათვის საჭირო საარსებო ფულისა, რომელსაც თან იყოლებენ, ეთხოვებიან სამუდამოდ თავიანთ ცოლ-შვილსა და ყველა ნათესავს, მიდიან ამ ქალაქში იმ მიზნით, რომ აქ განუტევიონ სული. ეს ჩვეულება ისე ღრმად აქვთ მათ გამჯდარი, რომ მათი რწმენით, ვინც ამ ქალაქში გარდაიცვლება, იგი საიქიოს განთავისუფლებული იქნება ყველა სატანჯველისაგან, რითაც უნდა დასჯილიყო.

აქაური მცხოვრები ყველა კერპთაყვანისმცემელია. ისინი დიდ პატივს სცემენ ძროხას. თვით მის შარდს იცხებენ პირზე და შარდითვე სწმენდენ წაბილწულ ქურქელს.

აქედან 120 ვერსზე მდებარეობს ქალაქი ლაკნაპორი, სადაც იმყოფება ინდოელთა ნაბაბი.

აკ ბევრია ქურთად წოდებული ხალხი. ხსენებულ ნაბაბის ყოველწლიური შემოსავალი აღწევს 20 მილიონს; მაგრამ, რადგან ინგლისელებს ემორჩილება, იგი აძლევს მათ გარკვეულ თანხას.

ორ ვერსზე ამ ქალაქიდან დგას 2000 ინგლისელი ჯარისკაცი თავიანთი უფროსით. ნაბაბსა და ხსენებულ ჯარის უფროს შორის ურთიერთ თანხმობა სუფევს.

ზემოხსენებულ ქალაქიდან, სამ დღის ხმელეთით მგზავრობის შემდეგ, მივედი ქალაქ კამბერში, სადაც ინგლისელების დიდი ჯარი დგას.

ამ ქალაქს შეიძლება ეწოდოს ლამაზი და მშვენივრად გამაგრებული ნავსადგური, სადაც მრავალი გემი ჩერდება. ეს ქალაქი განთქმულია ცხოვრებისათვის საჭირო ყოველგვარ სურსათით.

აქედან გავემგზავრე ქალაქ ფარახაპატში, სადაც მიველი 4 დღის მგზავრობის შემდეგ. ამ ქალაქში ჰავა კარგია. აქ იმყოფება ინდოელთა ნაბაბი, მრავალი მაჰმადიანი და კერპთაყვანისმცემელი.

ეს ქალაქი ინგლისელებმა უბრძოლველად დაიპყრეს. იგი ნებაყოფლობით დანებდა ინგლისელების მმართველობას; ამიტომ ინგლისელები ნაბაბს ყოველთვიურად აძლევენ 1600 რუფიას, როგორც ჯამაგირს.

გავემგზავრე რა ამ ქალაქიდან, 6 დღის შემდეგ მივედი ქალაქ მერედში. ეს ქალაქი ახლა ინგლისელებს უჭირავთ და შიგ საკმარისი ჯარი უყენიათ.

ამ ქალაქიდან გავემგზავრე დელის, რომელსაც შეიძლება სატახტო ქალაქი ეწოდოს.

ამ ქალაქს ეწოდება აგრეთვე შაჰჯანაპატი, რადგან იგი დაარსებულია შაჰჯანის მიერ, რომელიც ინდოელთა მეფე იყო.

დელი განთქმულია შესანიშნავ მიხედვებით და ულამაზეს

2. რ. დანიბეგაშვილი

შენობებით, რაც მასში ძალიან ბევრია. ყოფილი მათი მეფის სასახლე მთლად ოქროთია მოჭედილი.

ამ ქალაქში არის ტაძარი, რომელსაც ჯ უ მ ნ ა მ ი ზ გ ი თ ს უწოდებენ. იგი მთლად ბაჯადლო ოქროთი არის მოჭედილი და ისეთი მაღალია, რომ 12 ვერსიდან ჩანს ქალაქს რომ უახლოვდებით.

აქვე არის პორფირის ქვისაგან ნაგები მცირე ციხე მდინარე ჯ უ მ ნ ა ს ნ ა პ ი რ ა ს . ეს ციხე ისეთი ხელოვნებით არის აგებული, რომ არსად უმცირესი ქუჭრუტანაც არ გადის.

ამ ციხის შუაგულში მოთავსებულია მეფის სასახლე წმინდა მარმარილოსი, ასევე ვანსაცვიფრებელ ხელოვნებით ანაგები. ამ სასახლის წინ გაშენებულია მშვენიერი მცირე ბაღი, საესე სურნელოვან ხეებით, როგორცაა: მიხაკის ხე, ბროწეულის და სხვ. ამ ბაღში ერთხელ ყოველწლივ ყველას ეძლევა სეირნობის ნება. ბაღის შუა ადგილას არის მშვენიერი ქა, მარმარილოს ქვით გამოწყობილი. მისი სიღრმე 5 წყრთაა, ხოლო სიფართე—14. გაკეთებულია წრისებურად. აქ ბანაობდა ხოლმე მათი მეფე.

ჩემს აქ ყოფნის დროს დელის მფლობელმა მე დამავალა ხალხზე დაწესებულ გადასახადის აკრება. ამ თანამდებობის გამო მათ მეფისაგან ყოველთვიურად მეძლეოდა 200 რუფაა.

ინგლისელებმა დაიპყრეს რა ეს ქალაქი, მეფეს ეს მშვენიერი სასახლე წაართვეს და ამ დანაკლისის სანაცვლოდ ყოველთვიურად 100.000 რუფაა დაუნიშნეს.


მერედ დიდან 300 ვერსზე მდებარეობს მთა სირინაგორი, საიდანაც გამომდინარეობს მდინარე განგესის სათავე.

აქ ყოველწლივ იმართება დიდი ბაზრობა. ამ ბაზრობაზე მოდიან ინდოელები, თვით 5000 ვერსზე დაშორებით მცხოვრებლებიც კი, და თაყვანსსცემენ განგესის მდინარეს. ამავე დროს აქ თავს იყრიან მაჰმადიანები სხვადასხვა საქონლით ვაჭრობისათვის. შეიძლება ითქვას, რომ ამ ბაზრობაზე 500.000 კაცი იყრის თავს.

თაყვანისსაცემად მოსულ ინდოელებს ინგლისელები ახდევინებენ ბაჟს თითო რუფიას, და აძლევენ ხელწერილს, ანუ ბილეთს განგესის მდინარის თაყვანისსაცემად. აქვე ხდება

უმშვენნიერესი ცერემონია და შემდეგ იწყება ვაჭრობა. ეს ამბები მთელი თვე გრძელდება.

კარგა ხანს დაერჩი რა ამ ქალაქში, შემდეგ გავემგზავრე ქალაქ ფადიფურს. ეს ქალაქი მდიდარია, განთქმულია თავის უშვენნიერ შენობებით და ვაჭრებით, რომლებიც ძალიან მდიდრები არიან. ყველა აქაური მკვიდრი კერპთაყვანისმცემელია.



ძველი დელის ნანგრევები

ქალაქს შემორტყმული აქვს შვიდი მიწაყრილი ჯებირი, რასაც მისდევს თვით ქალაქის მახლობლად შემოვლებული თხრილი, სავსე წყლით. თხრილის სივანე 6 წყრთას უდრის.

ძველად ეს ქალაქი იყო შოგოლთა მეფის სატახტო, დღემდე აქ შენახულა მისი სასახლე, თუმცა იგი თითქმის მთლად ჩაშინგრეულა.

იქაურმა უბრალო ხალხმა, არ მოისურვა რა ინგლისელების მფლობელობაში ყოფნა, თვით აირჩია თავის შორის მფლობელი, რომელიც მათ განაგებს თავისუფლების შეუზღუდველად.

იქაურმა მცხოვრებლებმა მიამბეს, რომ როცა ინგლისელები ამ ციხეს იღებდნენ, ამოავსეს რა ზემოხსენებული თხრილი მიწით, ქალაქის კედლების წინ დადგეს სხვადასხვა მანქანები, მაგრამ როგორც კი შედგნენ ამ მანქანებზე ისინი ფხვიერ მიწაში ჩაიფლნენ და ამგვარად გამარჯვება ვერ მოიპოვეს.

უბრალო ხალხმა ისარგებლა ამ შემთხვევით, აიჭრა ციხეზე და ვისაც რა იარაღით შეეძლო მოქმედება, იბრძოდა, ინგლისელების წინააღმდეგ და ძალზე ბევრაც გაჟლიტა.

თვით ქალები, აღფრთოვანებულნი თავიანთ ქმრების ასეთი თავგანწირულობით, რადგან არ შეეძლოთ ემოქმედათ რაიმე სამხედრო იარაღით, მდუღარე ზეთს ასხამდნენ მტრებს თავზე. ამ ბრძოლაში დაიღუპა 40 ინგლისელი უფროსი, ხოლო უბრალო ჯარისკაცი—20.000

ინგლისელები სევრს ეცადნენ, მაგრამ მათდა სამარცხვინოდ, ხელი უნდა აეღოთ თავიანთ ცდაზე. ამ საქმეში ინგლისელ ჯარის მთავარსარდალი იყო ლიკი.


ფადიფურიდან მე გავემგზავრე ქალაქ ლაჰორში იგი საკმაოდ დიდია და მდიდარი. მდებარეობს მდ. რავის ნაპირას.

მისი ჰავა კარგია და ჯანსაღი. მიწა—ნოყიერი და ნაყოფიერი. აქ ქსოვენ მრავალნაირ აბრეშუმის და შალის ქსოვილებს. აქაური მკვიდრნი კერპთაყვანისმცემელნი არიან. აქ მრავალი უცხოელიც ცხოვრობს. ნაგებობით ეს ქალაქი მეტად ლამაზია. ამ ქალაქს განსაკუთრებულ სილამაზეს ანიჭებს საუცხოო სასახლე მოგოლთა მეფისა, სასახლე სადაც ცხოვრობდნენ ძველი მათი მეფენი.

აქედან რომ გავემგზავრე, 40 დღის მგზავრობის შემდეგ მიველი ქალაქ ნორპორს ანუ ფარს, რომელიც მდებარეობს მთაზე.

ამ ქალაქში შესვლისას პირველი სანახაობა, რაც თვალწინ წარმომიდგა, იყო მეტად სამწუხარო და ამადლევებელი. გარდაცვლილიყო ერთი კერპთაყვანისმცემელი. უნდა დაეწვათ იგი, აი როგორი ცერემონიის შესრულება იცინ ასეთ დროს: ჩაასვენეს რა გარდაცვლილის გვამი საკმარისად შემკულ კუბოში, წაასვენეს იგი მათი ჩვეულებისამებრ და-

საწველად განკუთვნილ ადგილას. განსვენებულს ორი ცოლი ჰყავდა. მშვენიერსა და ძვირფას სამოსში გამოწყობილნი ისინი უკან მისდევდნენ ქმრის კუბოს. როგორც კი მივიდნენ დანიშნულ ადგილას, მოამზადეს დიდი საკოცონე შეშა, დააწყეს მასზე ლატნები და დაასვენეს გარდაცვლილის გვამი. რადგან იქაურ ულმოებელ ჩვეულებისამებრ, ქმრის სიყვარულის გამო, ცოლები უნდა ნებაყოფლობით შეეწირონ



დელი. ქუთუბის მიზგითი

ცეცხლს, ამიტომ ეს ორი მდიდრულად გამოწყობილი დედა-კაცი ორივე მხრიდან მოუჯდა თავის ქმარს საკოცონეზე. მოგვებმა დაასხეს რა სამივეს საკმარისი ზეთი და სხვა ასანთები ნივთიერებანი, უცებ აღაგზნეს კოცონი ყოველ მხრიდან და ეს ორი უდანაშაულო მსხვერპლი, მათი ქმრის გვამთან ერთად, ცეცხლმა შთანთქა. ანთებულ კოცონის გარშემო მდგარმა ხალხმა დაიწყო სხვადასხვა საკრავების დაკვრა და უკრავდნენ მანამდის, სანამ გარდაცვლილი ამ უბედურებთან ერთად მთლად ნაცრად არ იქცა.

მაგრამ ცოლებს შეუძლიათ არ შეასრულონ ეს არაადამიანური ჩვეულება. ნათესავეები და ნაცნობები მათ ურჩევენ კიდევ, რომ იცოცხლონ თავიანთ შვილებისა, თუ ქმრის მონაგარის საპატრონოდ. ხოლო, თუ ისინი გადასწყვეტენ თავის განწირვას და მიუახლოვდებიან კოცონის ალს შიგ ჩასაგარდნად, მაგრამ საშინელების წინაშე შეკრთებიან და მოისურვებენ უკან დაბრუნებას, მაშინ კოცონის გარშემო მდგარი ხმლიანი დარაჯები სხვა სიკვდილით დაემუქრებიან — ხმლებზე აკუწვით, რასაც ეს უბედურები ასეთ შემთხვევაში ვერ გაექცევიან, როგორც არაღირსნი სიცოცხლისა.

ნორპორის მახლობლად არის ცეცხლის მდრქვეველი მომცრო კაჟიანი მთა, რომლიდანაც განუწყვეტლივ ამოდის ალი. ამ მთაზე არის ნაკადულიც. ინდოელთა მოგოლმა აკბარმა განიზრახა ამ ცეცხლის ჩაქრობა და უბრძანა არხის გაყვანა, რომ ნაკადულის წყლით ეს ცეცხლი ჩაექროთ; მაგრამ, ყველაფერი ეს ამაო იყო და მისი დაწყებული საქმე უშედეგოდ დასრულდა. ამ ადგილის თაყვანისაცემად ინდოელები იკრიბებიან, თითქმის ყველა კუთხიდან, ასე რომ მათი რიცხვი 200 ათასიდან 300 ათას კაცამდე აღწევს; ეს ხდება ყოველწლივ. ამ ცეცხლს ეწოდება: ჯულამუქი, რაც რუსულად ნიშნავს: წმინდაო ქალბატონო, შემიწყალე.


მე მომესურვა გამგზავრება ყველა ევროპელისათვის ცნობილ, სახელგანთქმულ ქალაქ ქაშმირში; და რომ დამეკმაყოფინებინა ჩემი ცნობისმოყვარეობა, გავემგზავრე იქ ნორპორიდან. კარგახნის მგზავრობის შემდეგ მივედი ამ ქალაქში, რომელიც მდინარე რადავაზე მდებარეობს.

მთელს ინდოეთში არსად თოვლი არ მოდის ამ ქალაქს გარდა. აქ მოსული თოვლიც არავეითარ ზიანს არ აყენებს აქაურობას. ამ ქალაქში მრავალი მომცრო მდინარეა, სადაც ნაგებით ცურაობენ.

აქედან გააქვთ ყველასათვის ცნობილი შალეები. ამ ქალაქის მიდამოებსა და თვით ქალაქში ითვლება 24 ათას დაზგამდე, რაზედაც ქსოვენ შალებს. ამ ქალაქის მთავარმართებელი ყოველდღიურად იქაურ ფართლეულზე 3000 რუფიას ღებულობს; მის ბექდის გარეშე ერთი თავშლის გაყიდვაც არ შეუძლიანთ.

მთელი შემოსავალი, რასაც ხსენებული მთავარმართველი
ღებულობს, ყოველწლიურად მილიონამდის აღწევს.

ამ ქალაქის მკვიდრთა უმრავლესობა მაჰმადიანურ კანო-



ძველი დელი. ქუთუბ-ედ-დინის მიზგითი. საერთო ხედი.
მინარეთის სიმაღლე—72,6 მ. ფუძის დიამეტრი—14 მ.
(1193—1300 წ. წ.)

ნის მიმდევარია და კერპთაყვანისმცემელი; საერთოდ — ხელ-
მოკლენი, ავზნიანი და უწესონი არიან.

ამ ქალაქის მმართველი ყაბულის მეფის ქვეშევრდო-
მია. ამბობენ, რომ ამ ქალაქის სიგრძე აღწევს 100-ს ვერსს,
ხოლო სიგანე 40-ს.

საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ ქაშმირის სახლები არც თუ ეგოდენ მშვენიერებია. მცხოვრებთა უმრავლესობა საქმე-ლად ხმარობს მოხარშულ ხორბალს, ზეთსა და კომბოსტოს. მხოლოდ შეძლებულები სვამენ ჩაის რძითა და კარაქით. ამ ქალაქის ჰავა კარგია და ჯანსაღი, აგრეთვე წყალიც. ქალაქს გარშემო ერტყმის ძალზე მაღალი მთები, რომლებზედაც არა-ვითარი მცენარეულობა არ ხარობს.

ინგლისელებს ძალიან უნდათ ამ ქალაქის დაპყრობა, მაგ-რამ დღემდე მათი სურვილი უშედეგოა.

ქაშმირელთა ერთ-ერთი კანონი ასეთია: როცა პირველად შეიპყრობენ ავაზაკს, მას მარჯვენა ხელს მოსჭრიან; თუ იგი მეორეჯერაც შეიპყრეს, მაშინ მას განუპობენ მუცელს, და-აკრავენ აქლემზე და აჩვენებენ ყველას ბაზარზე. ხოლო როცა მოკვდება, თოკით ჩაჰკიდებენ ხიდზე.

ქაშმირის მიდამოები სასიამოვნო სანახავია. ქალაქი შემოზ-ღუდულია მთებით, რომლებიც ზაფხულობით ხასხასა მწვა-ნით იმოსებიან. თვით ქალაქში მრავალი არხია, ხოლო შიგ შუა გულში მდებარეობს ტბა, რომელსაც ირგვლივი ზომა 19 ვერსი აქვს. მის მახლობლად მდებარეობს მთა, რომელ-ზედაც ქვის ციხეა გაშენებული. ამ ტბის წყალი მეტად წმინ-დაა. იგი საკმარისად ღრმაც არის. მასზე ყოველ პარასკევს ხალხი ნავებით სეირნობს. ნავების რიცხვი 20.000 აღწევს.


ქაშმირის მცხოვრებნი ღარიბები არიან, მაგრამ მხია-რულნი.

მდიდრები თავიანთ ოქროსა და ვერცხლს მიწაში მარხა-ვენ და საიდუმლოდ ინახავენ, რასაც არ უმხელენ თვით თა-ვის მეგობრებს. ასე, რომ შემნახველთა სიკვდილის შემდეგ დამარხულ ოქრო-ვერცხლის ადგილი ხშირად უცნობი რჩება. შემდეგში, როცა ხდება ხოლმე ამა თუ იმ სახლის გადაკეთება, მაშინ პოულობენ ვერცხლსა, თუ ოქროს სპილენძის ქვაბში. თუ ხანი კეთილი კაცია, იგი ამ მიწაში ნაპოვნ ოქრო-ვერცხლს მის პატრონის მემკვიდრეს აძლევს, ხოლო თუ იგი ავია, ყველაფერს ხაზინის სასარგებლოდ ართმევს.

ქაშმირის მცხოვრებლებს სამოსად ჩვენებური სტიქარის მსგავსი რამ აცვიათ და ეს საერთო სამოსია, როგორც მამა-კაცთა, ისე დედაკაცთა.

გზა ქაშვირიდან სემიპალატის ციხემდის სამი ათას ვერსზეა გაკვიმული და მეტად სწორეა.

ირტი შიდან ორი ათას ვერსზე გადაკვიმული ყირგიზთა ველიც მთლად სწორეა.



აღრ. თაჯ-მაჰალი. შაჰ-ჯეჰანის (1628—1659) უძვირფასეს მეუღლის (მუმთაზი-მაჰალის, გარდაიც. 1626 წ.) მავზოლეუმი. შენობის საერთო სიმაღლე—75 მ. გუმბათის სიმაღლე—24,4 მ. მინარეთის სიმაღლე—40,6. მასალად გამოყენებულია თეთრი მარმარილო. (შენდებოდა 1632—1650 წ.წ. მუშაობდა 20 ათასი მუშა)

გზა, რომელიც ვაივლის ყალმუხთა-მიწაზე 500 ვერსის მანძილზე, მეტად მთიანია. ჩინეთის საზღვრიდან ტურფანამდის 20 ვერსის მანძილზედ სწორე ადგილებია.

ტურფანიდან ვაქსამდის ასი ვერსი სწორე ადგილებია. ვაქსიდან იარყანამდის ათასი ვერსი სწორე ადგილებია.

იარყანიდან კოკიარამდის, ჩინეთის საზღვრამდის, ას ვერსზე სწორე ადგილებია.

კოკიარიდან ტიბეტამდის ორი ათას ვერსზე ქვიანი, შიშველი და ველური მთებია. გზა მიიმართება ორ მთის შუა მოქცეულ ხევზე. აქ ჩამოდის პატარა მდინარე. ეს ქვეყანა უდაბურია და ქარავანი იმარაგებს შვრიას ტიბეტიდან ქაშმირამდის, სადაც ორას ვერსზე გაჭიმულია კლდოვანი მთები.

ქაშმირის საზღვრიდან თვით ქალაქ ქაშმირამდის 20 ვერსზე სწორე ადგილებია.

დაეტოვე რა ქაშმირი, მე გავემგზავრე ქალაქ ტიბეტში და 20 დღის შემდეგ მივედი იქ. იგი მდებარეობს ბორცვებზე.


მის გარშემო აწვდილია კლდოვანი მთები, რომლებზედაც მცირეოდენ შვრიის გარდა, არა იზრდება რა. იქაური მცხოვრებნი, თავიანთ სიღარიბის გამო, ფქვავენ ამ შვრიას და მის ფქვილს ქნიან რძეში, უშვრებიან ძროხის ერბოს და ისე ხარშავენ. ეს თავისებური კერძი შეადგენს ერთადერთ მათ საჭმელს.

აქ აქვთ ჩვეულება მეტად ცუდი და საღ გონებასთან სრულიად შეუსაბამო. თუ ერთ ოჯახში სამი ან ოთხი ძმა არის, მათ ცოლად ერთი ქალი ჰყავთ. მათგან ნაყოლი შვილი მხოლოდ უფროს ძმის სახელს ატარებს და ამგვარად მხოლოდ მას თვლის თავის მამად. აქ ბევრი ჩაია. შალის მატყლი აქ ქალაქ ლასადან მოაქვთ. ყველა რბილი საქონელი, რაც კი აქ შემოდის, მოაქვთ ცხვრებზე აკიდებით. ცხვრებს ისე ტვირთავენ, რის ტარებასაც შესძლებენ. აქედან ქაშმირში კი საქონელს უკვე ცხენებით გზავნიან.

ქაშმირში მის მმართველს ყოველწლივ საქონელზე ანაკრები ბაჟი ასიათას რუფიამდის უგროვდება. ამ ქალაქის მთავარმართებელს კალონი ეწოდება და ემორჩილება ქაშმირის მთავარმართებელს.

აქედან ქაშმირამდის ორას ვერსამდე ითვლება. გზა მეტად ქვიანია და ამიტომ მგზავრები უჩივიან. ქალაქის ამ ნაკლს ავსებს ქალაქ ქაშმირის დოვლათიანობა.

ტიბეტში ბლომად შეიძლება გასაღება რუსულ ოქრომკედნარევე აბრეშუმის ქსოვილისა, რასაც ხალისით ყიდულობს ჩაბას სახელით ცნობილი ხალხი. მათ ლასადან ტიბეტში



ბერლინის მთავრობის შენობა

ბევრი თხის თივთიკი მოაქვთ, ხოლო აქედან იგი იგზავნება ქაშმირში.

ლასადან ტიბეტში მისვლას სამი თვე უნდა.

ინდოეთში ცხელი ჰავის გამო ძალზე ბევრი მწერი იცის. აქ თითქმის ყველა სახლში გველები ბუდობენ და როცა სახლის პატრონი თავის სახლში გველს დაინახავს და სახლის, ნამეტნავად კი ბავშვების, უმიწროებისათვის მოისურვებს მისგან განთავისუფლებას, დაიბარებს გველების დამკერ კაცს, (ასეთები იქ ბლომად არიან), რისთვისაც ცოტა ფულს იხდის. ეს კაცი იწყებს სალამურის დაკვრას განსაკუთრებულ ჰანგზე და ჩუმიად რაღაც სიტყვებს წარმოსთქვამს. იმ სახლში მყოფი გველი სალამურის ხმაზე ხვრელიდან გამოდის. იმ კაცს ხელზე რკინის სალტე აქვს წამოცმული. ამით იქერს გველს და იმდენ ხანს ატრიალებს ხელში, სანამ მთლად არ დაასუსტებს. შემდეგ სვამს კალათაში, მიჰყავს ტყეში და უშვებს თავისუფლად.

ტიბეტიდან გამოსვლის შემდეგ ორმოცი დღის მგზავრობამ შიმიყვანა ქალაქ იარყანტში.

ეს მგზავრობა ჩემთვის ძალიან მოსაწყენი იყო: უნაყოფო გზა, დიდი ორმოები და ძალზე მაღალი მთები, მათ შორის ყინულოვანიც, ჩემს სულში მწუხარების აუტანელ გრძნობას ბადებდნენ და ეს გრძნობა ჩემში მით უფრო მატულობდა, რომ ყველა ეს ადგილი უდაბური იყო. ერთადერთი ჩემი სურვილი იყო, რაც შეიძლება მალე მოვშორებოდი იქაურობას. ბოლოს გამოჩნდა ქალაქი იარყანტი. ხშირი ტევრები, რომელიც მას გარს ერტყმიან, მეტად სასიამოვნო და დამამშვიდებელ სანახაობას წარმოადგენს მგზავრებისათვის.

ამ ქალაქში მე კარგა ხანს დავრჩი. იქაურ მცხოვრებთაგან გავიგე, რომ ამ 50 წლის წინ ისინი ჩინგის ყაენის ჩამომავალ თათრებს ემორჩილებოდნენ, და თუმცა დღემდის მისი მცხოვრებნი მაჰმადიანურ კანონებს აღიარებენ, ამის მიუხედავად, ახლა ჩინელებს ეკუთვნიან.

აქ მდგარი ჩინელთა ჯარი მათი უფროსებით 2000 ალემატება. უფროსებს ისინი ანბანს უწოდებენ.

აქვე არის 3 ათასამდე ჩინელი, რომლებიც ვაჭრობენ.

ამ ქალაქის ჰავა კარგია, მაგრამ წყალი უხეირო. ლამაზი



გარდაცვლილ ქმრის ცოდნითა დახვეწა ინდოეთში

შენობები სრულებით არ არის. მცხოვრებნი საშუალო შეძლებისანი არიან. თუმცა წელიწადის სხვა დროთა მიხედვით აქაურ ჰავას მე კარგი უწოდებ, მაგრამ შემოდგომა ამაზე უარესი მე არსად მინახავს. აქ თითქმის მთელი შემოდგომა ზეცა ღრუბლებით არის დაფარული. მთელ ამ დროს მეტად მოსაწყენს ხდის წვიმის მსგავსად ზევიდან მომდინარე მტვერი, რომლის წარმოშობა შეუცნობელია. ხშირად ხდება, რომ ჰაერში დიდი ნესტის გამო, ჩნდებიან მოწითალო მწერები, რომელთაც ადგილობრივი მცხოვრებნი კორბიტს უწოდებენ. თუ ამ მწერმა ვისმე უკბინა, იგი ძნელად თუ გადაჩეხება ცოცხალი. როცა წვიმის ნაცვლად ზემოხსენებული მტვერი მოდის, მცხოვრებლებმა იციან, რომ შემდეგი წელი მეტად ნაყოფიერი იქნება. მაგრამ, თუ ჩვეულებრივი წვიმა მოდის, ეს იმას მოასწავებს, რომ შემდეგი წელი მეტად უნაყოფო იქნება, და ამიტომ, მათთვის ჩვეულებრივ პარაკლისებს იხდიან. ხსენებული მტვერი ისეთი სიხშირით მოდის ზეციდან, რომ თვით მზის სხივებიც ვერ ატანენ მის სიხშირეს და ეს ხანდახან 7 თუ 8 დღეს გრძელდება. ეს მტვერი ისე წმინდაა, რომ სულ უმცირეს ჭუჭყურთანაში ატანს.

ჩინელმა ანბანმა, ანუ მთავარმათებელმა ადგილობრივ მკვიდრთა ენა არ იცის და თარჯიმნად ჰყავს ერთი მაჰმადიანი, რომელსაც იმათებურად ბეკი ეწოდება. მას საკმარისი ჯამაგირი ეძლევა. ამ ბეკს, ამ თანამდებობის გარდა, უფლება აქვს ამ ქალაქის მცხოვრებთა საჩივრები განიხილოს, ამიტომ გარკვეულ დროს იგი ვალდებულია იყოს იმ მთავარმართებლის სასამართლოში. მთავარმართებლის წინაშე მას არ შეუძლიან არც ფეხზე დგომა, არც ჯდომა. იგი მუხლის თავზე უნდა დადგეს და მასზე დაკისრებულ საქმეთა შესახებ მოახსენოს და მიიღებს რა მისგან გადაწყვეტილებას, გაგზავნოს მეფესთან დასამტკიცებლად.

ზემოხსენებულ ქალაქის გარდა, ჩინელებს უპყრიათ კიდევ შემდეგი ქალაქები: ხუდანი, გაშგირი, ახსუ, დურობანი და ილი. თითოეულ მათგანში ზის ჩინელი მმართველი. მათი თანამდებობა იგივეა, რაც ქალაქ იარყანტის მთავარმართებლისა.

ქალაქ ილში ანუ კულჟაში ბევრი ჩინელია. მათი რიცხ-

ვი ათი ათასს აღემატება. ამ ქალაქში მყოფი ჩინელები მეტად ზარმაცნი არიან: დროს მარტო იმაში ატარებენ, რომ თამბაქოს ეწევიან; ამასთან ერთად—მეტად ამაყნი. ამ ქალაქიდან გასვლა ადგილობრივ მკვიდრ მცხოვრებლებს უნებართვოდ არ შეუძლიანთ, რადგან ძალიან ბევრი ზედამხედველი ჰყავს ამ საქმეს მიჩენილი. ეს ერთი საშუალებათაგანია, რომელსაც მიმართავენ ჩინელები იმისათვის, რომ აღკვეთონ თვითნებობა.

დავტოვე რა ქალაქი იარყანტი, გავემგზავრე ქალაქ ახსუს და 13 დღის შემდეგ მივედი იქ.

ახსუს დიდი ქალაქი არ არის, მაგრამ მასში მრავალი მშვენიერი შენობაა. იგი მდებარეობს ტაფობში და ორ ნაწილად არის გაყოფილი: ერთში ცხოვრობენ ჩინელები, ხოლო მეორეში მაჰმადიანები. მათ ერთმანეთში კარგი ვაჭრობა აქვთ გაჩაღებული. ჰავა ჯანსაღია და დოვლათი საშუალო.

გავემგზავრე რა ქალაქ ახსუდან, 3 დღის შემდეგ მივედი ქალაქ ტურფანში. იგი დიდი არ არის და არც ლამაზია. მცხოვრებლებიც მეტად ლარიბნი არიან და ამიტომ იქ არაფერი ღირსშესანიშნავი არ არის.

აქედან 20 ვერსზე გადის საზღვრები, რომლებითაც აქაურობი ქვეყანა გამიჯნულია ყირგიზთა ქვეყნიდან.

გამოვემგზავრე რა ტურფანიდან, სამი თვის შემდეგ მე მოვედი სემიპალატში. გზა მეტად სასიამოვნო აღმოაჩნდა, რადგან ამ ხნის განმავლობაში ბევრი ხალხი ვნახე, როგორცაა: ყალმუხები, ყირგიზები, ყაზახები; ხალხი, რომელიც ქოჩად დადის და კარავებში ცხოვრობს, სრულიად არ მისდევს მიწათმოქმედებას, იკვებება ძროხისა და ცხენის რძით, რომლიდანაც ბევრ ხაჭოს აკეთებს. მათ უმთავრეს სიმდიდრეს საქონელი შეადგენს. მესაქონლეობა მათი ერთადერთი საქმეა. ვაჭრობაში ისინი ფულს არ ხმარობენ; მის მაგიერობას ეწევა ნივთების გაცვლა-გამოცვლა. მუდმივი ბინები აქ სრულიებით არ იციან; სადაც კი იპოვნოთ კარგ საძოვარს, იქ გაჩერდებიან ხოლმე მთელი თავის საქონლით. ამიტომ ისინი ძალიან ხშირად იცვლიან თავიანთ საცხოვრებელ ადგილს. მგზავრებისათვის ძალიან სახიფათოა მათი შეხვედრა, რადგან ისინი ძარცვა-გლეჯას არ ერიდებიან.

ქალაქი სემიპალატი მდებარეობს მდინარე ირტიშის ნაპირზე, რომელიც გამიჯნავს საკუთრივ რუსეთის საზღვრებს ამ ველურ ხალხებისადმი კუთვნილ მიწებიდან:

სემიპალატიდან კოხანამდის 2 ათას ვერსზე გაჭიმულია ყირგიზთა ვაკე ადგილები.

კოხანში ზის თათართა ხანი, რომელსაც ჰყავს 50 ათასი ჯარისკაცი.

კოხანიდან ათას ხუთას ვერსზე ასევე ვაკე ადგილებია ბუხარამდის. ბუხარის შაჰს ჰყავს 60 ათასი ჯარისკაცი.

ბუხარიდან ყაბულამდის, ავღანთა სახელმწიფოს სატახტო ქალაქამდის, ათას ხუთასი ვერსია. გზაცოტამთიანია. ავღანთა მთავარს ჰყავს ორმოცდაათი ათასზე მეტი ჯარისკაცი.

ყაბულიდან პეშავრამდე ასი ვერსია და გზა კლდოვან მთებში მიიმართება.

პეშავრიდან გზა მიიმართება ქაშმირისა და აგრეთვე ლაჰორისაკენ, ინდოთა სახელმწიფოს დედაქალაქისაკენ.

ლაჰორამდის პეშავრიდან 300 ვერსია.

სემიპალატიდან 7 დღე ვმგზავრობდი ფოსტის ცხენებით ომსკის ციხემდის, სადაც მეღირსა ხილვაწარჩინებული პიროვნების გენერალი გლაზენაპისა. ქეშმარიტად იგი ღირსია დიდი პატივისცემისა. ამდენი ქვეყნები მოვიარე და მისებრ სანიმუშო უფროსი მე არსად მინახავს. რამდენადაც იგი თავმდაბალია და სათნო მის მფარველობაში მყოფ პირებისადმი, იმდენად მრისხანეა მახლობლად მცხოვრებ ველურ ხალხისადმი. მარტო მის სახელის ხსენებაზე ყველა ცახცახებს და ამიტომ მგზავრები უშიშრად მოგზაურობენ.

გამოვემგზავრე რა ომსკის ციხიდან, კარგა ხნის შემდეგ მოვედი მაკარიაში სწორედ იმ დროს, როცა უამრავ სხვადასხვა ხალხს ყოველი მხრიდან თავი მოეყარათ და დიდი ვაჭრობა გაეჩაღებინათ. მე ასეთი ბაზრობა არსად მენახა. აქ მოვაჭრის ყველას გული აღსავეს იყო სიხარულითა და სიამოვნებით და ყველგან გაისმოდა სახელი კაცთმოყვარე და ბრძენ ალექსანდრესი.

დასასრულ, ღვთის განგებით, მე მეღირსა მოსკოვის ხილვა. ჩემს გულში უკვე დიდი ხანია ენთოძლიერი სურვილი

რუსეთის ამ განთქმულ უძველეს დედაქალაქის ნახვისა. ბოლოს მელირსა ჩემი სურვილის დაკმაყოფილება და ეს დაკმაყოფილება მით უფრო აღმტაცებელია, რომ მე ჩემის თვალთ ვნახე ის საუცხოო შენობები, ის უზარმაზარი ტაძრები და კოშკები, ის სიმრავლე მცხოვრებთა, ის კეთილგონივრული ფუფუნება და, რაც ყველაზე ძვირფასია—ის განათლება გონებათა, ის სიმშვიდე და სიკეთე გულთა, ის სტუმართმოყვარეობა და ალერსიანობა, რომელთა შესახებ აქამდის ვიცოდი მხოლოდ ზეპირგადმოცემებით თვით უშორეს ქვეყნებში!

მოსკოვში მოსვლის შემდეგ ჩემი პირველი სურვილი იყო მეხილა თქვენი წინაპრების მიერ აგებული თქვენი იმპერატორული უდიდებულესობის კოშკი. ჩემი კეთილისმყოფელთა ნეშეგობით მე შევძელ სრულიად დამეკმაყოფილებინა ჩემი ცნობისმოყვარეობა. მე ნება მებოძა შევსულიყავ თქვენს კოშკში, სადაც ვიხილე ძვირფას ქვათა, ოქრო და ვერცხლის დიდი სიმრავლე, ძვირფასად შემკული ტახტები და მზის მსგავსად სხივებით გაბრწყინვალებული თქვენი იმპერატორული უდიდებულესობის წინაპართა გვირგვინები. მე წარმომესახა, რომ აქ იყო დაუნჯებული ბუნების ყველა ძვირფასეულობა; და ამ წარმოსახვამ აღმივსო გული რუსეთის მონარქთა წინაშე შვილური მოკრძალებითა და ამ მოკრძალებითვე დავდუმდები.

მასაღები საქართველოს
და
ინფორმაციის ურთიერთობაზე

შესდგა ჰინდოეთს ვახტანგ გორგასღისაგან და ვახტანგისაგან გამარჯუება მათ-ზედა

და მუნით*—შევიდეს ჰინდოეთად, და მუნ იქმნეს წყობანი ძლიერნი ბუმბერაზთანი, თითოს-თითოთანი. და იყო მუნ წესად, რომელმანცა მათგანმან სძლის ბუმბერაზთა, ივლტინ მის წინაშე ბანაკი მისი.

ხოლო ვახტანგ მეფემან მოკლა ბუმბერაზი თხუთმეტი მუნ შინა, რომელთა დაეცნეს მრავალნი გოლიათნი სპარსთანი.

დაყვეს ბრძოლასა შინა ჰინდოეთისასა სამი წელი და წარმოტყვევნეს უმრავლესნი ქვეყანანი ჰინდოეთისანი, არამედ მტკიცენი ციხე-ქალაქნი ვერ განტეხნეს, რამეთუ ზღვათა შინა იყვნეს.

და წარმოიღეს ხარკი ჰინდოთა მეფისაგან: მუშკი, ლიტრა ათასი; ამბარი, ეგზომივე; ალვა, ნავი ათი; თვალეები: იაკინთი და ზურმუხტი, ნავი ერთი და მასთანა საფირონი თითო სახე; ოქრო, აქლემი ასი; ვერცხლი, აქლემი ხუთასი.**

შესდგა სინდეთს ვახტანგ გორგასღისაგან და გამარჯუება ვახტანგისაგან

...მაშინ განვიდა სინდთა მეფე, და ვახტანგ ჰრქუა მოყრასთა თვსთა: „ღმერთსა ევედრენით და ზურგი-თ-კერძი ზემი განმიმაგრეთ“. და განვიდა ვახტანგ, და ორთავე აქუნდა ჰოროლები: მაშინ იწყეს რბევად მრგვლივ ნავარდსა, და ღონე-

* იგულისხმება: ჯორჯანეთით.

** ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეთცხრამეტე საუკუნემდის, თარგმნილი და გამოცემული ღვაწლითა უ. ბროსე, წვერისა საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიისა, ნაწილი პირველი. ძველი მოთხრობა, 1469 წლამდის ქრისტეს აქეთ. სანკტ პეტერბურღს 1849 წ., გვ. 139.

სა ეძიებდეს ორნივე, რათამცა შეჰყვეს წვერსა ჰოროლისასა. მაშინ დაიჭამა სინდთა მეფემან შეყოლაჲ ვახტანგის ჰოროლისა წვერისა, და შეუტევნა რათამცა სცნა ჰოროლნი, ხოლო სიმჭნითა და სიკისკასითა ტანისა მისისათა წარიჟანდა და მიუდრკა ჰოროლსა და შემოუმრგულა ვითარცა გრიგალმან და სცა ჰოროლი სინდთა მეფესა ბექსა მარცხენასა, ვერ უფარა სიმაგრემან საჭურველისამან, და წყლა წყლულებითა დიდითა, რამეთუ წინათ განელო წყრთაჲ. და ჩამოიჭრა სინდთა მეფე, და მივიდა ზედა ვახტანგ, ჩაჰყო კელი და უჰყრა ფერჯი ზისი და თრევით მოიღო წინაშე სპარსთა მეფისა. მაშინ ყოველმან სპამან ჯმითა მალლითა შესძახა ქება ვახტანგს. და აღივსო სიხარულითა სპარსთა მეფე და ყოველი ბანაკი მისი. და მოვიდოდეს ყოველნი წარჩინებულნი წინაშე ვახტანგ მეფისა ძღვნითა და შესწირვიდეს ძღვენთა. მაშინ სპარსთა მეფემან მოიყუანა მკურნალი კელოვანი და დაადგინა ზედა სინდთა მეფესა, რათა განკურნოს წყლულებისაგან და მის მიერ წარიღოს ყოველი სინდეთი. ხოლო სინდთა დაიჭირეს, ნაცვლად მეფისა მათისა, ძე მისი. მაშინ მეფემან ვახტანგ აზრაბა სპარსთა მეფესა განტევება სინდთა მეფისა, აღებაჲ ხარკისა და მძევალთაჲ, რამეთუ ვერ წაიღებდეს სინდეთს. არამედ სთნდა მეფესა სპარსთასა განზრახვაჲ ვახტანგისა. განუტევა მეფე სინდთა, აიღო მისგან ხარკი ორი ეგზომი, რომელი ჰინდოთაგან, და ორი შვილნი მძევლად. და ესე ხარკი სინდთა მაშინ სპარსთა მეფემან ყოველივე მიანიჭა ვახტანგს. მაშინ მეფე იგი სინდთა დაემოყვრა ვახტანგს სიყუარულითა დიდითა, პირველად ამისთვის რომელ, ოდეს შევარდა კელსა ვახტანგისასა, არა მოკლა და ცოცხლებით მოიყვანა წინაშე სპარსთა მეფისა, და შემდგომად ამისთვის, რამეთუ ვახტანგისვე მიერ განთავისუფლდა ტყვეობისაგან. და უძღვნა ვახტანგს ძღვენი მიუწდომელად დიდძალი და წარმოვიდეს სინდეთით წელსა მეოთხესა სინდეთს შესვლისასა, და დარჩომოდეს ქალაქნი სინდეთისანი მოუოჯრებლად: სინდაჲ, თოფორი, კირმა.*

* ქართლის ცხოვრება, გვ. 143.

მეფე თეიმურაზ II-ის წერილი თავის შვიდის ირაკ-
ლისადმი, სპარსეთიდან მოწერილი

1737 წ. იანვარი.

სასურველო ძეო ჩემო! სადაცა ბოროტი შეგვემხვევის, იქ სიკეთეცა მოგველის. მეცა იძულებითა მოგიწერ ესრეთ, რომე შაჰსა ჰსურს განთავისუფლება ჩემი ტყვეობისაგან, გარ-
ნა მხოლოდ ითხოვს მოსვლასა შენსა და რათა თანა წარმო-
იყვანო ასულიცა ჩემი და დაჲ შენი ქეთევან. მხოლოდ მოსვ-
ლაჲ შენი აქა, სპარსეთად, მომანიჭებს მე განთავისუფლება-
სა ტყვეობისაგან. ესრეთია ნება შაჰისა.

მეფე თეიმურაზ.

წერილი ერეკლე ბატონიშვიდისა თავის ღება თამარ-
თან მიწერილი განჯიდან

1737, თებერვალი.

ქ. ღმერთმან ბატონის დედოფლის ერთის წუთის შეწყე-
ნის ჭირის სანაცლო ამყოფოს მაგათის მოშორებვისათვის
დიდათ შეწუხებული ერეკლე. მერე, ეს ასლანი ერთი ბერი
კაცი არის და თან აღარ წაეყვანე, ისევე დავაბრუნე, რასაც
ამაზედ თვალსა და ყურს დაიჭერთ და გებრალებათ, თქვენ
იცით. გავს,* რომ ამას ყმა ყვანდა, იმისი მეც წყალობა უყა-
ვი და თქვენც წყალობა უყავით. რადგან ყველას ვისმეს უბო-
ძეთ, ამას ისევე უბოძეთ ჩვენის გულისთვის. თუ არა, იხტი
ერი თქვენია, ამაზედ ნუ გამიწყრებით.

ბატონიშვილი ერეკლე.

* უნდა იყოს: გავაზს.

მეფის ირაკლის წიგნი სპარსეთით*

ქ. მრავლისა მინდა წერად, არამედ არა ვინებე უმეტეს ამისსა წერად, რათამცა არა უმეტრებამან ჩემმან, და ბუნებამან ვითარმედ უძლოს საქმეთა ცხოვრებისა ჩემისათა, და ჰყონ გონება ჩემი და განმაკრთონ ესე ვითართა ჭირთა და განსაცდელთა. რამეთუ ვიქმენ მრავალთა წელთა მნახველ, და შემპსწრობ, და განმცდელ ყოველთა ჭირთა ავთა, და ყოველთა შეტყუნიერთა და წრფელთა ყოველთა გემოვანთა. რომელიმე წარმოვსთქუა თვთოეულად, და ან ვითარმედ. მივსწვდე შე, არამედ მოვალ და მოკლებულ ვჰყოფ, და ვიკადრებ წერად და ვითხოვ უფლისაგან ვედრებით, რათამცა ღირს-მყოს მე უღირსი, საქმესა ამას სასურველთა, ყოვლისა სასიხარულოსაგან, უმეტესად სასიხარულოსა ნებასა ჩემსა და აღმისრულოს ნება ჩემი ღმერთმან, და მახილვოს შვენიერი ეკე და კეთილ-ნაყოფი მშებრ ბრწყინვალე პირი შენი, ტანი იგი მღვხენელი გულისა და გონებისა ჩემო ბატონის-შვილო, ბატონო შენი ურგები, უმსახურო, და უსიამოვნო ძმა ბატონის შვილი ერეკლე ლამაზს თვალებზე და პირზე კოცნას ვიკადრებ. მერე, წიგნი მოგეწერათ, თექუსმეტ ქრისტის შობის თვეს, ენკენის თვეს მოგვივიდა. ასე გებრძანათ, რომ შენის წიგნის მოსვლაში კინალამ გავგიჟდიითო. წიგნისა და ამბვის მოსვლამ ასე გაწყინათ, მე რომ მომაწვეინოს ღმერთმან, უფრო უნდა მაშ ბიდაძალი შეიქნათ. მაგრამ ექვსიოდ ალაჯი კიდევ იქნება მანადამდინ. სხუა აქაური ამბავი ეს მოგახსენო, რომ ახალი რომ შარშან წამოვიდა გიორგობის თვეს, თუ არ ვიცი ღვინობის თვეს, იმ მანძილიდამ ორი დღე გამოვიარეთ, და მესამე მანძილიდამ დილაზე ავიყარენით, ოთხი ალაჯი გამოვიარეთ, ჩამოვხდით. ნახევარ საათი რომ ჯერ არ გამოსულიყო,

* იხ. „ცისკარი“, 1859 წ., № 1.

დაიძახეს: ყაენი შეჯდაო. ბინა აქ დააგდო. თითოს ღამის
კერით წავედით. სანამდინ ან ჯარის კაცი, და ან ჩქონ მო-
ვემზადებოდით, ყაენს ორი ალაჯი გაველო. შევესხედით ჩქონცა
სალამოზედ, და ღამით წინ და წინ გაგვესწრო ჯელმწიფი-
სათვს. ორი ათასი ყარაულისათვს და ერთის აჯიხან ბე-
გისათვს ებრძანებინა: თქვენ წინ წადითო. ჩქონ იმათ რომ
ჯელმწიფესაგან წინ გენახეს, დაგვაყენეს, რომ ხელმწიფესთან
იარეთ თქვენაო. ამაში უკან სამი მაშხალა გამოჩნდა. დავ-
დეგით, მოუცადეთ, და ჯელმწიფეც მობრძანდა, და იმის თიფ-
ში გავერინეთ. დავიწყეთ სიარული. იმ ღამეს მთვარეც იყო
და მოვადეგით ერთს უგზოს მთასა და კლდეს. ოცდა ათი
ათასი კაცი შემოვედით ვიწროში, რომ ორი სამი ურემი
ალაგ-ალაგ თუ გაიმართებოდა. ერთი ასეთი ციოდა, რომ
თითქმის დაგვაკმო ცხენი და კაცი. დაგუბდის ამ ვიწროში
ეს ჯარი, დავდეგით ამ სიცივეში და იძახიან: ალლა! ალლა!
მაგრამ ერთი ასეთი დატრიალდის ჯარი, ვეცით ერთმანეთსა,
გული-ფირტი ცალკე ჩაიყრევენით ხოლმე, და ცხენა და
კაცმა და მუხლების მტერევა ცხენის წიხლისაგან, რასაკვრე-
ლია, რომ მეტად ვახლიდით ფეხებს, მაშ რა ექნათ, ამ ყო-
ფაში ვიყავით, სანამდინ იმ ხევს მოვრჩებოდით. ის ხევი ნა-
ხევარ ალაჯი იყო და ხუთს საათს ძლიე გავედით. მოეხუდით
კიდევ მთასა და კლდეს დიდსა. ვიარეთ და არ ვიცოდით, თუ
სად მივიდოდა ჯელმწიფე. ამ ბევრ სიარულში ჯარიც დიად
დაიღალა, და თავწვრილათ დაიფანტა. იმ დღეს გვევლო, იმ
ღამეს ვიარეთ. მეორე დღეს, რომ დასამხრდა, ყაენს კაცი მო-
უვიდა, რომ ნასარ-ხან დავიჭირეთო, და ჯარი გაექცივათ.
მასუკან ყაენიც მიბრძანდა. აჯიხან-ბეგს ხალათი უბოძა,
და ყარაულის მიმზაშებსაც. იმ სალამოზე სპილოს სანახავათ
წაველ მე, და ყაენმა დამინახა. ნასარ-ხანის კარავსა და ფარ-
დაში ბრძანდებოდა. დამიძახა და მიბრძანა: შენც წამოსულ-
ხარო? მე მოვახსენე. მაშ ვისთან უნდა დავმდგარვიყავ-მეთქი.
მიბრძანა: ბარაქალა! კარგა გიქნიაო. წინ ქორები უსხდა.
მიბრძანა: რომელიც გინდა აიყვანეო. მიველ, ერთი ქორი
ავიყვანე. მიბრძანა: კარგა გააძღობდეთ. თავი დაუკარ და
წამოველ. იქ დავდეგით ოთხს დღეს, სანამდინ ბინა ხეიბარ-
ში გამოვიდა.

ხეიბარი დიად ვიწრო ადგილია და იმიტომ შეეკრანასარ-
ხანს ის გზა, ბინად რომ მოვიდა. ფიშაურს შემოვედით.
ოციოდ დღეს იქ დაკდეგით. მესამეს დღეს რომ აყრას ვაპი-
რებდით, ალიხან-მირზაც მობრძანდა. ყანს ისევ ჩემთვის
ებრძანებინა ჯარჯიბაშის პირით, რომ შენთან დადგესო. ასი
თუმანი ინამი უბოძა, და მესამეს დღეს გამოვედით ფიშაური-
დამ. ერთს ქალაქს ათეგის წყალზედ მოვედით. ჯისირი-
იდგა, გავიარეთ ზედ. ასეთი დიდი იყო, რომ ცხენი ვერ
გავიდოდა იმ წყალში. ამას გარდა კიდევ ერთს წყალს სხუას
მოვადეგით, ჯელიმ ჰქვან, იმას ცხენით გავედით. იმას იქით-
ჯანზე მივედით და მეტად დიდი წყალი იყო, მაგრამ იმა-
საც ცხენით გავედით. იმის პირზე ერთი ქალაქი იყო. ლაუ-
რზე ექვსი მანძილი იყო. ბინა იქ დაადგო ყანმა. თადარი-
კით წავიდა. ვიარეთ და რომ მივახლოვდით ლაურის წყალს,
ქალაქს ძირზე ჩამოჰდის. რომელზედაც გასავალი იყო, იმათ
შეეკრათ თოფხანით. ამაში ამაზე აღარ მიბრძანდა კელმწიფე,
ორს ალაჯზე ზეით წავედით. ჯერ ყარაული გავიდა წინ.
ყარაულს უკან კელმწიფემაც გამოაცურა ცხენი. ასიოდეს ყუ-
ლით თითონ გავარდა საჩქაროთ. ამასობაში გაწვა წყლის
პირზე შემარჯვენე და შემარცხენე ჯარი, შეიქნა კიდევ ვიწ-
როობა ამათი, რომ ვერ დამიწერია. თითქმის მივადეგით
ერთს ლაფს, იქნებოდა ერთის, ორის გუთნის გამლა. ასეთი
ტალახი იყო, რომ ლასტის ხიდს რომ ზანზარი გაჰქონდეს.
ისე ზანზარებდა. და რაც ჯარი იყო ყველამ ზედ გავიბრინეთ.
და წყალში რომ შევედით, ორი ურმის ტოლი გზა ძლივ იყო.
ამას თუ გარდასცილდებოდა, იმ წყალში კაცი საფლობისაგან
ველარ ამოვიდოდა. გაიქედა ამ წყალში ჯარი, და ცურვა-
დაიწყო ცხენებმა. ვიდეგით ერთს ალაგსა, და გვიცურევდა
ცხენები შიგ. მოგვხედა ღმერთმა და გამოველით. მიველით
და ერთს მხარეს მოვხვდით. თურმე ერთი ხანი ლაურზე სა-
შეებელად მოვიდოდა, და შიგ კი ჩამოგვერია. ერთს ორს
დასტას უბრძანეს და ასს ყულს მივიდენ და ყათლანი უყუბა,
იმაში ჩუბნი კაცებიც დაესწრენ და ცამეტი თავი იმათაც
მოართვეს ყანს. ეს რომ გარდაწყდა, ამაში ლაურის ხანის
ზაქარიას მოციქული მოვიდა. შემოეთვალა: პატარა დამა-
ცალეთო, მაჰმად-შაჰსთან კაცს გავგზავნიო და რასაც ის მიბ-

დანებს იმას ვიქო. შვლს გზავნიდა ჯანაბათს. ეს ხელმწიფემ იწყინა. აღგა იქილამ და ნახევარს აღჯაზე დაუდგა. უბ-
დანა: თუ მოხვალ კარგიაო, თუ არა და ხუალ იერიშს მოვი-
ტანთო. მეორეს-მესამეს დღეს თითონ მოვიდა. კელმწიფემ
მურასათ შეკმაზული ცხენი უბოძა. მას უკან იმანაც ორმოც-
დაექვსი სპილო მოართვა და ასი ათასი თუმანი ქალაქს გა-
მოართვეს. ბინად რომ მოვიდა, წავედით შუას იანვარში
ჯანაბათისაკენ და გავედით კიდევ ერთს წყალს. იმას იქით
კიდევ ერთს წყალს გავედით. იმან ბევრი საქონელი წაახდინა
ჯარისა. იმ წყალის იქით ერთი ქალაქი იყო საჰარი-ინდი
ჰქვიან. იმის გვერდზე დადგა კელმწიფე, დაუძახა ყოველსა
სარქარდებსა, მიმბაშს, უზბაშს, და დაღბაშს. უბრძანა ბევრი
კაი სიტყვა იმედინი, ჯერ წყალობა, და ბოლოს ეს უბრძანა:
აქედამ რომ კიდევ გაიქცეთ, სადა გაქვსთ გზა რომ მორჩეთო,
ისევ ნამუსიანათ დავიხოცნეთ ისი ჰსჯობსო. ჯარმაც კაი
სიტყვა მოახსენეს, ლუთით, და თქუშნის დოვლათით, თქუშნს
ბედნიერს აღამს ვერ დაუდგებიან ისინიო. ამაში რომ ვიყა-
ვით, ექვსი მანძილი გვაკლდა, ერთს მანძილზე კიდევ წინ წაგ-
დევით, და ბინა იქ დააგდო კელმწიფემა. და წავედით მარჯ-
ვნით და მემარცხნით, თიფდაწყობილნი წინას ყარაუ-
ლით, თოფხანითა, და ზამბურაკის სროლით, და მივიწურენით.
დღისა ერთისა სავალსა, და ყარაულები მოვიდნენ, თავები
მოიტანეს, და დაკერილი კაცებიც მოასხეს. ყარაულები
ერთმანეთს მოხდომოდნენ. ამ ჩუშნს ყარაულებს გაექცივათ,
და შიგ სანგარში შეეყარათ. მეორეს დღეს კელმწიფე კიდევ
იმავე წესით წაბრძანდა, და იმთონი ლუთის წყალობა გაქვს,
რამდენი ფარშევანგი ჩუშნ იქ დავიკირეთ და რამდენი მაი-
მუნი. უცხო ნადირი იქ მოკლეს. მივედით მაჰმალ-შაჰის
სანგარის სიახლოვეს. ორ აღაჯ ნახევარზე ჩამოვხედით. იმ
ღამეს ყადაღა იქნა, რომ ახლავ ყველამ იარაღით შეიკაზმოსო.
უწინ ყადაღა ჰქნა კელმწიფემ იარაღის ჩაუტემლობისა, რომ
ჯარი არ გაისარჯოსო, და მას უკან ისევ უბრძანა ჩაცმა.
მეორეს დღეს გვეგონა შეებმა, და აღარ მოხდა. მოუარეთ იმათს
სანგარს ზეიდან, დავდევით. მესამეს დღეს დაეწყო ჩუშნი
რაზმი და წავედით. მივედით იმაზე მზათ, და არ გამოვიდ-
ნენ, მივედით და მოახლოვებით ჩამოვხედით. პატარა ხანი

გამოვიდა, დაიძახეს: ყაენი შეჯდაო. გავედით და შეიქნა რაზ-
 მის წყობა, და ჯაზაირჩი დააქვეითეს. და უბრძანა დასტებს:
 იქითა, აქათ! თავის შვლს თავისი თოფი მიაბარა და აღმე-
 ბის გახსნა ბრძანა. და თოფხანაც წინ გასწივეს და ერთმა-
 ნეთში თამაშობა შეიქნა. ჯერ იმათი მართალი ჯარი არ
 გამოსულიყო. ერთი სადათ-ხანი გამოსულ-იყო. ისიც გა-
 ჯავრებული იყო, ვითომ ჯანაბათიდამ მოვიდოდა.
 იმათ ყარაულები შეყრილიყვნენ და წაერთმიათ... გამარჯვე-
 ბული გამოვიდა ოცდა ათი ათასის კაცით. მასუკან კიდევ
 ხანდოვრან გამოვიდა, ის კიდევ უდიდესის ლაშქრით,
 მარჯუნივ კიდევ ჩუზნის სანჯანის ბიძაშვლი მოვიდა,
 მაგრამ მყარი აპკრა, და გვერდზე მოგვიარა ორსა
 დასტასა ყაენმა იმაზედ უბრძანა. შუაზე ხანი დოვრან მოვიდა,
 და მარცხნივ სადათ-ხან. შეიქნა დიდი ომი. ჩუზნ მირზასთან
 ვიდევით. ის ჯარი რომ გვერდზედ მოგვექცა, ის იმწამზე ბურთ-
 სავით გაიტანეს, და სანჯანის ბიძაშვლიც დაიჭირეს. ამაში
 სადათ-ხანის დასტამ გააჭირა საქვე დიდად, და ყაენისაგან
 კაცი მოუვიდა: ნასროლა-მირზას აკოცეო და ღმერთს
 შეეხვეწეო. მაშინვე გარდმოხტა და მიწას აკოცა, და ისევ
 შეჯდა ცხენზე. მარცხნივ კიდევ გატყდა ხანის დოვრანის
 ჯარიც, და თითონაც დაჰსკურეს და გაიქცა. მაგრამ სადათ-
 ხანის ჯარი არ დაიძრა. ამაში აქ სპილო მოჰყავსთ. აქ და-
 ქერილი კაცი მირზასთან მოუღისთ და ვეხვეწებით ყოველნი
 ღმერთსა. როდის რომ სადათ-ხანის სპილოს ჯაზაირი ჰკრეს,
 რომელში თითონ ზედ იჯდა, ისიც დაჰსკურეს. ერთი ჯაზაირჩი
 აუხდა ზედ. დაიჭირა სადათ-ხან, და ჯარი მასუკან გაიქცა.
 მოიყვანეს მირზასთან სადათ-ხან, შეინახეს. მასუკან კელმწი-
 ფეც მობრუნდა. მოვედით ჩუზნს სადგომზედ. ომი შუადღისას
 მოგვიხდა, და ჩავიდა მზე და მოგბრუნდით. მეორეს დღეს
 სადათ-ხანმა, თავისი ჯარიც სულ მოასხა
 ქუჩაში დილაზე კელმწიფე შემობრძანდა დიდის რიგითა და
 ზამბურაკის სროლით. ასს სპილოზე ჯაზაირჩები შეესხათ და
 შილინგით მოუძღვებოდენ წინ. შევედით. კელმწიფეს კარამ-
 დინ მიყვებით. კელმწიფის სასახლე შიგნით ციხეში იყო, მობ-
 ძანდა და ჩამოხდა ზარბაზნის სროლა, რომ თითქმის
 ის ჯანაბათი დაიქცა. მასუკან ჩუზნც წამოვედით თავიანთ

სახლებში. მესამეს ღამეს ერთი თქრიალი და თოფის სროლა მოხდა. თურმე გვიღალატეს. ყაენმა შუდს დასტას უბრძანა: ამაღამ თქვენ გასწივეთ ომი და ხვალ ღმერთი გაარიგებსო. იმ ღამეს ყველამ დღეს წავედით, კელმწიფე შეჯდა, და ერთს ოქროს მეჩითი იყო, ჩარდახი ჰქონდა, და იქ დაბრძანდა, და ყათლანი ბძანა იმ ქალაქისა. ღმერთმან იმდენი ღუთის წყალობა მოგცეს, რამდენი კაცი, დედაკაცი და ყმაწვილი იქ მოკლეს. დიდი ყათლანი იმათ დაემართათ

. . . რაც კი უნდოდათ ჯავაირი, ფლური, ოქრო, ვერცხლი თუ რაც კი კაცს უნდა, ყოვლისფრით აიკისნენ, მაგრამ ჩვენ დიდად უსაშოვრო დავრჩით, ამიტომ რომ კელმწიფის ბრძანება არ იყო, და ვერსაით გავედით. ექვსი-შვიდი კაცი გავაპარეთ და საბრალო... თოფი მოხვედრიყო მსუბუქათ, მალე მორჩა. მაგრამ ჩვენს გაგზავნილს კაცებს ხუთიოდ ცხენი და ფანცი-ფუნცი რაგინდა რამე ეშოვნათ. შეუდღეს უკან ყაენმა ისევ მაჰმად-შაჰას აპატივა, და ჯარი ისევ დააბრუნა, მაგრამ ასე . . . მასუკან ყაენი დაუმოყურდა მაჰმად-შაჰს. ნასროლას მირზასათვის ძმის წული მოართვა და ქორწილი უყო. სამი დღე სულ ჩირადღანი იყო ქალაქში და შიგ წყალში ნავები ჩააყრევინეს, და შეაბეს შუშხუნით, მაგრამ კაცი დიდ მარხვაში იქი. და მასუკან აყრის კმა შეიქნა ქორათ, და ჯერ მართალი კი არა ვიცოდით რა. დღესა ერთსა კარზე მივედით, და მაჰმად-შაჰს დაპატიჟა კელმწიფემა. მეჯლიში ქნა, და ნიხამ-ალ-მულუქ ქამარადიხან და სარმურად-ხან ორნივე უწინვე დაიხოცნენ. და სხუა ვინც დიდი კაცი იყო ყველა დაჰპატიჟა. მაჰმად-შაჰს ჯილა დაურქო და კვალი შემოარტყა, და კელმწიფობაც იმასვე დაულოცა. და ამის დიდ კაცებს უბძანა: თქვენ ამას ავად არ ემსახურნეთო... რომ თქვენ ამას არ მოსდომიხართო, სადაც ვიქნები ექუსს თვეზე აქავ დავიბადებო, და ყათლანს გიხამ ყველასაო. მეჯლიში რომ გათავდა იმ დღეს ალიხანს ცხენი მოუვიდა კელმწიფისაგან. მეორეს დღეს ფიშხანაც გამოვიდა, და იმ საღამოზე არ ენახა, და ზოგი რამ სიტყვები და წყალობა უბრძანა. ორმოცდაათი თუმანი იმას უბოძა, და ორმოცდაათი მე მიბოძა. და მეორე დღეს ოთხს მაისს, კელმწიფე გამოდგა. ხუთასი

სპილო შიგ დარჩეული წამოასხა, და ხაზინისა რაღა მოგახსენო. სხუას გარდა ერთი თოუზ ტახტი მოაქესო. ფასი ხუთი ქურქურია იმისი, და გაკეთებულიც ისეა. და ერთი ქურქური ოთხასი ათასი თუმანია. იმისი ტახტობა და სიკეთე გასინჯეთ. ჩამოვედით და გავიარეთ ორი წყალი. ჯიზირები იღვა ზედა. მასუკან ლაურის წყალზე მოველით... თხუთმეტს ალაჯზე ზეიდამ ამოუარეთ, და იქ ჯისირი იღვა წყალზე, და ზაქარია-ხანიც მოეგება, დიდი ფეშკაშაღ მოართვა და რაც ჯარს ტყვე ჰყვანდა. ჯისირზე კაცები დააყენა კელმწიფემა, და სულ მოაკრეფინა და ზაქარია-ხანს აჩუქა, ამ ამბებში თვე. და ლაურის წყლიდამ რომ წამოვედით, სამი დღე იცოცხლა, და თქმსნი ჭირისს სანაცვლო შეიქნა ის დღე შენის ოჯახისა, და შენს მტერს დაუდგება, ამისთანა დღე, ოციოდ ქრისტეანე კაცი ვიყავით, რომ ჩქმს კაცს, რომ ამისთანა ამხანაგი მოუყუდეს შენ იცი, დასაკლისია. სხუა აქაური კიდევ ესე, რომ ინდები გვაშინებდენ: მარასათი მოგასწრობსთო, და ოთხს თთვეს იწვიძებსო, და ველარ გახვალთო, და მართლაც იყო, თითო ასეთი მტვერი ყოფილიყო. ასე დაბნელდის, როგორც შუალამე იმასთან ნათელია. იმასთან ეს რომ გარდასწყდის, მოვიდის ერთი საკვრველი ქარიშხალი და წვიმა-ქუხილი, რომ აღარც კარავი დააყენა, და სიცივემაც ძალა დიალ დაგემართა გამოვიდის, ერთი ასეთი სიცხე გამოუშვის, რომ რა მოვიგონო და რა ვჰსთქუა? იმდენი ღმერთმა ღმთის წყალობა მოგცეს, რამდენი სიცხემ კაცი იქ გახეთქა. ამაში მოვედით ჯაანზე, და ასეთი გადიდებულ იყო, რომ ბევრს ალაგს ჯაანზაირის გაწევა კი არ იქნებოდა. რომ მოვედით ვნახეთ ჯისირი გაეწყვიტა. დიალ ნამეტნავათ გვეწყინა და ვეცადენით ზეით ქვეით ჯისირის გადებასა, და არ დააყენა. მასუკან ყენმა ბრძანა და სულ ნავით გამოვიდა ჯარიც პირზედ დავდეგით გამოღმა, სანამდინ უკანა ჯარი გამოვიდოდა. ერთს ღამეს ერთი შათირი მუსა და ერთი მეჯორე, და ერთი იეთიმი, უსუჟა ჰქვან, ეს სამნი გამეპარნენ, და ოთხი ცხენები წაგვისხეს და ლაურს მიმართეს, და მოგვიანოთ სოლომან, პართენ, ცალკე გამოუდგნენ. ასლან, დავით და გივი ერთს მხარეზედ გავგზავნენ. ყენი იმ დღეს

აიყარა და წამოვიდა. მაგრამ ჯერ ვეჭვობ ისე არ გაჰირობო-
 დეს ამ ურდოში. მე იქავე სადილობამდინ უცადე ასლანს
 ისინიც. დავიწყე სიარული და წაველ. დადგა სიცხე,
 დიად ნამეტნავად შეგვაჰირვა. მე ჩქარა გამოვკარ და ურ-
 დოში რომ შემოველ, დამიწყო გულის სუსტობა, და ერთი
 ბეწვი გამიწყდა რომ ცხენი დამ არ გადმოფარდი და ჩემთან
 ჯიმშერის მეტი არავეინ იყო. უთხარ: ჩქარა და კელი
 რომ ჩავეყავ, დამწვა. უბეში ჩავეისხი და პირი დავიბანე. გა-
 მოვაქენე ცხენი, და ქარი მომედინა
 დავარდნოდა, მაგრამ უცხო
 ცხენი იყო. შენმა მზემ, ასეთი ცხენი იყო, რომ ჯანაბათს
 ინდებმა ოცდაათი თუმანი მაძლიეს, და არ მივეც, და ამან
 მოინდომა, ავდეგ და მივეც. ის ცხენი ჯანაბათს ვიშო-
 ვე, ამაში ჯულიმ და იმაზედ ჯისირი იდგა
 და გამოვიარეთ. მოვედით ერთს ალაგს, და ჯარის სანიც
 მოგდა იქა. იმ მანძილზედ მე ცივება დამაწყებინა. ხუთჯე-
 რად გამაცივა. სამი ჯულაბი დაველიე და ლუთით მოვრჩი.
 იქი დამ ავიყარენით, და ალიხანიც ავათ იმანაც
 ჯულაბები დალივა. მასუკან ათეგის წყალზედ მოვედით.
 ჯერ იმ მანძილზედ ალის მირზას ასი თუმანი ინამი უბოძა,
 და მე ორმოცდაათი თუმანი მიბოძა. და მასუკან ჩვენი სანიც
 ნახა, და თითო ცხენი კიდევ გვიბოძა. სანს უკან საბრალო
 ვამეყიც ავათ გაგვიხდა, და შენი ჭირი წაილო. და ახლა ფი-
 შაურს ქვეი დამ, ორს მანძილზედ ვდგევართ, და არ ვიცით
 ღმერთი საით წაგვიყვანს. მე ბატონებთან და შენთან ბევრი
 სიჯილათი და სერცხვილა მაქუს... თუ ღმერთმა პატარა ზეით
 შემოგვაყენა, ხომ ლუთით კიდევ შევიძლებ თქმსნს სამსახურს
 და სიამოვნეს, თუ არა და, რა გაეწყობა? პართენი ამ წიგნის
 წერაში აქ არ იყო, ფი შა უ რ ს წავიდა და მე პითხრა: თუ ანას
 წიგნი მისწერო, ჩემ მაგიერ სამსახურის თქმსნიცა
 და ჩემიც, და მე მიყურეთ რომ ბიძია შევიქენ, და დისწუ-
 ლიცა მყავს. ბატონი ჩემი დისწული როგორი ქალია, ან
 მაგისი ქმარი როგორი ვაჟკაცი შეიქნა? მომწერე ჩემის ძმის
 ანბავი და მ ა რ ი ა მ ი ს ა ნ ბ ა ვ ი მიბრძანეთ რამე. დაიწერა
 ხუთს

ბატონიშვიდ ერეკლეს წყაღობის წიგნი, ბოძებული ასღან ავაღიშვილისადმი შაჰჯანაბაღში 1738 წ.

ქ. ნებითა და შეწვევითა ღვთისათა, ესე წყაღობის წიგნი გიბოძეთ ჩვენ, ბატონიშვილმა ერეკლემ, შენ ჩვენს ერთგულს და თავდადებით ნამსახურსა ავაღიშვილს ასღანს მილახვარს, ასე რომ ყანდაარს რომ შაჰნადირ ყეენმა გვიბრძანა, მაშინ შენც თან მახლდი, ბევრს გვემსახურე და და კიდევ ინდისტანს ჩამოგვეყვე და იქაც ბევრს გვემსახურე. ახლა ამ სამსახურის სანუფქოთ გიბოძეთ ჩვენი სახასო ჩუმლაცი. უწინაც პაპის ჩემისა, ბიძის ჩემების წიგნები გქონებოდა. როგორც იმაში ეწეროს, ისრე ჩვენც გვიბოძებია და დაგვიმტკიცებია. გიბოძეთ და წყაღობა გიყავით დავითს ნაზირს და შენს ბიძაშვილს ასღან მილახვარს და შვილსა შენსა გიორგის და მომავალთა სახლისა შენისათა. მოგცეს და გიბედნიეროს ღმერთმა ჩვენს ერთგულობასა და სამსახურსა შინა. არა ჩვენგან და არცა შემდგომთა ჩვენთაგან არ მოგეშალოს. დაიწერა წიგნი ესე ინდისტანს ხელითა პართენისათა, ოკდობერს ბ. ქალაქსა შაჰჯანაბადისასა ქორონიკონს უკვ. ბატონიშვილი ერეკლე

ამ სიგელს ხელ-ახლა ამტკიცებს მეფე ერეკლე 22 მაისს 1784 წ. და მასთან ერთათ სიგელს ამტკიცებენ 23 მაისს დედოფალი დარეჯან, ბატონიშვილი გიორგი, იულონ და ალექსანდრე.

სითარხნის წიგნი თეიმურაზ II-ისა, ბოძებული გოგია ცისკარიშვილისადმი 1737 წ.

ქ. ნებითა და შეწვევითა ღვთისათა ჩვენ იესიან, დავითიან, სოლომონიან, პანკრატოანმან, მეფეთ მეფემან და თვით კელმწიფემან, დიდის კელმწიფის გაკელმწიფებულმან მეფე აეიმურაზ და თანამემცხედრემან, დედოფლად ღირს ქმნილმან, ქართოველთ მეფეთ ასულმან, დედოფალმა თამარმა, პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან ბატონიშვილმა ერეკლემ და იოანემ, ძმისწულმან ასანმირზამ, ეს

წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყალებთ და გიბოძებთ შენ გურჯაანელს თამაზის ყმას ცრისკარი შვილს გოგოიას, ღვინოიას, გურამს, მამუკას შვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა, აზატობის წყალობა, არა სათხოვარ არა გეთხოვებოდეს რა, არა საკელმწიფო, არა საბატონო გამოსაღები, არა პური, არა ღვინო, არა საკლავი, არა გამოსაღები არა გეთხოვებოდეს რა. უწინაც ნამსახური კაცი იყავ; ახლა ბატონიშვილი ერეკლე ყეენს კარზე ახლდა, იმის სამსახურზე გაგისტუმრეთ. იმის სანუფქით ჩვენ ეს წყალობა გვიქნია. არ მოგეშალოს ჩვენგან, არა სხვათა მეფეთ და მეპატრონეთაგან. გიბრძანებთ კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო და ყოველნო მოსაქმენო, თქვენც ასე დაუშტკიცეთ, როგორათაც წიგნსა და ნიშანში ეწეროს. ქკს უკე

თეიმურაზ

თამარ

იოანე

ქ. ჩვენ ნეფე ერეკლე ვამტკიცებთ ამ წიგნს, ოკტომბერს და, ქკს უმთ.

ერეკლე

წყალობის წიგნი მეფე თეიმურაზ II-ისა, ბოძებუდი სოღომონ გურგენიძისადმი 1740 წ.

ქ. წყალობითა ღთისათა ჩვენ ღთივ ზეცით გჯგჯგოსანმან, იესიან, დავითიან, პანკრატოანმან, საქართველოს მეფეთ მეფემან, პატრონმან თეიმურაზ და თანამეცხედრემან ჩუენმან, დედუფალთ დედუფალმან თამარ, პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან ბატონისშვილმა ბატონმა ირაკლიმ, ესე წყალობის წიგნი და ნიშანი დაგიწერეთ და მოგიბოძებთ სამლოსა ჩვენდა ბრძანებულისა წესთაებრ კეთილ მონისა და სახიერისა მსგავსად მრავალსა ზედა დადგინებისა პატივითა, რომელმან მსახურებასა შინა ჩვენსა იტჯრთე სიცხე მზისა და სიმძიმე ღამისა და მუშაკისაებრ სასყიდელისა ღირსისა ჩვე (ნ) ცა მოწყალებანი ერთგულთათჳს მიუხვებულნი სიგლითა დაგიმტკიცეთ თქუენ, მრავალფერად თავდადებულს და ჩვენსა სამსახურსა შინა ნიადაგ მზად მყოფსა და ერთგულება

დაჯერებულს ყმათ გურგენიძეს და ჩვენს არმის ეშიკალ-
აბაშ ბეჟან ბეგის შვილს სოლომონს, შვილსა შენსა
გიორგის და შვილის შვილისა შენსა სიმონს და მომა-
ვალთა სახლისა თქუენისათა ყოველთავე ამად, რომე ოდეს
ნადირშამ ერანი დაიჭირა, მაშინ აქ მობრძანდა, ჩვენს
ძმისწულს ალექსანდრეს ქართველთ ბატონობა უბოძა.
ჩვენც ბევრი ძალიან სამსახური დავსდევით: ლეკი და
ურუმი გაერთდენ, ახალციხის უსუფ-ფაშა ქართლში
პატრონობდა, ყარაღაჯის ციხე ეჭირა, დიდის ჯარით და
თოფხანით გამოვიდა კახეთზე. ჩვენის მაჰმად-ყული-ხანის
სიკუდილიც და დარბაისელთ და ეპისკოპოსთ ამოწყუეტაც
თავს ედევით მუხთლობით. ლთის მოწყალებით დედოფლის
წყალზე დავესხენით, ქალაქამდი ვდივეთ. ბევრი ამგვარი სამ-
სახურები გავსწივეთ, მაგრამ არ დავგინდო: გორს დავეჭი-
რეს, ჩვენ და ქართველნი: ბარძიმ ერისთავი, ამირა-
ხვარი გივი და თარხანი. ყენი ისპაანს ბრძანდებოდა.
წაგვასხეს ტუსალათ. შენ თავდადებით დაუპატიჟათ გვიახელ-
გზებზედ კარგად გემსახურე. მერმე ყენმა ისპაანს წყალობა
გვიყო, კარგათ შეგვიწყნარა. მაგრამ ყანდაარზედ გაილა-
შქრა, ჩვენ თან წაგვასხა. ვინც გვერთ გვახლდენ, დიდათ შე-
წუხდენ და თხოვნა შექმნეს: მე ყუელა თავისუფლათ გავხადე,
წამოყოლის ნება მიეცე. მაშინ შენ და პაატას ტუსი-
შვილს პირობა გქონდათ, თავგარდადებით გარდმო(გ)
ყუევით ისპაანი დამე. მანამდინ ყანდარს ჩავდიოდით,
გზაზედ მრავალი განსაცდელები გარდაგვხედა და ომიც:
მირ-ვეიზის შვილი ყანი თავს დავგესხა ორმოცის ათასის
კაცით დამით. მაშინ კარგათ გაისარჯე. საგანზერდ ყენის
ყულებთან დასწრებოდი, ცხენიც მოგეკლა. ყულებს მოეკენე-
ბინა ყენისათვის: თეიპურაზ ხანის ყულები ჩვენთან დაესწრე-
ნო და კარგად გაისარჯნენო. ებრძანებინა: გურჯებს ამისთა-
ნაში არ პრცხვენიანთო. მეორეს დღეს მადლიერობა ებრძა-
ნათ. მივიდით ყანდარს. შეპოებნენ. დიდხანს ომი იყო; ვინც
ქართველნი გვახლდენენ, ან კახნი კარგა იყუნენ, მირ-ვეიზი
კიდევ დაამარცხეს. ყანდარი მოასირი (!) გახდა. მერმე
ჩვენი შვილი ირაკლი დაიბარა. ჩამოიყუანეს. ეჭუს თვეს
მოასარი (!) იყო ყანდაარი, იერიშით აილო. შენ ციხეში გა-

დახველ, იქაც კარგათ იყავ. ჩვენ დიდის პატივით და წყალობით ვუყუანდით. მერმე ინდოეთისაკენ გაილაშქრა და ჩვენ მურახასი გვიყო, აქათ გამოგვისტუმრა. ჩვენი შვილი ირაკლი თან წაიყუანა. გაყრის დღეს დიდი მწუხარება შეგვექნა. თვსთან შესდილნი ყმანი დაეთხოვენ და წამოვიდნენ. შენც ჩვენთანვე წამოგიყუანეთ. ბატონისშვილის გაყრისათვის დიდათ შეწუხებული ვიყავით ბატონყმიანათ; არც მოენე ყუანდა, რომ პარსული სცოდნოდა. ჩვენს უდასტუროთ წარხველ და გზაზედ მოეწიე და თან იახელ. ინდოეთში მრავალი განსაცდელი გარდაგზელოდათ, დიდრონი ომი გზაზედ. ტახტის სიახლოეს შაჰჯანაბათს ინდოეთ მეფე შემოებმოდა. დილით საღამომდი ომი ყოფილიყო. ნადირ-შაჰს გამარჯვებოდა. ინდონი ოცი ათასი მეტი მომკლდარიყო. ინდოთ მეფე მამად-შაჰს სანგრიდან გამოეყუანა. მიბრძანდა და შაჰჯანაბათის ქალაქი აიღო. ინდოეთს თვითონ მეფედ დაჯდა. მასუკან დაბრუნდა და სინდეთი დაიჭირა და სინდთ მეფეც შეიპყრა და ისევ ყანდაარს მობრძანდა. თითონ ჩინეთისაკენ წაბრძანდა. ბატონისშვილი აქეთ გამოესტუმრებინა ჩუენკენ. მოხვედით მშვიდობით. ალავერდს შევიყარენით. ნახეთ, ჩვენი და დედოფლის რა სინარული იქნებოდა. მაშინ დაგვეაჯენით და ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და ესოდენისა ჩვენზე თავგანწირვით ერთგულობით სამსახური მოვიკსენეთ და წყალობისა თვალითა მოგხედენით და შევიწყალეთ და გიბოძეთ თელავს ბაზრის ტარულობა. მერმე ნადირ-შა დალისტანიდამ მობრუნდა და კარგათ ვემსახურენით და მივეგებენით და ქართველთ ბატონობა გვიბოძა. მაშინ ძველთაგანაც ჩვენ მამა-პაპათაგან დიდუბის მოურაობის წყალობა გვირებოდათ. ჩვენც იმ რიგათ დიდუბის მოურაობა გიბოძეთ, როგორადაც ძველს სიგელში გეწეროსთ: და რადგან მაშინ კიდევ ყანდაარს გვასახელე, იქავ ნადარბათში ქიზიყის ქალანთრობა გიბოძეთ და წყალობა გიყავით. გქონდეს და გიბედნიეროსთ ღმერთმან ჩვენსა ერდგულად სამსახურსა შინა. არაოდეს მოგეშალოს ჩვენგან და არცა შემდგომთა ჩუენთა მეუეთა მეპატონეთაგან, და რომელნიცა ღთის მოყუარენი მეფენი, კეთილ-მორწმუნენი დედოფალნი, კეთილშობილნი ძენი და ასულნი ჩვენსა შექდგომად ბოძახდე-

ბოდეთ, ნუვე მოუშლით და მწყალობელი იყუნით, რათა თქვენცა გაგებულნი ღმერთმან კეთილ უმჯობესად განაგოს. აწე გიბრძანებთ კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო და სხვანო მოსაქმენო, ბრძანება და ნიშანი ესე ჩვენი თქუენც ესრეთ დაუმტკიცეთ. დაიწერა ბრძანება და ნიშანი ესე კელითა კელიანის მხატვრის გრიგორ მღვდლის დეკანოზის ძის ალექსი დეკანოზისათა, ქრისტეს განკორციელებიდან ჩ ლ მ, ქრონიკონს უკ^ლ

მეფე თეიმურაზ

არშიაზე აწერია:

ქ. ჩვენ ყოველისა ზემოხსა საქართველოსა მპყრობელმან, მეფეთ მეფემან ერეკლე ესრეთ განვაწესეთ, რომელ რანიცა კახეთს ანუ მამულნი და ანუ სახელონი უპყრიან ამათ ბოძებულნი ჩვენგან, ესე ყოველი სოლომონს და მისსა შვილსა დარჩეს, და რაც ქართლში მამული თუ სახელო და დიდუბის მოურაობა ჰქონდესთ, ესე ყოველი ბარამს და მისს ძმას დარჩეს. ქრისტიანობის კ, ქრისტეს აქეთ ჩ ლ ჯ დ. ბეკედს აწერია: „მე ფერხთ განბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე. ერეკლე“-

წყადლობის წიგნი თეიმურაზ II-ისა, ბოძებულნი ნაზირის დავით ავაღიშვილისადმი 1740 წ. ენკენისთვის 22

ქ. ნებითა და შეწვევითა ღმრთისათა ჩვენ იესიან, დავითიან, სოლომონიან, პანკრატოვანმან, მეფეთ მეფემან და თვით კემწიფემან პატრონმან თეიმურაზ და თანამემცხედრემან ჩვენმან, საქართველოს მეფის ასულმან, დედოფალთ დედოფალმან პატრონმან თამარ და სასურველმან ძემან ჩვენმან ბატონიშვილმან, პატრონმან ერეკლემ, და ძმის წულმან ჩვენმან ასან-მირზამ ესე ამიერით უკუნიისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი წყალობის წიგნი და სიგელი ესე შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ, ჩვენსა ერთგულსა და მრავალ გვარად თავდადებით დიდათ ნამსახურს ყმათა ჩვენთა, ავაღიშვილს ნაზირს დავითს, მილახვარს ასლანს და ძმასა შენსა დემეტრეს და შვილთა თქვენთა: გიორგის, ქაიხოსროს და არსენს და ყოველთავე მომავალსა სახლისა შენისათა ასრე და ამა პირსა

შედან, რომე ძველადგან დიდათ ნამსახურნი და ჭირნანახნი იყენით, მრავალგან გაჭირებასა და ერთგულებაში მამა-პაპათ თანა ხლებოდით. ახლაც ჩვენს შვილს ერეკლეს ასლან მილახვარი ინდოეთს შ ა ჰ ჯ ა ნ ა ბ ა დ თ ა ნ ხლებოდა, მრავალი ჭირი და გაჭირვება გარდაეხადნა და კიდევ სინ დ ე თ - ს ა ც დ ი დ ს გაჭირვებაში თან ახლდა ერთგულად ჩვენს შვილს, ოდეს ღმერთმა ხელი მოუშართა, იქიდან დიდს კელმწიფეს შაჰნშას მურახასი მიეცა დი მშვიდობით ბატონ-ყმანი მოხვედით. მრავალი სამსახური და ერთგულობა გარდაეხადათ. უწინდელი პაპის ჩვენის ძველი წიგნი, კურთხეულის მამის ჩვენის წიგნიც ხელთ გქონდათ, ჩვენის ძმისა მეფის იმამ-ყულიხანისა და ჩვენგანაც წიგნი გეჭირა კელში და ხელახლად წიგნითა ამით გაგიახლეთ ამ შენის სამსახურის სანუფქოდ ჩ უ მ ლ ა ყ ს ჩვენი სახასო გლეხები და რაც იყოს შენი და უშენი თავისის მიწა-წყლით, მითითა და ბარით, შესავლითა და გასავლითა—წყალობა გვიქნია და გვიბოძებია თქვენს საყმოდ, როგორათაც ძველს წიგნებში გეწეროს, იმავე რიგითა ყოვლის კაცის უცილებლად. გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენს ერთგულებასა და სამსახურსა შიგან, არ მოგეშალოს ჩვენგან და არა შემდგომთა მეფეთა და მეპატრონეთაგან. აწე გიბძანებთ კარისა ჩვენისა ვეჟილ-ვეზირნო, თქვენც გაუთავეთ და ნუ მოუშლით, რა რიგათაც ფარმანსა ამას შიგან ეწეროს. დაიწერა ბრძანება და ნიშანი ესე ენკენისთვის კბ, ქკს უკც

მეფე თეიმურაზ | თამარ | ერეკლე | (თათრული)

მეორე გვერდზე სწერია:

ქ. ჩვენი ბძანება არის, მორდალო პაატავ! ჩ უ მ ლ ა ყ ი ჩვენი სახასო ხელი აუშართე დ ა ვ ი თ ნ ა ზ ი რ ს ა და ა ს ლ ა ნ ს, ბატონიშვილის მი ლ ა ხ ვ ა რ ს მ ი ა ბ ა რ ე, როგორც უწინ სჭიროდეს იმ გზით ქკს უკც | თეიმურაზ |

წყარობის წიგნი ერეკლე II-ისა, ბოძებული ასდან
ვაჩნაძისადმი 1751 დეკემბრის 1

ქ. სახელითა ღვთისათა ჩვენ იასიან, დავითიან, სოლომონიან, ბაგრატიოვანმა, საქართველოს მეფეთ ცხებულის თეიმურაზის ძემან, კახთ მეფეთ მეფემან და თვით ჯელმწიფემან, პატრონმან ჰერეკლემ, და თანამემცხედრემან, დადიანის ასულმან, დედოფალთ დედოფალმან პატრონმან დარეჯან და პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან, ორთავე საქართველოს უფლისწულმან ბატონიშვილმან ვახტანგ და გიორგიმ, ესე ჟამთა და ხანთა გასათავებელი მამულის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ, ჩვენს ერთგულს და ჩვენს სამსახურზედ მრავალფერად გასჯილს და ნამსახურს ვაჩნაძეს ასლანს, ძმისწულსა შენსა ფარსადანს, შვილსა თქვენსა ყაფლანს და შვილის-შვილსა შენსა ლუარსაბს, ასე და ამა პირსა ზედან, მოხვედით კარსა დარბაზისა ჩვენისასა და შენის ბიძაშვილის გიორგის განაყოფის ამოწყვეტილის სპანდიარის შვილის გიორგის ნაქონ მამულს გვიაჯენით. ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და რადგან თქვენის ოჯახიდგან განაყარი იყო და სახლის კაცი, ისევე მისი ნაქონი მამული კოლაკი სოფელი და ჩალაუბანი მისი წილი გლეხებით, ზვრით, მარნით, ხოდაბუნებით, მთით, ბარით, წყლით, წისქვილით, შესავლით, გასავლით და ყოვლის მისის სამართლიანის სამძღვრით გვიბოძებია თქვენის ნამსახურობის სანუქჟოდ. ჩვენს ერთგულობაზედ ჩვენს მამა-პაპათ წინ ბევრნი დახოცვილიხართ და ერთი შენი შვილიც ოთარი ჩვენს ბიძაშვილს ახლდა ინდოეთის საფარში და იქ მოგვიკვდა. შენი ძმისწული ფარსადანც იქ გვახლდა ინდოეთს და სინდეთის ომებში და ბევრჯელ ჩვენს წინ კარგად გაისარჯა, და ახლაც ჩვენი ერთგული და სამსახურის მომპირნენი ხართ და ამ ნამსახურობისათვის და ერთგულობის სანუქჟოდ გიბოძეთ შენისავე ბიძაშვილის გიორგის მამული ყოვლის კაცის უცილებ-მოუღვერად. (გ) ქონდეს და ვიბედნიერო(ს) ღმერთმან ჩვენს ერთგულობაში და სამსახურში...*

* აქ ჩვეულებრივი წყევლა გამოტოვებულია.

დაიწერა ინდიკტონსა მეფობისა ჩვენისასა წელსა მეათესა, თვესა დეკემბერსა ა. კელითა ქვაბულიძის მდივნის ოთარი-სათა, ქკს ულთ. *

გიორგი მეფის წყალობის სიგელი
რაფიედ დანიბეგაშვილის ინდოეთს
გაგზავნის შესახებ

ქ. წყალობითა ღთისათა, ჩუენ იესიან-დავითიან-სოლომო-ნიან-ბაგრატიონიან, მეფის მეორის ი რ ა კ ლ ი ს ძემან, ქართ-ლისა, კახეთისა და სხვათა მპყრობელ-მქონებელმან, მეათუა-მეტემან მეფემან გ ი ო რ გ ი მ და თანამეცხედრემან ჩვენმან, ბატონის ციციშვილის ასულმან დედოფალმან მ ა რ ი ა მ, პირ-მშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან, ლენერალ-ლეიტენან-ტმან დ ა ვ ი თ, ი ო ვ ა ნ ე მ, ბ ა გ რ ა ტ, თ ე ი მ უ რ ა ზ, მი-ხ ა ი ლ, ჯ ი ბ რ ა ი ლ, ი ლ ი ა, ო ქ რ ო პ ი რ მ ა ნ და ი რ ა კ-ლი მ და ძის ძემან ჩვენმან გ რ ი გ ო ლ, ესე ამიერთ უკუნი-სამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცე და უცვალებელი და საბოლოოთ გამოსადეგი წყალობის წიგნი და სიგე-ლი გიბოძეთ შენ, მამა-პაპით ჩვენს ერთგულსა და თავდადე-ბით მრავალფერათ ნამსახურების კაციშვილს, აზნაურს დ ა-ნ ი ბ ე გ ა შ ვ ი ლ ს, ხუთასის თავის ოს ე ფ ა ს შვილს რ ა ფ ი-ე ლ ს ა, ძმასა შენსა ი ო ს ე ბ ს ა და მომავალთა სახლისა თქვე-ნისათა,—ასე რომ ძველთაგან მეფეთ წყალობა გჭირებოდათ და წყალობის სიგელებიცა გქონოდათ, აგრეთვე სანატრელის პაპის ჩვენის, მეფის თ ე ი მ უ რ ა ზ ის ა გ ა ნ ა ც წყალობათ გბოძებოდათ სახელოს სიგელი, რომელიც პაპის შენისათვის და ღ ბ ა შ ო ბ ა ე ბ ო ძ ე ბ ი ნ ა და აგრეთვე კურთხეულმა მამა ჩვენმან, მეფემან ი რ ა კ ლ ი მ ა მამაშენს ოს ე ფ ა ს ხ უ თ ა-ნ ის თ ა ო ბ ა შ ბ ო ძ ა წყალობის სიგელით და ამ ხ უ თ ა ს ი ს ო ა ო ბ ი ს ჯ ა მ ა გ ი რ ი ც ა და ის მამაშენი ოს ე ფ ა ი მამის ჩე-ენისა და ჩვენს სამსახურში გარდაიცვალა, ჩვენცა მამიშენის ნამსახურობის სანუქეთოთ მამიშენის სახელო ხუთასის თაობა

* თეიმურაზისა და ერეკლეს წყალობის წიგნები ამოღებულია ეჭვთ. თაყაიშვილის რედაქციით გამოცემული, „საქართველოს სიძველენი“-ს III ტომიდან, თბ. 1910 წ.

შენ რაფიელს გიბოძეთ, როგორადაც მამაშენსა ჰქონდა ოავისის ჯამაგირითა, რომ ყოველწლივ ჩვენის სარქრიდამ ჩვენი მოხელენი მოგვეცემდნენ. ეს ჩვენი წყალობა შენთვის და შენი ძმისა და შენის შთამამავლობისათვის გვიბოძებია და რაც თქვენის ოჯახისა ძველათ ყუენებისა ან მეფეთაგან ბოძებული წყალობის წიგნები გქონებოდათ, ან სანატრელის პაპისჩვენისაგან ნაბოძები და ან მამის ჩვენის, კურთხეულის მეფის ირაკლისაგან ბოძებული, რომელიც რომ ჩვენგანაც იყო დაბეჭდილი, ის სახელოს წიგნი, ან ნასყიდობის სიგლები, ან ყმების ნასყიდობის, ან გირაობის წიგნები, ან ამ ტფილისში თქვენგან ნასყიდი სახლების სიგელი, აგრეთვე ლურჯმონასტერთან ნასყიდობა ბაღი და იქავ სახნავი მიწა ზევით რომ არის, იქიდამ მოკიდებული ქვევით თხრილამდინ და რიყემდინ, აქავ გაბაანთაგან მოსყიდული წყარო თავისის სათავითა, ეს ნასყიდობები კურთხეულის ბატონის მამის ჩვენის მეფის ირაკლისაგან გქონებოდათ დამტკიცებული და შემდგომათ ასტარაბადელი მაჰმად ჰასანხანის შვილი, აღამაჰმადხან ურიცხვის ლაშქრით რომ მოვიდა ორსავე საქართველოს ასაოხრებლათ და ამ ტფილისის ხალხი უფროსი ერთი დაატყვევა და ეს ტფილისი დაწვა, რაც თქვენი საცხოვრებელი ყოფილიყო და ეს ზემოხსენებული სიგლები და წიგნები სულ ყველა მაშინ დაგკარგოდათ და ახლა ამ ჩვენგან ნაბოძების სიგლით ყოველი თქვენი ნაქონები ვაგიახლეთ და დაგიმტკიცეთ და გიბოძეთ შენ რაფიელსა, ძმისა შენსა იოსებსა და მომავალთა სახლისა თქვენისათა.

და შენ რაფიელს ამ ჟამათა ინდოეთს გაგზავნეთ შამირა-ღას შვილთანა. რათგანაც მამაშენი კურთხეულის მამის ჩვენის სამსახურისათვის ინდოეთს რამდენჯერმე წარგზავნილიყო, შენც იმავეს სამსახურზედ ინდოეთს გაგზავნეთ.


გქონდეს და გიბედნიეროს ეს ჩვენი წყალობა სახელო ჩვენსა ერთგულებასა და სამსახურში მოგანმაროსთ და არა მოგეშალოსთ არცა ჩვენგან და არცა შემდგომთა მეფეთა და მეპატრონეთაგან და რაც აქამდის გქერიათ და გქონებიათ მამული, ნასყიდობა, უსყიდი, თუ ყმა, რაც რამდენი თქვენი

ნაქონები და დღეს აქამდის არავინ შემოგეცილებათ და არცა-ვის უდავნია, დღეის იქით ვერც შემოგეცილებიან და ვერც გედავებიან.

აწე გიბრძანებთ კარისა ჩვენისა გამგენო, ესე ჩვენგან ნა-ბოძები წყალობის სიგელი თქვენცა ასე დაუმტკიცეთ, რა-გვარადაც ამ ჩვენგან ნაბოძებს ფირმანში ეწეროს და ნურ-ვინ შლად ჯელსა ჰყოფთ თვინიერ თანადგომისა და შეწვევის-ვან კიდე.

აღწერა ქალაქსა ტფილისსა შინა ჯელითა კარისა ჩვენი-სა მდიენის თუ მანიშვილის ეგნატისათა, სექტემბრის იდ წელსა ჩღჟთ.

შენიშვნა. მკვიდრ სიგელზე მსხდარა ბეჭდები.



მინაწერი:

ამ წერილის მკვიდრი და ქეშმარიტი სიგელი თვით ჩემის ჯელით დაწერილი, რომელზედაც რომ ისხდა ბეჭდები: მეფისა, დედოფლისა და მეფის ძეთა, სახლთ-ხუცისა, მდიენისა და ამ სიგლის რიცხვის შემდგომად ეს ზემოხსენებული ხუ-თასის თავი რაფიელა კურთხეულმა მეფემან გიორგიმ გაგზავნა ინდოეთს სამსახურზედ. ამ ხუთასის თავმა რაფი-ელამ ეს თავისი წყალობის სიგელი მე მომაბარა, რათგანაც თვითონ ინდოეთს მივიდოდა და თავის მოსვლამდინ მე მქო-ნოდა ეს სიგელი.

რადგანაც მკვიდრი სიგელი მე მქონდა, ამ ხუთასის თავის რაფიელას დედამ როზამა მთხოვა სიგლის პირი. რათგან-ნაც მკვიდრი სიგელი შენ გაბარიაო, მაგ სიგლის პირი გადა-მიწერე და მომეცო. მეც გადაუწერე და მივეცი იმ სიგლის პირი.

და შემდგომათ ამისა რამდენსამე ხანს უკან ეს ტფილისის ქალაქი რომ აიყარა ჭირის მიზეზითა, მეც ავიყარე ამ ტფილისიდანა და ქარელში ჩემს სოფელში მიველ. იმ აყრანო, რომელიც სიგელი მე მებარა, ის სიგელი საცდა დავკარგე. ბევრგან ვეძებე და ველარ ვიპოვე. რომელიც სიგლის პირი მიმეცა რაფიელას დედის როზასთვის, იმ სიგლის პირიდან გადმოვსწერე ზემოწერილი. წინაშე ღთისა ასე იყო.

კოლეჟსკის სოვეტნიკი თავადი ეგნატა თუმანოვი:
ქ. ამისი ჭეშმარიტებით მცნობი ვარ, რომ განსვენებულმა მეფემან გიორგიმ რომ ამ რაფიელას ხუთასისთაობა უბოძა და ინდოეთსაც გაისტუმრა სამსახურზედ და ამგვარი წყალობის სიგელიც უბოძა.

მარტის ივ ჩყზ წელს.

ღენერალ-მაიორი და ლუბერნიის მარშალი თავადი იოანე ორბელიანი.

ქ. როგორც თა ეგნატი თუმანოვს ამ სიგლის პირი აღუწერია, ჩვენც გვინახამს ის წყალობის სიგელი, მართალია და ჭეშმარიტი.

ბარათოვი ზაპალი*

* სიგელზე სხვა მოწმეთა მინაწერებზეც ყოფილა, მაგრამ, ამხ. შ. მესხიას (რომელმაც თავაზიანათ. დაგვითმო იგი გამოსაქვეყნებლად), არ გადმოუწერია.

პაატა ბატონიშვილი და იაკობ შაკრიძეანი*

სხვათა მრავალთ ჩინებულ ქართველთ შორის იყო კიდევ ცნობილი პაატა ბატონიშვილი, კაცი სწავლული, მრავალ საქმეთა მცოდნე და გამოცდილი. ეს პირი მცნობი იყო ინგლისის სახელმწიფო წესების, ხალხის განვითარების, სამოქალაქო წეს-წყობილების. ამ გვამს დიდათ სურდა, რომ საქართველო ინგლისს დაახლოვებოდა ინდოეთის გზით და ამ დაახლოვებით საქართველოც წარმატების გზაზედ დამდგარიყო. პაატა ბატონიშვილი ამას მით უფრო ნატრობდა, რადგანაც ეს ნამყოფი იყო ინგლისში, საფრანგეთში და სხვა სახელმწიფოებშიაც. გარდა ამისა, იგი იყო თავის დროის კვალად საკმარისად განსწავლულ-განვითარებული.

ვახტანგ მეფე რომ რუსეთში გადასახლდა, სხვათა შორის, ამის თანახმებულეებში ერთი პაატა ბატონიშვილიც. პაატა იმავე დროს პეტრე დიდისაგან დაარსებულ სამხედრო სკოლაში შევიდა სასწავლებლად. იქ მან სწავლა დაამთავრა და შემდგომ ამის ჩუმთა გაიპარა საფრანგეთში, იქიდან ინგლისში, ინგლისიდან ისევ პარიჟში მიბრუნდა, რადგანაც იქ ცხოვრება გაუჭირდა. უკანასკნელ იგი შევიდა პარიჟის სამხედრო სასწავლებელში, სადაც შეისწავლა ფრანგული და ანგლიური ენები. უმაღლეს სამხედრო სწავლის მიღების შემდეგ ისევ საქართველოში დაბრუნდა. მოსვლისთანავე მეფე ერეკლეს დაუახლოვდა. მეფე ერეკლეს ის უამბობდა ევროპის ერთა სახელმწიფო ცხოვრებას, წესებს და სხვადასხვა ცნობებს. აუწყა და აცნობა კარგად საფრანგეთი, ინგლისი და ზოგიერთი სხვა სახელმწიფოებთა ძალნი.

პაატა ბატონიშვილი ურჩევდა მეფე ერეკლეს, რომ რაკი

* იხ. საქართველოს შესახებ ევროპელ მოძღვართა და მოგზაურთა ცნობები, ვახტანგ მეფის წერილები საფრანგეთის მეფესთან, მეფე ერეკლეს მიწერ-მოწერა ინგლისის წარმომადგენელთან და ქართველი კათოლიკენი-გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა, თბილისი, 1900 წ.

საფრანგეთი შორს არის საქართველოზედ, მათთან დაახლო-
ვებას თავი დავენებოთ და ჩვენ ინგლისს დავეუახლოვდეთ
კალკუტის გზითაო. მან აუწყა, რომ ეს უფრო ადვილად
მოხერხდება, ვიდრე ევროპის გზით საფრანგეთთან დაახ-
ლოვებაო. ამიტომ პაატა ბატონიშვილი დროებით სპარსეთში
გაემგზავრა, იქ დაიწყო ამაზედ შეცადინება. მეფე ერეკლეს
კარს მყოფნი პატრები კი საფრანგეთის კავშირს ითხოვდნენ.
პაატა იტყოდა: ინგლისელნი უფრო ადვილად შეგვეწევიან
და დაგვეხმარებიან ჩვენ, ვინემ სხვა სახელმწიფონი. აბა ნახეთ
ჩვენს ვაჭრებს რა გვარ დახმარებას აძლევენ კალკუტას
და მადრასეში, რამოდენა ვაჭრობა მიდის იქით, რამო-
დენა საქონელი შემოაქვთ აქა, თვით ინგლისელნიც რა ხა-
ლისით მოდიან ჩვენში, ჩვენც გვიმასპინძლებიან და გვესი-
ყვარულებიან, როგორც ქრისტიანებს. ამ დაახლოვების წი-
ნააღმდეგ ვერც სპარსეთი გვეტყვის რამეს, ამის მოხერხე-
ბით თვით სპარსნიც აილაგებიან. შავ ზღვის გზებს გარდა
ამ ცნობების საფუძვლათ მართლაცა და ჩვენ გვაქვს რამდე-
ნიმე ცნობა ინგლისელთ საქართველოში მოსვლის შესახებ.
ხოლო იმ დროის ქართველთ ამაზე არაფერი ცნობა არ და-
უტოვებიათ. არა გვგონია კი, რომ 1771—77 წლებში, სა-
ქართველოში მოსულთ სწავლულთ მოგზაურთ ინგლისელთ
შესახებ თვით მათივე რამე ცნობები არ იქმნეს დატოვე-
ბული.

იმ დროებში ინგლისელთ ვაჭარნი და მოგზაურნიც სპარ-
სეთის მხრითაც ხშირად შემოდისდნენ საქართველოში. სა-
ქართველოს ვაჭრებიც ძრიელ ხშირად მიდიოდნენ სპარ-
სეთში და იქიდან კალკუტას, მადრასეს და ბილოს ინგ-
ლისში.

კალკუტაში, მადრასეში და ინგლისში საქართველოდამ
პირველად თბილისელ ვაჭრებს ვხედავთ, შემდეგ საგარეჯო-
დამ მისულებს, რომლებსაც უკანასკნელ ვაჭრობა დაუწყიათ.
ამათ შემდეგ გაიბა ერთობის ქსელი და თვით 1830 წლებამ-
დის იქ საქართველოდამ ვაჭრები ძრიელ ხშირად და მრავ-
ლად მიდიოდნენ სავაჭროდ.

1829 წ. კალკუტაში გარდაიცვალა ახალციხელი შეძლე-
ბულ ვაჭარი, გიგო ხურსიძე.

1792 წ. თბილისიდან კალკუტას და მადრასეში გაუტანიათ 800 ურემი მატყლი; ამების გამყიდველ და მწარმოებლად ითვლებოდნენ თბილისის ვაჭრები. მაშინდელ ვაჭრებთან დავთრები მე ვნახე, ერთს ვაჭარს აქვდა, იქიდან შევიტყე, რომ 1796 წ. თბილისიდან ვაჭრობის მიმდევარ ამხანაგობამ წაიღეს დიდი ძალი საქონელი. ეს საქონელი იქ გაესაღეს ინგლისელებზე. იმ დროის კვალად ერთ ვაჭარს კაი მოგება შეხვდა, რვაასი (8000 მ.) თუმანი. რვაასი თუმანი იმ დროის კვალად მეტად დიდს ფულად უნდა ჩაითვალოს, ისიც ერთს გამგზავრების დროს, ერთ პარტიის გატანის დროს მოგებული. ვინც ხშირად დადიოდა და ვაჭრობდა, ის, რასაკვირველია, დიდს ფულს მოიგებდა. გარემოებამ და ბედმა ისე შეუწყო ჩვენს ვაჭრობას ხელი, რომ ბევრმა იქ მეტად დიდი შეძლებაც შეიძინა და მათში რაღაც მანქანებით გაჩნდნენ ისეთნი მდიდარნი და მოხერხებული ვაჭრებიც, რომელთა ქონებაც მილიონებამდის აღიოდა. ამ პირებს ინგლისის მთავრობაც კარგად იცნობდა. ინგლისელთ კავშირი ჰქონდა მათთან. ასეთ მდიდარ პირების ცნობებს საქართველოს ვაჭრები თბილისში მოსვლის შემდეგ მრავალთ ქართველთ და სომეხთ მოუთხრობდნენ, რომ იქ ესა და ეს მდიდარი ვაჭარი სცხოვრობსო. ხშირად თვით ამ მდიდარ ვაჭრის კაცებიც მოდიოდნენ საქართველოში სავაჭროდ. საქმე ისე მოეწყო და მოემართა, რომ თბილისის ფიზიკურ მცხოვრებთ ქართველებმა კალკუტის და მადრასეს მდიდარ სომეხებთან წერილების გზავნაც დაიწყეს. საქართველოს შესახებ გაიმართა მიწერ-მოწერა და ლაპარაკი. მალე პაატა ბატონიშვილიც წავიდა ხოროსანს და იქიდან ინგლისში. მაგრამ საქმე იმან შეაბრკოლა, რომ მეფე ერეკლე ჯოჭმანობდა, საკმარისად ვერიდებოდა ინგლისელებზედ ლაპარაკი, მათთან დაახლოვება და ერთობა.

მეფე აღიარებდა, რომ იგინი ჩვენი მერჯულენი არ არიან და ვაი თუ მოვტყუდდეთო. საქმე იმით ვათავდა, რომ პაატა ბატონიშვილმა და სხვათა, რომლებიც ვახტანგ VI შვილის ბაქარის პატივისმცემელნი იყვნენ, მათ სურდა, რომ ქართლის მეფობა ერეკლესთვის წაერაზმიათ, ბაქარი მოეყვანათ საქართველოში და მისთვის მიეცათ საქართველოს მეფობა. ბაქარი ამ დროს რუსეთში სცხოვრობდა და ხარისხით გენე-

რალ-ლეიტენანტი იყო. ამ პირებმა ეს იმიტომ განიზრახეს, რადგანაც იგინი-ამჩნევდნენ, რომ ერეკლე მეფის მეფობა საქართველოს დასაღუპად გარდაიქცევაო, მას არც შვილები ჰყავს კარგები და არც შვილის შვილები. არც ერთ მათში სამეფო პირი არ არის; ეგენი მეფობას ვერ შესძლებენ. ერეკლე ესე ბური მეფე გიორგი ვერ იქნებაო და გიორგი კიდევ საქართველოს აღარ გამოადგება; საქართველოსთვის საჭიროა შორსმხედველი მეფე, განათლებული და ევროპის სახელმწიფო წესებთა მცნობიო. ასეთ ღირსეულ პირად მათ ბაქარ ბატონიშვილი მიაჩნდათ: ამაზედ უკეთესი მაშინ სხვა არავინ ეგულებოდათ. მაგრამ ვერ გააწყესრა, მათ წინააღმდეგ დიდი დასი იღვწოდა. უკანასკნელ მათ შეადგინეს ძლიერი დასი და ამ დასს ჰნებდა მეფე ერეკლეს ოჯახის მთლად ამოწყვეტა, მაგრამ ეს ველარ მოხერხდა, რადგანაც ერთმა კაცმა დათუნა ფეიქარმა გასცა იგინი. მეორ-მესამე დღეს „შეთქმაში“ მონაწილეობის მიმღებნი სულ დააპატიმრეს. მალე სამართალი მოხდა და რაჰდენსამე პირს სიკვდილი გადუწყვიტეს. სხვათა შორის პაატა ბატონიშვილს თავი მოსჭრა მეხლმემ მაშინდელს რიყეზედ, საქვეყნოდ, ავლაბრის ზიდის გვერდით. ასე გათავდა პაატა ბატონიშვილის საქმე.

ამ კაცის ცოდნას და განვითარებას „ქართლის ცხოვრებაც“ არ მალავს. იქ მოხსენებულა, რომ „პაატა ბატონიშვილი, კაცი დიახ მეცნიერი და განსწავლული ფრანგისტანშიო“. იმ პირის თავის მოკვეთა ბევრს დანანდა თურმე, ბევრი დიდთაც სწუხდა, ეს რა მოხდაო. მეფე ერეკლეს სთხოვეს პაატას პატიობა. მეფეს შეუწყნარებია. მალე რიყეზედ კაცი უფრენიათ, რომ პაატას ეპატიოსო, მაგრამ საქმე უკვე აღსრულებული ყოფილა. პაატა თავმოჭრილი გდებულა. მეფე ერეკლემ ბოლოს ძრიელ დაინანა ამის მოკვლაო, დიდათ სწუხდაო. სწორეთ ეს სამართალი და დასჯა გახდა მის მიზეზად, რომ დასჯილის ამილახერის შვილმა ერეკლეს მოღვაწეობის ცნობები და საქართველოს ამბების 1779 წელს პეტერბურგში რუსულად დაბეჭდა. ამ რუსულს წიგნში მეფე ერეკლეს დიდათ ჰყვედრიან და ჰკიცხავენ უსამართლობისათვის.

საქართველოს ვაჭრებს ჩვენის ქვეყნის შესახებ უცხოეთში ბევრნაირი ცნობები გაჰქონდათ. მათგან ზოგი ქართველთ სამტროდ რჩებოდა და ზოგი-კი სასარგებლოდ. ამ პირების მეოხებით ჩვენს სამეფოს ხშირად ზარალიც მოსდიოდა და კაი შემთხვევებიც. მათზედ უკეთეს მზვერავად კაცი სხვას ვერავის გაიჩენდა. ამ პირებზედ და მათ ზნეობით მხარებზედ ბევრი რამ იყო დამოკიდებული. ბევრჯელ მათგან საქართველოს ვნებაც მიუღია და ბევრჯელ სარგებლობაც. მათში იყვნენ ორნაირი დასის პირნი. ერთნი თუ ლალატობდნენ და სპარს-ოსმალეთში და სხვაგან შინაური ცნობები გაჰქონდათ შესყიდვით, მეორენი—კი იყვნენ ისეთნი, რომელნიც საქართველოს უბედურს საქმეებს მწუხარეს თვალთ უმზერდნენ, ისინი მის სასარგებლოდაც მოღვაწეობდნენ. ერთ ასეთ კეთილ მოღვაწე პირად ჩვენ ვხედავთ ვინმე იაკობ შახრიმიანს, რომელზედაც აქედამვე მოუთხრობთ მკითხველს.

იაკობ შახრიმიანი შთამომავლობით და სარწმუნოებით ჰაოსიანი იყო. მისი წინაპარნი ჰაისტანის აოხრების შემდეგ ინდოეთში გადასახლებულან და მადრასეში ვაჭრობა დაუწყვიათ. შემდეგ დროში ამ გვარის ვაჭრებს შეუძენიათ დიდი ძალი შეძლება. ამ შეძლების საშუალებითაც მათ დიდი წარმოება დაუწყვიათ საქართველოში, სპარსეთში, ინდოეთში და ინგლისში. სპარსეთიდან საქართველოში მათ შემოჰქონდათ ის საქონელი, რაც აქ იყო საჭირო, რასაც აქ ჰქონდა გასავალი. აქედამ გაჰქონდათ ის საქონელი, რაც იქ იყო საჭირო. ამათ თურმე ძრიელ კარგად წაუვიდათ ვაჭრობის საქმე. მალე ცნობილ პირებად შეიქმნენ ზემოხსენებულს ადგილებში და ხალხებში. საქმე ისე მოემართათ, რომ მალე ესენი მილიონერებად შეიქმნენ: მათ მიიმხრეს თვისკენ დიდი ძალი სომხის მოგზაურ-ვაჭრები და ამ ვაჭრებსაც ვაჭრობისათვის თანხას და სახსარს აძლევდნენ, რის მეოხებითაც წარმოება უფრო გაუვრცელდათ და სიმდიდრეც უფრო მიემატათ, ისე რომ, ამ გვარის ერთ წევრთაგანი იაკობ შახრიმიანი, XVII საუკუნის ნახილარს, უკვ 15 მილიონის პატრონად აომოხნდა, დიდძალის მამულების, ყმების და მონების პატრონად. ამას

აღმოუჩნდა 15 ათასამდე ინდოეთის სხვადასხვა ტომთა მონები. იაკობ შახრიმიანს სომხების და სომხეთის დიდის სიყვარული ჰქონდა გულში. სომხებზედ ჯეროვანი ყურადღება ჰქონია მიპყრობილი. რადგანაც სომხეთი მაშინ დიდს უბედურებას ითმენდა სპარს-ოსმალთა მეოხებით, შახრიმიანი და მისი ამხანაგები სომეხთ სასარგებლოდ არაფერს იშურებდნენ, ყოველთვის ეხმარებოდნენ დევნილ სომხებს და იხმობდნენ თვისკენ ინდოეთში და ინგლისში. აი ამათის მეოხებით გადასახლდნენ სომხები და მათის დახმარებით გაიმავრეს იქ ფეხი, ვაჭრობას მოჰკიდეს ხელი და შემდეგ ისე გამდიდრდნენ, რომ მთელს სომხის გვარიდამ მათ არსად აღარავინ სჯობდა სიმდიდრით და ვაჭრობით. სომხის გვარის ვაჭრებს გარდა მათ მფარველობის ქვეშ ბევრი ქართველნიც დაშთენილან, საქართველოში აღარ დაბრუნებულან, ქართველთ დევნა-შეწუხების გამო იქვე დახოცილან, როგორც გიგო ხურსიძე (ისარლოვი), ნარიმანა შვილი და სხვანიც მრავალი, რომელთა მოთვლა აქ შორს წავა.

შახრიმიანების გვარიდამ ყველაზედ დიდის სიყვარულით სომხეთისადმი აღმოჩნდა იაკობ შახრიმიანი. იმან იქ დაიწყო სომხეთის აღდგენის შესახებ თათბირი და დრტუინვა. იქ მან ძალიან ბევრი თანამგძნობელნიც მოიპოვა. თანამგძნობლებში ბევრი მეტად საპატიო, შორსმხედველნი პირნიც აღმოჩნდნენ. მათ განიძრახეს მადრასეში სომხური სტამბის გახსნა და წიგნების ბეჭედა. სტამბა მალე დაარსეს, წიგნების ბეჭედაც მალე დაიწყეს და რამდენიმე ხნის განმავლობაში მათ გააბრწყინეს სტამბის საქმე და სომხური წიგნების ბეჭედა. ბეჭდავდნენ წვრილ-წვრილ ანბანებს, საკითხავ წიგნებს და ამ წიგნების უმეტესს ნაწილს სომხეთის ერში გზავნიდნენ, მუქათათ არიგებდნენ და ავრცელებდნენ წერა-კითხვის ცოდნას. დიდი შრომა და ამაგი დასდეს მათ სომხის ერს იმ დროს, როცა ოსმალ-სპარსეთისაგან ესენი დიდს დევნაში იყვნენ. წვრილ წიგნებს გარდა იქ დიდრონს წიგნებსაც ბეჭდავდნენ, და სხვათა შორის, 1774 წ. პირველად იქ დაიბეჭდა სომხეთის და საქართველოს ისტორია, შედგენილი XI საუკუნის გასულს, სუნის ეპისკოპოზის სტეფანოზ ორბელიანისაგან, რომელი ისტორიაც ქართველებისათვის ძვირ-

ფასს განძს შეადგენს, რადგანაც სტეფანოზ ორბელიანი სწერს, რომ საქართველოს ისტორიის მასალები მე „ქართლის ცხოვრებიდან“ გამოვკრიბეო. აქედამ აშკარადა სჩანს, რომ „ქართლის ცხოვრება“ XI საუკუნეშიაც ჰქონიათ ქართველებს და არა XVII საუკუნის ბოლოს შეუდგენიათ, როგორც ფიქრობენ მრავალნი. ამ ისტორიის გარდა იქვე დაიბეჭდა ვრცელი ტომი სომხურს ენაზედ შედგენილი, სადაც აღწერილ არიან ყველა ის გამოჩენილნი მხედარნი, მეომარნი, მეფენი, მწერლები და სასულიერო პირნი, რომელთაც კი სომხეთისთვის რამე სარგებლობა მოუტანიათ. სხვათა შორის იქ აღწერილია ერეკლე მეფეც. წიგნის დამწერი ერეკლეს დიდის ქებით მოიხსენებს, როგორც კეთილ მოწყალე მეფეს, ქეშმარიტს ქრისტიანს, საწყლების შემბრალეს და სომხების მფარველს. ეს ქეშმარიტიც არის. ერეკლე მეფე დიდს მფარველობას უჩენდა სომხებს: ზოგს თავადიშვილობა მისცა, ზოგს აზნაურობა და ზოგს მოქალაქე ვაჭრებს დიდძალი მამულდედულები.

მადრასეს და კალკუტის სტამბის საქმეებმა ისე წადგა წინ ფეხი, რომ უკანასკნელ იგინი გახდნენ წინამორბედად და წამახალისებელ ძალად, რომ ერთმა მეტად საპატიო სომეხთ მოძღვარმა ტერშმოვანმა 1794 წ. სომხურს ენაზედ პირველად სომხური კვირის გაზეთი „აზდარარი“ გამოსცა. ამ სტამბაში სომხურ წიგნებს გარდა ინგლისურ წიგნებსაც ბეჭდავდნენ. ამ გაზეთის გამოცემა პირველი მაგალითია სომხურს მწიგნობრობაში, ამიტომ მის ისტორიას სომეხნი დიდს საპატიო ადგილს უთმობენ.

იაკობ შახრიმიანი თავის მეცადინეობით, სტამბის საქმით, წიგნების ბეჭდვით და სხვა კეთილ-მოღვაწეობით მალე იქმნა ერეკლე მეფისაგან გაცნობილი. ერეკლე მეფეს თბილისის სომეხთ მოძღვარნი ხშირად მოუთხრობდნენ, რომ იაკობ შახრიმიანი ასეთის ჰაზრისა გახლავსთ თქვენზეო. ნამეტურ ესიამოვნა ერეკლე მეფეს მაშინ, როცა მას შეატყობინეს ის ქება, რომელიც მადრასეში დაიბეჭდა სომხურს ენაზედ. ერეკლე მეფემ ისურვა ამ პირთან დაახლოვება და მიწერ-მოწერის დაწყება. ეს მალეც მოხერხდა და 1775 წ. წერილების მიწერ-მოწერა და მეგობრობაც დაიწყო. ყოველი წერილი — შახრიმიანისათვის

5. რ. დანიბეგაშვილი 65

სასიხარულოდ შეთბოდა და აღარ იცოდა მეფისთვის და მეფის თანამოაზრეთათვის რაგვარის მადლობით გადაეხადნა სამაგიერო. ამას მით უფრო ნატრობდა ეს პირი, რადგანაც ერეკლე მეფე მას მიაჩნდა სომხეთის და სომხების მფარველადაც. მართლაცადა, ერეკლე მეფე დიდად სწყალობდა და მფარველობდა ნამეტურ იმ სომხებს, რომლებიც ოსმალ-სპარსების მონობის ქვეშ იყვნენ და მათ ხშირადაც სჩაგრაედნენ. შახრიმიანმა ერეკლე მეფის სამაგიეროს გარდახდა დიდის საქმით ისურვა. მან მოიწადინა საქართველოს სამეფოს გამაგრება, ზერე საქართველოს მეფის დახმარებით სომხეთის აღდგენაც, ასეთი დიდებული აზრი შახრიმიანს კარგა ხანს ჰქონდა გულში, მაგრამ იგი დროებით საიდუმლოდ ინახავდა. უკანასკნელ, როცა ჰაზრი საქმეზე მივიდა, მაშინ კი მან თავის მეგობრებს განუცხადა და აცნობა დიადი განზრახვა. შემდეგ უფრო განუცხოვლდა ნატვრა და საქმესაც შეუდგა, რადგანაც მის განზრახვას იქაურმა სომხობამ დიდის პატივით შეხედა; ამაზედ უკეთესს ვერას გავაკეთებთ ჩვენაო, ამ საქმეს ყველამ ხელი უნდა შევუწყოთო.

მალე ერეკლე მეფეს შახრიმიანისაგან მოციქულები მოუვიდნენ. წერილით ულოცავდნენ მეფე ერეკლეს და ევედრებოდნენ საქართველოს გაძლიერებას და ქრისტიანთ მფარველობას. ლოცვის შემდეგ სწერდნენ, რომ თქვენ თუ ისურვებთ და საქართველოს და სომხეთის გაძლიერებისათვის დახმარებას ითხოვთო, ჩვენ ვეცდებით, რომ თქვენი ნატვრა ინგლისის მთავრობას ვაუწყოთ. მათ აუწეროთ საქართველოს და სომხეთის მდგომარეობას, ქრისტიანთ შეწყუბებას, თუ ვითარ იტანჯებოდნენ 1300 წ. განმავლობაში ქრისტიანობის გულისთვის შაჰადიანებში მომწყვდეულნიო. ჩვენ ვეცდებით, რომ ინგლისის მთავრობას წერილები მივაწერიოთ ოსმალ-სპარსეთთან და მათ ებრძანოთ, რომ საქართველოს და სომხეთის ქენჯნას თავი დაანებონო.

ბევრს კიდევ სხვა დაპირებებს უთვლიდნენ და აუწყებდნენ მეფე ერეკლეს. ერეკლემ პასუხიც მისცა და აუწყა, რომ თუკი რამე საქმეს გააკეთებთ და დახმარებას აღმოაჩენთ, მე დიდის სიამოვნებით მივიღებო, მის მეოხებით სომხეთის საქმესაც გაავძლიერებ, მოძაველში სონხეთს აღვადგენო.

პასუხის მიღების შემდეგ შახრიმიანმა ინგლისის მთავრობასთან დაიწყო მეცადინეობა და მათ აუწყა ყოველივე საქართველოს შესახებ: საქართველოს საზღვრები, ქართველი ერი, სარწმუნოება, მეფე, წესწყობილება, სამხედრო ძალა, ქალაქები, დაბა და სოფელი, ვაჭრობა, მუსულმანთაგან შეწუხება, დევნა და ბევრიც კიდევ სხვა ცნობები. ინგლისელებმა პასუხად მიუგეს, რომ ძალიან კარგი, ჩვენ დაეუახლოვდებით საქართველოს და თქვენც ნებას მოგცემთ, რომ თქვენი მონებით და ფულით საქართველოში გადასახლდეთო. რაკი ინგლისის მთავრობისაგან შახრიმიანმა სიტყვა და თანხმობა მიიღო, მას შემდეგ მეფე ერეკლეს გამოუგზავნა კაცები და ყოველივე აუწყა, რომ ინგლისის მთავრობა დასთანხმდაო, საქართველოს დიდს მფარველობას აღმოუჩინებო. ყოველნიერ სწავლას და სამხედრო ცოცნას შემოიტანენ და მეც მანდ გადმოვსახლდები ჩემის მონებით და შეძლებითაო. ამ დროსვე გამოუგზავნა ერეკლე მეფეს ოქროს ხმალი, სამეფო კვერთხი, გვირგვინი და სხვადასხვა ძვირფასი სამეფო შესამოსელნი.

მეფე ერეკლემ დესპანების პირით თანხმობა აუწყა და თან გაუგზავნა თავისი პირობები. უკანასკნელი პასუხის შემდეგ იაკ. შახრიმიანი წარსდგა კიდევ ინგლისის მთავრობის წინაშე და მეფე ერეკლეს პირობები აუწყა. ინგლისის მთავრობამ ყოველისფერი მოისმინა და საქართველოს შესახებ ცნობები მოითხოვა. შახრიმიანმა და მის მომხრეებმა ერეკლეს პირობების მიხედვით დაიწყეს გეგმის შედგენა, აღწერა, და ამ აღწერაში ყოველისფერი დაწვრილებით მიათავსეს. მალე ინგლისურს და სომხურს ენაზედ ეს გეგმა ცალკე წიგნადაც დაბეჭდეს. სომხურის დაბეჭდილის ერთი წიგნი სომხის კათოლიკოზისათვის გამოეგზავნათ ეჩმიანიში, მეორე წიგნი—მეფე ერეკლეს და მესამე წიგნი—იმ დროის რუსის იმპერატრიცა ეკატერინა მეორეს. იმპერატრიცას ამ წიგნს გარდა თხოვნაც გაუგზავნეს შემდეგის შინაარსის:

„ინგლისის მთავრობამ რომ თავს იღვას ქრისტიან ქართველთ და სომეხთ მფარველობა და პატრონობა, საქიროა, რომ კავკასიაში ერთი ძლიერი საქრისტიანო სამეფო დაარსდეს, თორემ იქ ქრისტიანები დიდს ტანჯვა-წვალებებაში არიან მაჰმადიანებისაგან. ინგლისის მთავრობას ჰსურს, რომ საქართ-

ველოს სამეფოს ხელი შეუწყოს, საქართველოს მეფე გააძლიეროს და იგი გამოაცხადოს მთელს კავკასიაში ქრისტიანთ ძლიერ მეფედ. თქვენ, როგორც ახლო მდებარე სახელმწიფო, მასთანვე კეთილ შორწმუნე ქრისტიანი, თანამოსაყდრე და მერჯულე საქართველოს ერისა, იმედია ამ საქმეში მონაწილეობას მიიღებთ და დახმარებას აღმოაჩენთ, რომ ეს საქმე მოხერხდეს, და მის საშუალებით ერთხელა და სამუდამოდ მთელს კავკასიაში მოიხსოს ქრისტიანთ დევნა და შეწყუბება.“

ეს წიგნი წაიკითხეს სომეხთ კათოლიკოზმა, მეფე ერეკლემ და სხვათაც მრავალთა. წიგნის გაცნობის შემდეგ კიდევ გაიგზავნენ კაცები და მოლაპარაკება გაიმართა. ერეკლესაც მალე მოუვიდა პასუხი. საქმემ დაბოლოების ფერი მიღო. საქართველოს შესახებ აი რას სწერდნენ აღნიშნულ წიგნში:

1) საქართველოს საქრისტიანო სამეფო უნდა გაძლიერდეს, აღორძინდეს. მას რიგიანი ძალა უნდა აღმოუჩნდეს ამ გაძლიერებისათვის. იგი უნდა დაუახლოვდეს ინგლისს და სხვათა ევროპიელ სახელმწიფოებს. ქართველთ უნდა ეცადონ, რომ ინგლისის დაახლოვებით ისარგებლონ თვითონ და ასარგებლონ კავკასიის სხვა ქრისტიანებიც.

2) ერეკლე მეფე უნდა გამოცხადდეს საქართველოს და სომხეთის მეფედ; უცხო ხელმწიფენი მას პატივს უნდა სცემდნენ როგორც ღირსეულს მეფეს; ამ მეფის სიკვდილის შემდეგ ტახტზედ უნდა ავიდეს მისი უფროსი შვილი; ევროპისა და აზიის ყველა სახელმწიფონი ახალ მეფესაც ისე უნდა უმზერდნენ, როგორც ძველს მეფეს; ევროპელთ საქართველოს დედაქალაქ თბილისში უნდა იყოლიონ თავიანთ საკუთარი ელჩები; აგრეთვე საქართველოს სამეფომაც უნდა გაგზავნოს თავის მხრივ ელჩები ევროპის და აზიის სხვადასხვა სახელმწიფო ქალაქებში.

3) საქართველოს სამეფო წესები მთლად უნდა შეიცვალოს; თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებში უნდა გაკეთდეს ჯარისთვის თავშესაფარი სახლი; უნდა მოგროვდეს ჯარი; მათთვის უნდა განწესდეს სამსახურის დრო; უნდა დაარსდეს სამხედრო სწავლა; შესდგეს არტილერია, სხვადასხვა საჭირო საქმეები და სწავლანი სახელმწიფოსათვის; ყველა

ამაგებისთვის ინგლისიდან იგზავნება სამხედრო კაცები, აფიცრები და სწავლულნი, რომელნიც ამზადებენ ხალხს და ჯარს; ჯარს უნდა მიეცეს რიგიანი ტანთსაცმელი, ყველას ერთნაირი თოფები; ამის მცოდნე კაცები და ხელოსნები ინგლისიდან უნდა გაიგზავნონ; საქართველოში სხვადასხვა ქარხნებიც უნდა დააარსონ.

4) ქალაქებში უნდა განწყობდეს ქუჩების და სახლების გაკეთების რიგი და წესი; უნდა დაარსდეს ფოსტა; უნდა გაიმართოს სხვადასხვა სამართველოები; იქ უნდა შეტანილ იქნეს ევროპის ერთა მსგავსი კანონმდებლობა და არა ისრე, როგორც დღევანდლამდინ არის, უფრო ოსმალებრ, ანუ სპარსულად; ვაჭრობა უნდა გაფართოვდეს, ამისთვის ღონისძიება უნდა იქმნეს აღმოჩენილი; ისევე უნდა გავრცელდეს ევროპული სწავლა და მეცნიერებანი.

5) ყველა ქალაქებში უნდა დაარსდეს რიგიანი სკოლები; აქ უნდა ასწავლონ ყველა სამეცნიერო საგნები და ენები; ინგლისური ენაც უნდა ასწავლონ; მასწავლებლები პირველ ხანებში ინგლისის აფიცრები და სწავლულნი იქმნებიან; ზოგი მოსწავლენი უცხო სახელმწიფოშიაც უნდა წავიდნენ სასწავლებლად; სწავლის შემდეგ იგინი საქართველოში დაბრუნდებიან დაუყოვნებლივ.

6) საქართველოში წვრილი თავადები და მთავრები უნდა მოისპონ, გაუქმდნენ; ერეკლე მეფეს გარდა სხვა მეფე არავინ უნდა იყოს საქართველოში; თავად-აზნაურები სულ მეფის ქვეშევრდომობის ქვეშ უნდა შევიდნენ; ტყვის ყიდვა და გაყიდვის ნება ისპობა; საქართველოს მეფე უმატებს ფულის მოჭრას; ამისთვის აფართოვებს ოქროს და ვერცხლის მადნებს; ფულის მოჭრა და მისი წესები ფუძნდება კანონიერად; ხელოსნებს ამრავლებს; სახელმწიფო მოხელეებს ენიშნებათ ჯამაგირები თავთავიანთ თანამდებობის შესაფერად, ვისაც რა ეკუთვნის; ასევე ეძლევათ სამეფო გვარის წევრთ საჭირო ჯამაგირი.

7) თათრებისაგან ავაზაკობა, ყაჩაღობა და კაცის კვლა უნდა მოისპოს; სრული მშვიდობიანი წესები უნდა დამყარდეს; ოსმალ-სპარსებთანაც მშვიდობიანი განწყობილება უნდა იქმნას; მათ აღეკრძალებათ ქურდულად ომი და ნავარდობა;

მათთან დაარსდება მტკიცე, თან მეტად სასტიკი პოლიტიკური მეგობრობა.

8) ყველა ამ საქმეების გასაკეთებლად შახრიმიანი სდებს თავის ათს მილიონს ფულს, რომ პირველ დაწყებით ამ საქმეებს ეს ფულები მოხმარდეს; ამ ფულის მოხმარების შემდეგ ინგლისის მთავრობაც ეხმარება საქართველოს მთავრობას და გზავნის საქართველოში ბევრს საჭირო სახმარს იარაღებს, კაცებს, ფულს და სხვა. უკანსკნელ ისე ძლიერდება საქართველოს სამეფოს შესავალი და საქმეები, რომ თვით საქართველოს სამეფოს შესავლიდამ იფარება ყოველივე გასავალი.

9) შახრიმიანს ნება ეძლევა, რომ ინდოეთიდან საქართველოში გადმოასახლოს 15 ათასი თავისი ინდიელი მონები, რომლებიც მისი საკუთარი მონები არიან; მათ საქართველოში უნდა გაავრცელონ შაქრის ლერწმის მოყვანა და სხვადასხვა ხელობა, რომლებიც მათ იციან და ეს ხელობა საქართველოში კი არ არსებობს.

10) საქართველოს სამეფოს გაძლიერებით ნელ-ნელა ძლიერდება სომხეთის ერისა და სამეფოს საქმეებიც და უკანასკნელ სომხეთიც გამოცხადდება თავისუფალ საქრისტიანო სამეფოდ და შემდეგ ქართველებთან ერთად და მეგობრულად განაგებენ თავიანთ სამეფოს და ერთა საქმეებს; ორივე ამ ხალხის მეფედ კი ყოველთვის ბაგრატიანთ შთამომავალი უნდა იყვეს მეფედ.

11) სამეფოს ხარჯის და იჯარების ასაღებად ფუძნდება დიდი სამართველო; არსდება მათთვის საჭირო სწავლა, კანონდებულება; იგინი ანაწილებენ ხარჯის ზომას, ყველა ვაჭრის, ხელოსნის და გლეხის შეძლების კვალობაზედ.

12) უქმდება მონური ბატონყმობა; ისპობა ტყვის ყიდვა, მტაცებლობა; ყოველი პირის პირადი უფლება რიგიანის პირობით იფარგლება და ისაზღვრება; საქართველოს პატარა დაბებშიაც იმართება ახალი სამართველოები, სასწავლებლები და გზები.

ამ გეგმაში ბევრი კიდევ სხვა კითხვები ყოფილა მოხსენებული.

მეფე ერეკლემ როცა ეს წიგნი გაიცნო შახრიმიანს თავა-

დიშვილობა უბოძა და საცხოვრებლად მთელი ლორის მაზრა. თავადისშვილობის და ლორის დამტკიცების ქალაქი მალე დასწერეს და 1795 წ. მეფე ერეკლეს ბრძანებით შახრიმიანთან გაგზავნეს თბილისის მოქალაქე, აზნაური რაფიელ დანიბეგაშვილი. ამას გაატანეს თავადიშვილობის და ლორის დამტკიცების ქალაქი. ერთის წლის მგზავრობის შემდეგ დანიბეგაშვილი ჩავიდა ინდოეთში, მივიდა შახრიმიანთან, მაგრამ შახრიმიანი ცოცხალი ვეღარ ნახა; ეს უკვე ნახევარ წლის წინეთ მომკვდარიყო. მეფე ერეკლესაგან თავადისშვილობის ქალაქი და ლორის დამტკიცება შახრიმიანის შვილს გადასცა; ყოველივე დაწერილებით აუწყა საქართველოს და სომხეთის შესახებ, მეფე ერეკლეს სურვილი და მეგობრობა მის მამასთან. შახრიმიანის შვილმა მეფის ქალაქები მიიღო. დაჰპირდა, რომ მამიჩემისაგან დაწყობილს საქმეს მე არ დავტოვებო, ყველაფერს სისრულეში მოვიყვანო. დაიმედებულნი დანიბეგაშვილი იქ კარგა ხანს დარჩა. უკანასკნელ წამოვიდა საქართველოში. გზაში რამდენსამე ხანს იმგზავრა, თან შახრიმიანის შვილის დაპირებას ელოდა, მაგრამ გზაში ვერა შეიტყორა. როგორც იქმნა საქართველოში მოვიდა 1798 წ. ამ დროს მას ერეკლე მეფეც ცოცხალი აღარ დახვდა, რამდენიმე ხნის წინათ მიიცვალა მეფე ერეკლე. მეფე ერეკლეს და შახრიმიანის მოულოდნელმა სიკვდილმა საზღვარი დაუდო ამ მიწერ-მოწერას და საქმე ასე გათავდა.

როგორც გადმოცა სომეხთა პატივცემულმა ისტორიკოს-არქეოლოგმა ალექსანდრე ერციოვმა, აღნიშნული წიგნებიდან ერთადერთი წიგნი დარჩენილა თურმე, ერეკლე მეფის ნაქონი. დღეს ეს წიგნი თვით ამ პირს აქვს ხელში. სომეხთ-კათოლიკოზის ეგზემპლარი დაკარგულა და ასევე არა სჩანს ეკატერინა იმპერატრიცასიო. რაც წიგნები მადრასეში ყოფილა, ყველა ესენი შახრიმიანს ერთს ოთახში სწყობია, სიკვდილის წინა დღეებში, რაღაც მიზეზების მეოხებით, ცეცხლი მისცემია და სულ მთლად გადამწვარა, ერთი წიგნიც არ დარჩენილა, ასე, რომ ამ ერთი წიგნის მეტი ჭაჭანება დღეს არსად არისო. ამიტომ ერციოვი ამ იშვიათ წიგნს დიდის სიფრთხილით ეპყრობა. ჩვენს ოჯახში ფიცი გვაქვს დატოვებული, რომ ვინცობა არის ჩვენს სახლ-კარს ცეცხლი წაეკიდა და

შინაურებმა შეიტყვეს, ყველაზედ წინათ ეს წიგნი უნდა გაიტანონ კარში და მერე სხვებში, თუნდ შვილებიც კი რომ იყვნენ, შვილებზედაც წინეთ ეს წიგნი უნდა გადაარჩინონ ცეცხლსაო...

ერეკლე მეფის სიკვდილის შემდეგ, ამავე მეფის ანდერძის ძალით, ლორის უფლება და თავადისშვილობა დარჩა შახრიმიანის საკუთრებად. შახრიმიანის შვილს მუდამ დღე უტდიდნენ, მაგრამ იგი საქართველოში არ მოვიდა. მეფე ერეკლესაგან დაწყობილს საქმეს მრავალნი ნატრობდნენ და ამას გიორგი მეფესაც ავალბდნენ, მაგრამ გიორგი მეფემ ეს არა ქმნა. იმ დროებში სომეხთა საქმე ძრიელ გაჭირდა, აქა-იქ ოსმალ-სპარსებმა სასტიკად დაუწყეს დევნა, ამიტომ ზოგიერთ სომეხებმა დაიწყეს თათბირი და გიორგი მეფეს თხოვნა დაუწყეს, რომ ოსმალ-სპარსეთიდან თქვენს სამეფოში სომეხები გვინდა გადმოვასახლოთო და ამის ნება მოგვეცითო, რადგანაც ქრისტიან სომეხები და ქართველები ძმები ვართ და ერთმანერთსაც მხარს მივცემთ ვაჭირვებაშიო. ასეთსავე თხოვნით სომეხებმა მიმართეს რუსეთის იმპერატორს პავლეს და მისაც სთხოვდნენ, რომ გიორგი მეფესთან გვიშუამდგომლეთ, რომ საქართველოში დასახლების ნება მოგვცესო. პავლე იმპერატორმა 1799 წელს, გიორგი მეფეს წერილი მოსწერა და თან თხოვნა, რომ თქვენს სამეფოში სადმე ბანა მიეცით სომეხებს და დაასახლეთო, როგორც ქრისტიანი ხალხი სამეზობლოდ ესენი თქვენთვის კარგი იქმნებაანო. მეფე გიორგიმ პავლე იმპერატორის თხოვნა შეიწყნარა და სომეხებს ნება მისცა საქართველოში გადმოსვლის და დასახლების ამ პირობით: საქართველოში ადგილები ცოტა არის დარჩენილი, ყველაზედ მეტი თავისუფალი კარგი ადგილები ლორისაკენ და შამშადილში მოიპოვება, ეს ადგილები მეფე ერეკლემ ინდოეთში მყოფს და შუამდგომელს შახრიმიანს მიუბოძა საცხოვრებლად. დღევანდლამდის ეს ადგილები უპატრონოთ არის დარჩენილი. მის პატრონის შვილი კი არ ვიცით, როდის მოვა. გადმოსახლდნენ სომეხები, ამ ადგილებში დასახლდნენ, და როცა მის პატრონი მოვა, მაშინ პატრონს ემსახურონო. სომეხებმა ეს განკარგულება დიდის სიამოვნებით მიიღეს, მალე აფრინეს აქა-იქ კაცები და ამავე წლის ბოლომდე სპარსეთიდან, ოსმა-

ლეთიდან და სხვადასხვა თათრის ქალაქებიდან რამდენიმე ათასი სული მოვიდა სომხების, საქართველოს ქვეშევრდომობა მიიღეს და დასახლდნენ ლორეს, შამშადილს, და საქართველოს სამხრეთის ნაწილის ზოგიერთ ადგილებში, რომლის უმეტესი ნაწილი გაოხრებულ იყო.

სომეხნი დასახლდნენ საქართველოში და დაიწყეს ცხოვრება. შახრიმიანის შვილს აცნობეს წერილით, რომ მეფე ერეკლესაგან ბოძებულს მიწაზე სომხები დასახლდნენო, თუ გასურთ მობრძანდით და განაგეთ თქვენი მამულების საქმეო. მაგრამ შახრიმიანის შვილისაგან ვერაფერი პასუხი მიიღეს. ის კი ისმოდა, რომ მოვალაო.

რამდენიმე ხნის შემდეგ საქართველო რუსეთს შეუერთდა და სამეფო საქმეები და მამულები რუსეთს ჩაჰბარდა. ასევე ჩააბარეს ლორის მამულები და მეფე ერეკლეს ანდერძის ძალით აუწყეს, რომ ეს მამულები შახრიმიანის შვილს ეკუთვნის, ვიდრე ის პირი აქ მოვა, მინამდის მთავრობამ უნდა უპატრონოს ამ მამულებს და შესავალი შეუნახოს პატრონსაო. რუსის მთავრობამ მამულებს მთავრობა დაუწყო, მამულებიდან ანადებ შესავალსაც გროვება და შენახვა, რადგანაც შახრიმიანის მდიდარ შვილს სომხები საქართველოში დაუყოვნებლივ ელოდნენ, მაგრამ არ იქმნა, იგი არ გაჩნდა საქართველოში. ამაობაში დადგა 1844 წელიც და მთავარმართებლად ვორონცოვი მოვიდა. 1846 წ. ორბელიანთ და ბართანთ მთავარმართებელს საჩივარი მიართვეს და აუწყეს, რომ ლორის მაზრის მამულები, ადრე ჩვენ გვეკუთვნოდაო. ამის დასამტკიცებლად წარადგინეს ძველ ქართველთა მეფეებისაგან მიცემული სიგელ-გუჯრებიც. მხოლოდ ერეკლე მეფემ ჩამოგვართვა ესენი და მიუბოძა იაკობ შახრიმიანს, რომელიც ინდოეთში სცხოვრობდა და ინგლისის მთავრობასთან საქართველოს შესახებ ლაპარაკი ჰქონდა გამართულიო. ის კაცი მოკვდა, იმას შვილი დარჩა, მაგრამ ის აქ არ მოდის, ორმოცდაათ წელიწადზე მეტია ასე ლაპარაკობენ, რომ მოდისო, მაგრამ მოსვლა კი არსაიდან იქმნა. რაკი საქმე ასე მოიმართა, ახლა ჩვენ ვითხოვთ, რომ ჩვენი მამულები ჩვენვე დაგვიბრუნდეს, და რაც შესავალია დღევანდლამდე მოგროვილი მთავრობისაგან, ის როგორც უმჯობესი იქმნეს, ისე დაიხარ-

ჯოსო. მთავრობამ ამათი თხოვნა შეიწყნარა და ყოველივე მამულები მათ დაუბრუნა.

ინდოეთში ყოფილი, მეფე ერეკლეს კაცი, რაფიელ დანიბეგაშვილიც ამტკიცებს ჩვენს ცნობებს. საქართველოს რუსეთთან შეკავშირების შემდეგ, დანიბეგაშვილი რუსეთში გადასახლდა. იქ ქართულს ენაზედ დასწერა თავისი მოგზაურობა, მერე ეს მოგზაურობა თვითონ, თუ სხვამ რუსულს ენაზედ გადასთარგმნა და 1815 წ. ქ. მოსკოვს, ცალკე წიგნად დაბეჭდა.

დანიბეგაშვილს უმგზავრნია საქართველოდამ ინდოეთში საქართველოს სამეფოს ხარჯით. რაფიელ დანიბეგაშვილმა სწორედ ამ მოგზაურობის მეოხებით მიიღო მეფე ერეკლესაგან აზნაურიშვილობა.

მოგზაური თავის აღწერაში არ მოგვითხრობს მიზანს, თუ იგი 18 წლის განმავლობაში საქართველოდამ რისთვის მგზავრობდა ინდოეთში, რა საქმეებისათვის, ვისთან რა ლაპარაკი ჰქონდა გამართული და ან რა გააკეთეს; რა განზრახვა ჰქონდა მეფე ერეკლეს, ან მის ახლო მდგომ სამეფო პირებს და ან შახრიმიანს ხსენებულ ქართველებთან; რა მიზეზი იყო, რომ მეფე ერეკლემ შახრიმიანს თავადიშვილობა დაუმტკიცა და მასთან მთელი ლორის ადგილები და ხალხიც აჩუქა; შახრიმიანი თითქმის თავისუფალ მთავრად განაცხადა ისეთს დროს, როცა საქართველოს სხვადასხვა სამთავროებს აუქმებდა. ამის შესახები ცნობების გამოთქმა სხვადასხვა მიზეზების მეოხებით გამოუთქმელად დასტოვეს.

საქართველოს ვაჭრობა და მრეწველობა ძველად და გრიგოლ-
ლუკას-ძე ხუარსიძე და სვამუნა ივანეს-ძე ზუბალაშვილი
ინფორმაცი*

I

ქართველნი ვაჭრობას და მრეწველობას შეჩვეულები იყვნენ ძველადგანვე. საქართველოს გარეშეც კი ვაჭრობდნენ, ვაჭრობდნენ და აღებ მიცემობდნენ სპარსეთს, ავღანისტანს, ინდოეთს, ოსმალეთს, აზიის სხვა ხალხსა და ქვეყნებშიაცა და მასთან ევროპაშიაც.

მოგვხსენებთ, რომ ინდოეთი ევროპამ XVI საუკუნეში გაიცილა მხოლოდ და ისიც ოდნავ. ქართველნი კი ინდოეთს და მის მფლობელს ინგლისს ძველადგანვე იცნობდნენ. ქართველებმა ვაჭრობისათვის ინდოეთში თვით საშუალო საუკუნო-ებიდანვე იწყეს მგზავრობა, ვაჭრობა და მეცადინეობა ამ ასპარეზზედ.

XVIII საუკუნის დამდეგიდან ქართველთ უფრო ფართოდ იგრძნეს ვაჭრობის საჭიროება. ამ საუკუნის ნახევარს რუსეთის მთავრობამ ეკატერინოღარში იარმუკობა დააწესა: წელიწადში ერთხელ იმართებოდა იარმუკობა და იქ საქართველოს ვაჭრებიც მიდიოდნენ, საქონელი მიჰქონდათ და იქ ვაჭრობდნენ; იქიდან საქართველოში სხვა საქირო საქონელი შემოჰქონდათ. იმ ხანად ქართველთ შორის ბევრი რამ საჭიროება დაიბადა და აღორძინდა. ერთი ამ მრავალთაგანი გახლავსთ შაქრის საჭიროება, საქართველოში შაქრის ქარხნის დაარსება, აგრეთვე ქალაღლისა და ნართისა.

ბევრის თათბირის შემდეგ, ორი საპატოო პირი აირჩიეს, რომელთაც შესმენა აქვდათ და მათთან რამდენიმეც სხვა ქართველნი და გაგზავნეს მადრასესა და კალკუტაში მცხოვრებ მდიდარ ინდოელ ვაჭრებსა და მექარხნებთან მოსალაპა-

* იხ. ბროშურა აღწერილი და დაბეჭდილი ზ. ჭიჭინაძის მიერ. თბილისი 1905 წ.

ჩაკებლად თფილისში ყავის მრავლად შემოტანისათვის. ჩვენ-ში ყავას დიდი მოთხოვნილება აქვდა, ჩაი კი მცირედ იყო გავრცელებული. ჩაიც ინდოეთზე მოდიოდა.

პირველი მგზავრობა ქართველთ ვეჟილ-დესპანების 1770 წ. მოხდა. ამ დროდამ იწყება საქართველოს მიწერ-მოწერა ინგლისის მთავრობასთან და გრძელდება 28 წლის განმავლობაში. მიწერ-მოწერას დასასრულ საზღვარი დაუდო მეფე ერეკლე მეორის სიკვდილმა. საქმე სხვაჟერ მოეწყო. 1798 წლიდამ, უკანასკნელად იქ გავზავნილ იქმნა რაფიელ დანიბეგაშვილი, რომელიც ინდოეთიდან საქართველოში 1799 წ. დაბრუნდა. 1801 წ. შემდეგ, საქართველოს რუსეთთან შეერთების დღიდან, რაფ. დანიბეგაშვილი რუსეთში გადასახლდა და თავის მოგზაურობა საქართველოდამ ინდოეთამდის რუსულად სთარგმნა და 1815 წ. მოსკოვში ცალკე წიგნათაც დასტამბა.

საქართველოდამ წასულ სამეფო ელჩებს ხელს უწყობდნენ დიდათ საქართველოს ვაჭრები და ნამეტურ ქართველთ კათოლიკენი, რომელნიც აღებ-მიცემის საქმეს ადგნენ და ინდოეთში მსვლელობა ძველადგანვე ჰქონდათ. კალკუტასა და მადრასეში მათთვის ცალკე ქართველთ ვაჭართ ქარვასლებიც კი არსებობდა.

ინდოეთში რომ ქართველთ ქარვასლები არსებობდა, ამას ფიქრი არ უნდა. ამ 20 წლის წინეთაც კი თბილისში ნახავდით ისეთ მოხუცებულ ვაჭრებს, რომელთაც კარგად ახსოვდათ, რომ ინდოეთში ძველად საქართველოს ვაჭრების ქარვასლები იყოვო. იტყოდნენ ხოლმე, რომ ძველად თფილისი-დამ საქართველოს ვაჭრები იქ მიდიოდენ და ხსენებულ ქარვასლებში ჩამოხტებოდნენო. სამწუხაროდ, ასეთ ცნობათ მცოდნეთ რიცხვიც სადღეისოთ მოისპო და ინდოეთში მგზავრობაც მისწყდა. ქართველთ, ანუ საქართველოს ვაჭრებს რომ იქ საძირკველი ძველადგანვე არ ჰქონოდათ გამაგრებული, უამისოდ XVIII საუკუნის დამლევს საქართველოდამ ვაჭრები იმ სიდიადით არ დაიწყებდენ მგზავრობას, როგორც ეს მაშინ მოხდა და ნამეტურ 1740 წლების შემდეგიდამ.

კარგად ვიცით, რომ იმ დროს, თფილისში, ინდოეთის საქონლის მაღაზიებიც დაიხსნა. აქ იწყეს მრავლად საქონლის შემოტანა. ამ გარემოებას ცოტა მეფე ერეკლევც აორკეცებ-

და, რადგანაც იგი ავღანისტანში მგზავრობის გამო ინდოეთის აღებ-მიცემას და საქონლის საქმეებსაც კარგად გაცნო. ეს გარემოება ისე იყო გაფართოებული, რომ საქართველოში ხშირად მოდიოდნენ თვით ავღანელები, ინდოელები, ბუხარელები და სხვა აღმოსავლეთის უმორეს ტომის ერნიც-ინდოელნი და სხვა ტომის ერნი რომ XVIII საუკუნის ნახევარს საქართველოს მეფეს და ბატონიშვილებს ესტუმრებოდნენ ხოლმე, ეს კარგად სჩანს თვით იმ დროის ცნობებიდან და ზეპირ ამბებიდანაც. მათი ხშირი მისვლა-მოსვლა ჩვენს ქვეყანაში თვით ზეპირ გარდმოცემებშიაც კი არის დაშთენილი. მაგალითებრ: ნამეტურ წონის სახელების, ზომის, ფულის და სხვანი. ცნობებით ისიც კი არის დაშთენილი, რომ საქართველოს მეფეთა დროს ჯაბახანისთვის (არსენალი) საჭირო იარაღი და თოფისწამალი ინდოეთიდან შემოჰქონდათო, აქედამვე მოჰქონდათ ქალაქლიცაო, რომელსაც სამეფოდ ხმარობდნო.

ასე იყო ინდოეთი ცნობილი და მიტომაც გახლდათ, რომ საქართველოს ვაჭრები იქ უხვად მიეშურებოდნენ. იქიდან მათ შემოჰქონდათ ძრიელ კარგი საქონელი, მაგარი და კაი თვისების. მეორე: ინდოეთიდან შემოტანა და გზა იყო საშიში, თორემ საქონელი კი ერთობ იაფი იყო. ქართველებში ინდური საქონელი ისე იქებოდა, რომ ყოველ კაცი სანაქებოდ სთვლიდა მათს ყიდვას. როგორც დღეს ჩვენ ევროპის საქონელს ვუმზეროთ, ისევე იმ დროის ქართველნი ინდოეთის საქონელს სპარსეთის, ოსმალეთის და ავღანისტანის საქონელზედ მაღლა აყენებდნენ. ინდოეთს გარდა ქართველებში საქონელი შემოჰქონდათ თვით ამსტერდამიდანაც. მეფე ერეკლეს ამსტერდამიდან რამდენგზისმე მოუვიდა სხვადასხვა საქონელი, რომელიც ინდოეთიდან ყოველთვის საქართველოს ვაჭრებს მოჰქონდათ.

ვაჭრებამე იყვნენ თიოქმის მეფის მეფოშტენი. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ინდოეთში, ინგლისს, ამსტერდამს და სხვა ქალაქებში სომეხთ კათალიკოსსაც აქვდა მწერ-მოწერა, კავშირი. საქართველოს და სომხეთის ვაჭრებს სომხეთიდანაც გაჰქონდათ სხვადასხვა საქონელი და შემოჰქონდათ კიდევ. ინდურ საქონელს სომეხნიც ისე აქებდნენ და აღი-

დებდნენ, როგორც ქართველნი — საქართველოში. სომეხთ ხშირი მისვლა აქვინდათ ამ ქვეყნებში.

ქართველებმა წარსულში აღმოსავლეთის ყველა ხალხთა ცხოვრება კარგად იცოდნენ, იცოდნენ მათი შინაური წეს-წყობილებანი, ცხოვრება, აღებ-მიცემა, ხელოსნობა და საქონელის ვითარება. მეფენი იცნობდნენ მათს პოლიტიკას და სამეფო წესებსაც. ამით ჩვენი მეფენი საქებნიც კი იყვნენ და გამოცდილნიც. აღმოსავლეთის ხალხთა და მეფეთა განზრახვა და პოლიტიკა მათ კარგად იცოდნენ. აღმოსავლეთელნი ქართველებს ვერაფრით მოატყუებდნენ.

ნაცვლად ამისა ქართველი არ იცნობდა კარგად ევროპას. ქართველთ გული ძველადგანვე უფრო აღმოსავლეთისაკენ მიეღობოდა და მიტომაც იყო, რომ ყოველი შეგნებული შემძლე ვაჭარიც ინდოეთში მიდიოდა, იქ ვაჭრობდა და საქართველოში იქილამ შემოჰქონდა სხვადასხვა საქირო საქონელი. სულ ეს გარემოება გახლდათ, რომ XVIII საუკუნის შუა რიცხვებში, დიდძალი მატული წაიღეს ინდოეთში, რამდენიმე ათასი ფუთი, ზოგი თვით ინდოეთის ვაჭრებმა გაიტანეს, და მათვე მალე თან გაჰყვნენ საქართველოს ვაჭრებიც და ზერე ამათ შემდეგ ინდოეთს მიდიან გრიგოლ ლუკასძე ხურსიძე (ისარლოვი) და მის შემდეგ სტეფანე ივანესძე ზუბალაშვილი. აქ ამ ორს პირს ცალკე აენუსხავთ, რადგანაც ამათი აღებ-მიცემის ცნობებიც ასაბუთებს ჩვენს ცნობებს და მოსაზრებას.

XVIII საუკუნის ნახევრიდამ საქართველოს დედაქალაქ თფილისში მთავლად გაჩნდნენ ახალციხელ ქართველ კათოლიკეთ ვაჭრები. ამათ დიდძალი საქონელი შემოჰქონდათ საქართველოში და აგრეთვე აქედამაც გაჰქონდათ სხვადასხვა მასალა სპარსეთს, ოსმალეთს, ინდოეთს და სხვაგანაც. ამავდროს თფილისში გაჩნდნენ ახალციხელი ხურსიძენი და მათი გვარის წევრი ლუკა ხურსიძე. ეს პირი უკანასკნელ დროს გახდა მეფე ერეკლეს ერთგული და მრჩეველიც. იგი დაიდად პატივისმცემელი იყო საქართველოს საქმეების. ლუკას მეფის წინაშე მრავალი საიდუმლო ამბებიც კი მოჰქონდა ოსმალთა შესახებ, რადგანაც ლუკას ძმები ოსმალეთის წინაშე ახალციხეში ისარლებათ ირიცხებოდნენ. ერთ დროს მეფისა-

გან ეს ლუკა ისარლოვი სპარსეთშიაც იქმნა გაგზავნილი სამეფო საქმის გამო, სადაც გარდაიცვალა 1793 წ. იქიდან ველარ დაბრუნდა. ამავე ლუკას თან ახლდა თავის უმცროსი შვილი გიგო ხურსიძე — ისარლოვი. გიგო ხურსიძე თავის მამას ლუკას აქეთ-იქით დაჰყვანდა და მგზავრობას აჩვენებდა. გრიგოლი სპარსეთში ორჯერ იყო ნავალ-ნამყოფი და ამიტომ მან სპარსეთს გარდა თვით უშორეს ინდოეთის, ავღანისტანის და სხვა კუთხეთა ცნობანიც კარგად იცოდა. ამიტომ გრიგოლ ხურსიძეს აქეთ-იქეთ მგზავრობა დიდთ ეადვილებოდა და ამ სიადვილეს ახალციხის თემის ქართველ კათოლიკეთა ვაჭრებიც უფრო აფართოვებდნენ, რადგანაც ისინი ერთობ ხშირად მგზავრობდნენ სპარსეთს, ოსმალეთს, ინდოეთს და სხვაგანაც.

1795 წელს მომხდარ უბედურების გამო,* საქართველოს ვაჭრებთ მგზავრობა დროებით მოისპოა სპარსეთს, ოსმალეთს და ინდოეთს. შეჩერდა ბევრი რამ, რადგანაც სპარსთაგან აკლებულ იქმნა მალაზიები და გაცარცულ ყოველივე. ვაჭრებს თვით მგზავრობაშიაც კი ჰქურდადენენ. გრიგოლ ლუკას-ძე ხურსიძე კარგად იყო მცოდნე სავაჭრო საქმეების, ვაჭრობის ასპარეზზედ შნო ამათ მამა პაპიდანვე მოსდევდათ. იგინი ცნობილნი იქმნენ ამის შემძლეობით. მაინც ახალციხელ ქართველ კათოლიკეებს ცხადათ ემჩნეოდათ ვაჭრობაში დიდი მოხერხება, იგინი ქებულნი იყვნენ ამის მხრით. მათ ვაჭრობითს აღებ-ძიცემას მთელი ქართველობაც კარგად იცნობდა. ამიტომაც იყო, რომ ახალციხელ ვაჭრებს მთელს საქართველოში გზა აქვდათ გახსნილი, ყველგან აღვილად მგზავრობდნენ და ვაჭრობდნენ. ვაჭრობის დროს ამათ გზის კაცები, ანუ დარაჯებიც კი ეძლეოდათ. მთავრობა როგორც ქართლისადა იმერეთის ებრაელთა ვაჭრებს უწევდა მფარველობას, ისევე ახალციხის, ანუ ოსმალის ქვეშევრდომ ისეთ ქართველ ვაჭრებსაც, რომელნიც საქართველოში სცხოვრობდნენ და ვაჭრობდნენ.

ამათი უადვილესად მგზავრობა მეუფესაც კარგად იცოდა და მიტომაც იყო, რომ 1795 წ. საქართველოდამ ინდოეთში

* ივულისხმება ალა-მაჰმად-ხანის შემოსევა.

რედაქცია.

ახლად გაგზავნილ იქმნა თფილისელი ქართველ კათოლიკე აზნაური რაფიელ დანიბეგაშვილი. ასე იყვნენ მაშინდელი ქართველნი მოწყობილნი და მოქარგულნი. აზიის სახელმწიფოებში სიარული მათ ერთობ ეადვილებოდათ და ამ სიადვილეს მთავრობაც უწყობდა ხელს, რადგანაც ევროპაში მგზავრობის ნებართვას ადვილად არ აძლევდა. იქ მიმავალ ვაჭრებს უსათუოდ ცოლი უნდა შაერთოთ და ისე უნდა წასულიყვნენ. ცოლს საქართველოში სტოვებდნენ და ამიტომ იქ ვეღარ რჩებოდნენ. თორემ იყო ისეთი შემთხვევები, რომ ევროპაში წასული ვაჭარი საქართველოში აღარ დაბრუნდა. აღმოსავლეთის ქვეყნებში წასვლისათვის კი ნება ეძლეოდათ, რადგანაც აღმოსავლეთში ქართველი ვაჭრები ერთობ იშვიათად შთებოდნენ. მარტოდ რამდენიმე ვაჭარი ინდოეთში დაშთნენ და ვაჭრობა დაიწყეს. ამათი უმეტესი ნაწილი სომეხნი იყვნენ და მათთან საქართველოს ქართველ გვარის კათოლიკენიც.

სწორედ ამის მსგავს მაგალითს წარმოადგენს გრიგოლ ხურსიძის საქმე, რომელსაც აღმოსავლეთის ქვეყნებისაკენ მგზავრობა უნდოდა, მაგრამ მეფე გიორგისაგან კი ნება არ მიეცა წასვლისა იმ დრომდე, ვიდრე იგი არ დაინიშნა იმ დროის ერთ ქართველ კათოლიკე აზნაურ მოქალაქე ნებერიძის ქალზედ. 1795 წ. შემთხვევის შემდეგ საქართველოს მოშენების საქმე წინ წავიდა. განახლებამ და ქალაქის მოშენებამ ვაჭრობაც თვხზედ წამოაყენა. თფილისის ვაჭარ-მოქალაქეთ მრავლად იწყეს სპარსეთს, ოსმალეთს და ინდოეთსაც გასვლა. რუსეთშიც მიეცათ ნება მგზავრობისა. სწორედ ამავე დროთა შემდეგ ინდოეთში გადასახლდა გრიგოლ ხურსიძე და ვაჭრობა დაიწყო. იგი იქვე დაშთა საყოველთაოდ და საქართველოში აღარ დაბრუნდა. აღსანიშნავია, რომ ამავე დროიდან საქართველოში მრავლად იწყეს საქონლის შემოტანა რუსეთიდანაც. თფილისის სომეხ ვაჭრებს დიდი შემთხვევა მიეცათ აღებ-მიცემის მხრივ. ამათ კარგი ბინა გაიკეთეს კავკასი, მოზდოკს, ყიზლარს და რუსეთს გარდა სპარსეთს, ინდოეთს და ოსმალეთსაც. ნამეტურ მათს აღებ-მიცემის აღორძინებას მხარი და გზა მასცა იმ შემთხვევამაც, რომ 1797 წ. აღღამაჰმად-ხანი მოკლეს. ამ გარემოებამ სრულიად გაანთავისუფლა საქართველოს ვაჭრების ცარცვა-გლეჯა სპარ-

სეთის მხრის ყაჩაღებისაგან. დასაღუპს ალა-მაჰმად-ხანს ჩვეულებად აქენდა ყაჩაღების წაქეზება საქართველოს ვაჭრების საწინააღმდეგოდ, საცარცვავედ და საგლეჯად.

ამ განახლების დროს თფილისში მრავლად იწყეს შემოტანა სხვადასხვა ფარჩეულობის, ჩითების, ძაფეულობის, ჩაფარიშების, ყაითნების, ნართის და მრავალთა სხვათა; ნამეტურ უცხოეთის შალების, ქირმან-შალების და რიზაიშალების. თფილისში საფეიქროებიც დაიხსნა, მაგრამ ეს არ კმაროდა. ამებებს გარდა სხვაც ბევრი რამ საქონელი შემოდიოდა და ცოცხლად საქმის წარმოებაც აორკეცებდა ქართველთ ვაჭრობას სპარსეთს, ოსმალეთსა და ინდოეთში.

საქართველოდამ წასული გრიგოლ ხურსიძე დროებით სპარსეთში დასახლდა. იქ დაიწყო ალებ-მიცემა და სხვადასხვა საქონლის საქარაველოში გზავნა. შემდეგ დროს, ანუ როცა ზურგი გაიმაგრა, მის მერმე იგი გადასახლდა ინდოეთში. იქ იგი სახლობდა კალკუტასა და მადრასეს, სადაც მან ალებ-მიცემა ფართოდ დაიწყო და საქმე ისე კარგად წაუვიდა, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ იგი გახდა კარგის შეძლების და ქონების პატრონი, უკანასკნელ მილიონერად გამოცხადდა თავისი დროის ინდოეთის მდიდარ ვაჭართ და მრეწველთ შორის.

ინდოეთში მყოფ გრიგოლ ხურსიძეს დაახლოვებული კავშირი აქენდებოდა იქვე მცხოვრებ ქართველ ანუ საქართველოს ვაჭრებთან და უეჭველია ამის ცნობებს საქართველოშიაც ხშირად მოიტანდნენ. ცნობებიც არის, რომ ინდოეთიდან სხვადასხვა ვაჭრებს ხშირად მოჰქონდათ ცნობები გრიგოლ ხურსიძის ალებ-მიცემის შესახებ. ამის იქ ყოფნის დროს საქართველო რუსეთის იმპერიას დაუკავშირდა. გრიგოლ ხურსიძემ ეს ამბები კარგა ხანს არ იცოდა თურმე. იგი თავის ცხოვრების და საქმეების გამო სრულად ინდოეთის ცხოვრებასთან იქმნა მიბმული და უკანასკნელ იქ ცოლიც შეირთო, ინდოელი ქალი, სახელად მაისა, ვისგანაც მას შვილებიც ჰყვანდა. ამიტომ უფრო გრიგოლ ხურსიძე ინდოეთში დაშთა. 1820 წლებში იგი თურმე დიდს სინანულშიაც იყო, რომ ესე რად ვქენი, აქ რად დავშთიო, მაგრამ რაღას იზამდა. პირველი ამისი მიზეზი იყო ცოლიერება და მეორე დიდი შეძღე-
ბ. რ. დანიბეგაშვილი

ბის შეძენა, დიდი აღებ-მიცემის ქონვა, რომელსაც იგი ვერ დასთმობდა ადვილად.

დროის განმავლობის წყალობით, გრიგოლ ხურსიძე დიდად გამდიდრებულა. უკანასკნელ, ამ დიდი სიმდიდრის დროსაც კი, მაინც კიდევ გახსენებია თავის სამშობლო, მოჭგონებია ნათესაეები და მეგობრები, საქართველოს შინაური საქმეები და ამიტომ ნათესაეებთან წერილებიც გამოუგზავნია, მაგრამ ამის წერილებს დანიშნულებისამებრ ვერ მოუხწევიათ. მხოლოდ ორი წერილი მოსვლიათ მის ნათესაეებს: ერთი 1820 წ. და მეორე 1825 წ. ერთის წერილით გრიგოლ ლუკასძე საქართველოს ამბებსაც კითხულობდა. მას თურქე არა სცოდნოდა, რომ საქართველო რუსეთს ჩაბარდა. გიორგი მეფე ცოცხალი ჰგონებია. იწერებოდა თურქე: რომ გიორგი მეფის მეშინიან და მერიდებო, თორემ ადვილად მოვალ სასაქართველოშიო.

მეორე წერილით იწერებოდა: მე დიდათ მეთანაღრება გული, რომ აქა ვრჩები და გარდა ამისი ქართული ენაც მავიწყდება ინდოეთში, და სამწუხაროა ჩემთვისაო. მეორე წერილის შემდეგ მისგან საქართველოში აღარც წერილი მოსულა და არც რამე ცნობა, მიზეზი ამის ის იყო, რომ 1820 წლიდამ, საქართველოდამ ვაჭრებმა სპარსეთსა და ინდოეთში მგზავრობა მთლად მოსპეს. იქით აღარავინ მიდიოდა, იშვიათი იყო. ამ იშვიათობას გრიგოლ ლუკასძეც კარგად გრძნობდა, რადგანაც ყოველივეს თავის თვალთ ხედავდა.

ასე და ამ გვარად, გრიგოლ ხურსიძე ვაჭრობის წყალობით ინდოეთში დაშთა და 1829 წ. გარდაიცვალა დიდის შეძლების პატრონი. გარდაცვალების წინეთ მას ანდერძის წერილიც გაუკეთებია და ყოველივე თავის შეძლების ნახევარი თავისი ნათესაეებისათვის დაუტოვებია. იმედი ჰქონია, რომ იქმნება აქ მოახწიონ ოდესმე და ჩემს ქონებას დაეპატრონონო. ანდერძის წერილი და პირობა შეუდგენილია ინგლისურს ენაზედ და დამტკიცებულია კალკუტის და მადრასეს ინგლისურის ნოტარიუსისაგან. თვით ანდერძის პირობა რამდენსამე თაბახზედ არის დაწერილი. ყველა ქალაქები ერთად არის შეკერილი და ინგლისურ ბეჭედდასმული. ეს პირობის წერილი ინდოეთიდან როდის მოუვიდათ მის ნათესაეებს, ამისი არა-

ფერი ვიცი, ხოლო იგი ქალაქები დღესაც ინახება გრიგოლის ნათესავეების ხელში. 1896 წ. ამის შესახებ დავა და ლაპარაკიც ატყდა გაზეთებში, რომ ისარლოვები თავიანთ ნათესავ გრიგოლ ხურსიძისაგან დატოვებულ ფულებს ეძებენ და იმედია მიაგნებენ კიდევ, მაგრამ ამ გვარი არა მომხდარა. ისარლოვებმა ვერაფერს მიაგნეს. სად დაშთა და როგორ, სად რა დაიკარგა, ან ინახება სადმე რამე, ამაზედ მათ ვერა გაიგეს რა. უკანასკნელ დროს, გრიგოლ ხურსიძე სცხოვრობდა და განაგებდა ვაჭრობას პენანგის კუნძულზედ, ინდოეთს, სადაც გარდაიცვალა. დარჩა ცოლი და ორი შვილი.

კარგად ვიცი, რომ გრიგოლ ხურსიძეს თან რამდენიმე მოსამსახურე პირი ქართველიც ჰყოლია, უმეტეს ახალციხელნი, ქართველ გვარის კათოლიკენი, რომელნიც ოსმალეთის ქვეშევრდომად ითვლებოდნენ და მათი პასპორტებიც ეძლეოდათ საგზაოდ. ასეთ პირების რიცხვი გრიგოლ ხურსიძესთან მის სიკვდილის შემდეგ მოისპო. იქით აღარც ახალციხიდან მიდიოდნენ, რადგანაც ახალციხე 1829 წ. რუსეთს დაუკავშირდა და ქართველ კათოლიკეთ ვაჭრებმა თავისუფლად იწყეს მგზავრობა რუსეთს, ყირიმს, საზღვარგარეთ და ოსმალეთშიაც, ნამეტურ სტამბოლს, სადაც მათი ვაჭრობა უფრო გაფართოვდა და იქ ძველად გაკეთებული ქარვასლებიც უფრო გამოჩენილ იქმნენ.

მის მერმე საქართველოდამ ინდოეთის თუ სხვა ამ გვარ შორეულ აღმოსავლეთის ერთა ვაჭრობის ასპარეზზე ჩვენ ვხედავთ სტეფანე ივანეს ძე ზუბალაშვილს, რომლის ცხოვრებაც, მსგავსად გრიგოლ ხურსიძისა, ინდოეთშივე ქრება უჩინრად და უჩინრად.

* * *

ჯერედ საქართველო ისევ თავის მკვიდრს სამეფოს საძირკველზედ იდგა, რომ თფილისში ვაჭრობამ აღორძინება იწყო. ვაჭრობის აღორძინებისათვის მეფე ერეკლემ აზნაურისშვილობის ბოძებაც დაიწყო. რამდენსამე მოქალაქეთ აზნაურისშვილობაც უბოძა და მასთან ყმებიც. ერთს ვაჭარს თავადიშვილობაც მისცა. მიზეზი ამის ის იყო, რომ ეს ვაჭა-

რი რუსეთში ვაჭრობდა და იგი მეფესაც ჰპირდებოდა, რომ საქართველოშიაც გაეხსნი მალაზიებს და ვაჭრობას გაეფართოვებო. ვაჭრობის მხრივ თფილისის მოქალაქენიც უფრო დიდის პატივით შემოსა. იგინი იქმნენ „მოქალაქედ“ წოდებულნი თფილისისა, გვამნი დარბაისელნი და ერთგულნი ვაჭარნი მეფისა და ერისა, ეინაიდგან ხანდისხან მეფე მათ ვაჭრობის მგზავრობის დროს აქა-იქ სამეფო საქმეების გამო ქალაქებსაც კი ატანდა, მაგალითებრ, თვით რუსეთის კარი-სადმი, სპარსეთის და ოსმალეთის. ყველა ესეთი მხარეები ვაჭრობას დიდს მხარს აძლევდა და თფილისი 1795 უბედურების სამი წლის შემდეგ გაივსო სავაჭროებით, გაშენდნენ და განახლდნენ ქარავასლები, მოშენდნენ სოფლაგრები, ზარაფნი. მალე გაიმართა ქარავენებით ვაჭრული მგზავრობა, საქონლის მრავლად გატან-შემოტანა.

თფილისის გარდა ვაჭრობამ გორშიაც იწყო აღორძინება. ახლად მოშენებულს კუთხეში კვლავ ვაჭრობა აღორძინდა. დღედაღამ ურმით, აქლემებით და ჯორცხენ-საპალნებით საქონელი შემოაჭონდათ და გაჭონდათ სპარსეთს, ოსმალეთს, რუსეთს, ინდოეთს და სხვაგანაც.

ამ ვაჭრობის და თვალის გახილების დროს, ზოგი ვაჭარი წინაურდება ალებ-მიცემით, ზოგი უძლურებას ეძლეოდა, ვრდომას. ეს ზომ ვაჭრობის წესი გახლავსთ. ერთი და ორი ვაჭარი თუ სავაჭრო საქმეებით წინ მიდიოდა, მიტომ მის ნაცვლად მეორე მხარეს და მესამეს ვაჭრობის საქმე უფერხდებოდა. სწორედ ამ ვაჭრობის მრავალფეროვან ხანას შეესწრა ქართველთ კათოლიკეთ ვაჭარი სტეფანე ივანეს-ძე ზუბალაშვილი.

სტეფანე ივანეს-ძე ზუბალაშვილის დაბადება მიეწერება 1780 წ., მაშასადამე, იგი 21 წლის ვაჟაკი იქმნებოდა იმ დროს, როცა საქართველო რუსეთს ჩაბარდა. სტეფანე ივანეს-ძე დაიბადა ქ. გორს. როგორც წესი და რიგი იყო იმ დროის კათოლიკეთა, სწავლა ჯერ შინ მიიღო და მერე გორის კათოლიკეთ ეკლესიის მოძღვართან სწავლობდა. დროს მიღწეული საკმარისად განვითარდა არა მარტო ვაჭრობაში, არამედ ქართული წიგნების კითხვაშიც და მასთან აღმოსავლეთის ყველა ხალხთა ცხოვრების საქმეებსა და ხელოსნობა-

ში, ალებ-მიცემაში და სხვა. სტეფანე ივანეს-ძე კათოლიკე ბერების შრომით კარგად მომზადდა. მან ჩინებულად შეისწავლა ევროპის და აზიის სამეფოებთა ყველა საზღვრები. ამ ქვეყნის გზები, მგზავრებთ მდგომარეობა და ვაჭრობის საქმე, საქონლის მაზანდა, მის ფასების აწვევ-დაწვევა და ისიც, თუ მათი საქონელი სად, როგორ რა გაიყიდებოდა, ან უცხოეთის საქონლის შეტანას რა დიდი მნიშვნელობა აქვდა საქართველოს ვაჭრობის აღორძინების ასპარეზზედ.

ასეთ საქმეთა დარგის მიხვედრას, ერთის მხრით, სტეფანე ივანეს-ძის მემკვიდრეობით ნიჭსაც შეადგენდა. მეორე: მის განღვიძებას თვით დროთა ცვლილება და მის ალებ-მიცემის საქმეც ითხოვდა. ამ დროისთვის, თუ როგორ იყო განღვიძებულ საქართველოს ვაჭართ მდგომარეობა და მღვიძარება, ერთის მხრით, ეს სომეხთა იმ გარემოებიდამაც სჩანს, რომ საქართველოს და სომხეთის ვაჭართ ინდოეთს გარდა მისვლამოსვლა ჰქონდათ თვით ამ სტერდამშიაც. იქიდან საქონელიც შემოჰქონდათ. ნახეთ ამაზედ „მდივანი სომხეთის ისტორიისა“ გამოც. ტერგუტასი 1901 წ. თფილისი.

საქართველოში, იმ დროს, თფილისსა, გორსა და სხვა დაბებშიაც ზუბალაშვილებში რამდენსამე პირს აქვდათ სხვადასხვა სავაჭროები დახსნილი. ივანეს, გიორგის და ამათ სახლიკაცებს თფილისში შემოჰქონდათ სხვადასხვა ჩითეულობა, ფარჩეულობა, აბრეშუმის და მატყლის შალეები, ჩუსტები ოსმალეთიდგან, სარკეები და სხვაც ბევრი რამ ნივთები. მათი ასეთი შემძლებლობა იყო იმის სახსრად და თვალთ საჩენად, რომ ზუბალაშვილებს თვით კარის ვაჭრად და შუამდგომლად იყენებდნენ მეფენი და მთავრები. ასეთნი არიან ძველ დროს ზურაბი, გიორგი, ივანე, მერაბი და სხვანი და მათ შემდეგ სტეფანეს ძმები და ბიძებიც.

რუსეთის მთავრობა საქართველოში ფეხს დიდის ტვირთით იკიდებდა. ქართველობა თუმც არ ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ მათ მაინც სურსათის და სადგომების მხრივ ძრიელ უძნელდებოდათ საქმე და მფლობელობა. ამ დროს, ზუბალაშვილებმა მთავრობას ხელი შეუწყეს და დიდრონი ფოდრაქტების ალებით, სურსათის გადმოტან-შოვნით და შენობების და ხიდების დადგმით საქმე ერთობ გაუადვილეს. ამის მეო-

ხებით თვით ზუბალაშვილებში დიდი ვაჭრობის მიყოლაც ერთი ათად აღორძინდა. ამ დროს, ზუბალაშვილებში უკვე რამდენიმე შეძლებულნი ვაჭარნი სახელოვნებდნენ და ერთი ამათგანი იყო სტეფანე ივანეს-ძე ზუბალაშვილი, რომელიც საქართველოში ვაჭრობდა.

სტეფანე ივანეს-ძეს თფილისში აქვნდა კარგი მალაზიები და თავის დროის კვალად ჰყიდდა ყველანაირს საქონელს, ევროპულს, ოსმალურს, ადგილობრივ და აღმოსავლეთის ერისას. ვაჭრობის მხრით სტეფანეს აღმოსავლეთის ერთა ვაჭრობის ყველა ხერხი და ოსტატობა კარგად აქვნდა შესწავლილი. მის დროს საქართველოს ვაჭრები, როგორც ვთქვით ზემოდ, მგზავრობდნენ სპარსეთს, ინდოეთს და ავღანისტანს. ამიტომ სტეფანე ივანეს-ძემ თამამად გახედა და 1808 წელს სპარსეთში წავიდა სავაჭროდ. იქიდან ინდოეთსაც იყო, კალკუტას და მადრასეს. სავაჭრო საქმეების გათავების შემდეგ სპარსეთის გზით დაბრუნდა საქართველოში და თან შემოიტანა დიდძალი საქონელი.

ამ მგზავრობის დროს მან სხვადასხვა მუსულმან ყაზალებისაგან თავდასხმა და გაცარცვა ნახა, ამიტომ ვაჭრობაში საქმე შეუფერხდა. რამდენიმე ხნის განმავლობაში საქონელი გაასაღა და 1811 წ. მეორედ წავიდა სპარსეთში. ერთი წლის შემდეგ იგი დიდის საქონლით დაბრუნდა. ამის დაბრუნებას თან დაჰყვა სხვადასხვა ამბოხებანი და შინაური მღვდმარეობა 1812 წლისა. ამ გარემოებამაც დიდი ზნევა მისცა სტეფანეს აღებ-მიცემის საქმეს. ორმა დიდმა ზარალმა იგი სასტიკად მოლუნეს. მოგება ვერა ნახა-რა, ზარალი კი დიდი. ამ ზარალმა მისი ცხოვრების საქმენი არივ-დარივა. იმ დროს ერთის შეძლებულის ვაჭრისათვის ორი დიდი ზარალი საგრძნობელი უნდა ყოფილიყოს. ერთის მხრით, ეს ისე დიდი უბედურება არ იყო მისთვის, როგორც შიში და დიდი მორიდება მის, რომ ვაი თუ მომავალში უფრო ცუდათ წამივიდეს საქმეო.

ამიტომ მან გადასწყვიტა საქართველოდამ გადასახლება სპარსეთსა და ინდოეთში. 1815 წ. უკვე წავიდა სპარსეთში, იქ დასახლდა და ვაჭრობა დაიწყო. სპარსეთში მას ვაჭრობა კარგად წაუვიდა. იქ ფული მოიგო და მალე შესამჩნევ პირად

გახდა. როგორც შეძლებული პირი, სტეფანე ივანეს-ძე ინდოეთის ვაჭრობასაც თვალყურს ადევნებდა და ხშირად ინდოეთში მყოფ ქართველ ვაჭრებს წერილებსაც სწერდა, ინდოეთის ვაჭრობის საქმეს ტყობულობდა. ინდოეთიდან მას ქართველ კათოლიკე ვაჭრებთან მეტად კარგი ცნობები მოსდიოდა. ამიტომ მან სპარსეთიდან ინდოეთს გარდასახლება გადასწყვიტა და იქ მალეც წავიდა. იგი მალე ჩავიდა ინდოეთში. კალკუტას და მადრასეს ვაჭრობაც დაიწყო.

კალკუტას და მადრასეში სტეფანე ივანეს-ძეს სავაჭრო საქმეები კარგად წაუვიდა. გრივოლ ხურსიდის და სტეფანეს აღებ-მიცემამ თვისკენ დიდი ყურადღება მიიპყრო, ამ გარემოებამ ახალციხელ ქართველთ კათოლიკე ვაჭრებში კვალად განაღვიძა მგზავრობა. მათ მრავლად იწყეს იქ ისე გადასახლება, რომ 1820 წ. სპარსეთსა და ინდოეთში ქართველთ კათოლიკე ვაჭრების მთელი გუნდი არსებობდა. საქმე ისე მოეწყო, რომ ინდოეთში ქართველნი და მათი ვაჭრობა ცნობილ იქმნა ოთხსაე კუთხივ. მათ შესახებ ინდოელნი ქებით მოუთხრობდნენ ერთმანეთს და თან ქართველსაც ახსენებდნენ.

ქართველთა საცნობლად და სალაპარაკოდ, ვგონებთ, 1829 წლებში ისიც კი უნდა კმარებულყოფს, რომ ერთმა მდიდარმა ქართველმა თავის ქონების ანდერძის წერილი, ინგლისურად შედგენილი და ნოტარიუსისაგან დამტკიცებული, დასტოვა, რაც უეჭველია საგანი იქნებოდა ქართველების ხსენების.

უნდა მოგახსენოთ, რომ რუსეთის ახალ მთავრობას და სავაჭრო წესებს ზოგიერთი შეძლებული ვაჭრები ვერ მოეწყვნენ, მათ რაღაც ახალი ვაჭრული წესები ვერ შეითვისეს. ერთი ასეთთაგანი იყო სტეფანე ივანეს-ძე ზუბალაშვილიც, რომელსაც სავაჭროდ გული უფრო სპარსეთსა და ინდოეთში მიეღობოდა. მის აღებ-მიცემის საქმეს კი ეს მკაცრად შეესაბამებოდა. ოსმალ-სპარსთა შუღლი, რუსეთის წინაშე მტრობა და ამ სახით სტეფანეს ვაჭრობასაც კაი ზარალი მოსდიოდა ხოლმე. ამ გარემოებათა პირობებს კი სტეფანე არ აკვირდებოდა, იგი მხოლოდ სპარსეთში და ინდოეთშიღა ჰპოვებდა და ჰფიქრობდა შვებას. იქ ამას მართლაც კარგად წაუვიდა ვაჭრობის საქმე, იგი მალე დაღვა ფეხზედ. ამას თავის მიზე-

ზებიც აქვს, რადგანაც იქ ქრისტიანებს უფრო მეტი პატივი აქენდათ ინგლისის მთავრობისაგან მინიჭებულთ, ვიდრე თვით ინდოელებს და სპარსელებს. ამას გარდა, თვით ქრისტიანებიც მათზე უფრო შხნედ და ყოჩაღად იქცეოდნენ. ვაჭრობაში სანთელივით ენთნენ და ჩარხივით ტრიალებდნენ.

თუმცა სტეფანეს ინდოეთში საქმე კარგად წაუვიდა, თუმცა იგი გამდიდრდა და ქონებით დაწინაურდა, თუმც შემდეგ დროში იგი ცნობილ იქმნა მთელს კუთხეში, როგორც შეძლებული პირი, მაგრამ მის ნაცვლად იგი თვის სამშობლო ქვეყანას და ერს კი სამუდამოდ მოესხლიტა. მისი ცნობები მის ნათესავეებთან 1830 წლების შემდეგ აღარ მოსულა. მის ამბებთა მომგონთ და მომსმენთ კაცთა რიცხვი დღეს ერთობ იშვიათია. ბევრი რამ ცნობები სტეფანე კონსტანტინეს-ძე ზუბალაშვილმაც იცოდა, რომელსაც თავის მამისაგან გაეგონა, მის მამას კადევ მამისა და ბიძებისაგან. განსვენებულს მეტად დიდი ნატვრა აქენდა ამ პირის ცხოვრებას მოკლედ აღწერის და დასტამბვის. ასევე ამ პირის შესახებ ცნობები იცის ანტონ დავითის-ძე ზუბალაშვილმა, ვისგანაც ვისარგებლეთ კიდევ. სტეფანე ზუბალაშვილის ცხოვრება სპარსეთში სიბნელით არის მოცული. ჩვენ არ ვიცით, თუ იგი უკანასკნელ დროს სად სცხოვრობდა და სად გარდაიცვალა. ამის ცნობა არ არის დაშთენილი და ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ მას 1845 წლამდე უნდა მოეღწია.

სპარსეთში იგი ვაჭრობდა ჩითეულობას, ჩაი-შაქარ-ყავა და სხვა წვრილმან საქონლით. ინდოეთშიაც ამავე საქმეებს აწარმოებდა. მხოლოდ იქ იგი ჰყიდდა სანთელსაც, საპონს და აწარმოებდა სამრეწველო საქმეებსაც. აქენდა დიდრონი სამღებროები და უკანასკნელ სანთლისა და საპნის ქარხანაც, რასაც ინდოეთში თურმე მეტად დიდი გასავალი აქენდა. სად გარდაიცვალა და ან სტეფანეს ქონება ვის დაშთა, არც ამის ცნობა გვაქვს. მხოლოდ ის კი ვიცით, რომ სტეფანე უკანასკნელ წლებს უნდა მიზიდული ყოფილიყო თანამერჯულე და თანამედროვე გრიგოლ ხურსიძისაგან, რომელიც 1829 წლებში, ინდოეთის პენანგის კუნძულზედ სცხოვრობდა და სადაც გარდაიცვალა კიდევ. ამ პირს რამდენიმე ქართველ კათოლიკეთ ვაჭრები ეხვივნენ გარს და ამათ გვერდითვე იქმნებოდა

სტეფანე ივანეს-ძე ზუბალიშვილიც, რომლის აღებ-მიცემის ცნობები დიდათ საინტერესო უნდა იყოს ჩვენთვის. ამისი ცნობები კარგად იცოდა ქართველ კათოლიკე მოხუცებულ აღ-მა და ახალციხელ ნ.—ძემ.

ცოდვა კია ჭეშმარიტად, რომ ქართველებს ასეთი დაუდევრობა გვეტყობა ყველაფერში. ჩვენ არ ვიცით ჩვენის ტომის განვლილ დღეთა და საქმეთა ცნობები. სამწუხაროდ მას არც ჩვენი წინაპარნი აკვირდებოდნენ და არ სწერდნენ, თორემ მათ რომ ჩვენთვის ცნობები ეკრიბათ და ეწერათ, დღეს ამ ცნობებს ორის ხელით დავიჭერდით. სამწუხაროდ, ჩვენმა ძველებმა ამის მნიშვნელობა სულ არ იცოდნენ და მიტომ მათ არც არაფერი დაგვიტოვეს ამ საგანზედ. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თფილისიდან სპარსეთს და ოსმალეთში თითო და ორ-ორი ვაჭარი კი არ წავიდოდა სავაჭროდ, არამედ რამდენიმე კაცი ერთად, თითქმის მთელი ქარაავანი. ვაჭრები წინაღვე გააგებინებდნენ ერთმანეთს, თუ ვის რა საქონელი უნდოდა, ვის საიდგან რა უნდა შამოეტანა საქართველოში, სად უნდა წასულიყო, სად უნდა ევაჭრათ და სხვანი. ასე შეკრებილთ ვაჭრებს ყოველთვის ქარაავანი ახლდა თანა. იგინი მიდიოდნენ თოფ-იარაღით ახსმულნი, ჯორებით, აქლემებით, ურმებით და ცხენებით, ფულიც თან აქვნიდათ.

სამეფოდამ ამათ ეძლეოდათ სამოურაოდამ ყულაუზები და გზის მცველნი. მაშინ ძრიელ ძნელი იყო ვაჭრის გაქუცვა. გინც ვაჭარს გაქუცავდა, ის სასტიკად დაისჯებოდა. წამრთმევს ყველაფერს გადაახდევინებდნენ და გარდა ამისი სიკვდილითაც დასჯიდნენ. ამიტომ ვაჭართ გაქურდვას ყველა ერიდებოდა. მეორე: რაც გინდ ცოტანი წასულიყვნენ ვაჭრები ერთად, იგინი 20 კაცზედ ნაკლები მაინც არ იქმნებოდნენ. ჩვენ კარგად ვიცით რომ ასეთ ვაჭრებს თან დიდი შეძლებაც გაჰქონდათ. იმ დროის კვალად თითო ვაჭარს 3000 მ. ნაკლები არ გაჰყვებოდა ოქრო, ზოგს მეტიც. ამათ სხვადასხვა ხელმოკლე ვაჭრებიც ატანდნენ ფულს თავიანთვის საქონლის შემოსატანად. ესენი დანაპირებს ყოველთვის ასრულებდნენ.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სპარსეთსა და ინდოეთს მგზავრობა ისე თფილისელ ვაჭრებს არ ეადვილებოდათ, როგორც ახალციხელ ქართველ კათოლიკეთა. კარგად ვიცით,

რომ სტეფანე ივანეს-ძე ზუბალაშვილის დროს ერთად თან გაემგზავრებენ თფილისის ქართველ კათოლიკეთაგანი მრავალნი სხვადასხვა შეძლებულნი და ცნობილნი ვაჭრებიც, რომელნიც სამუშაოდ სპარსეთს, ხორასანს და ინდოეთს დაშთნენ სამუდამოდ და ჩვენ მათი აღებ-მიცემისა არა ვიცით-რა.

ქართველ კათოლიკეთ მგზავრობა ყოველთვის ახალციხეზე უხდებოდათ და თფილისის სომეხთა და ქართველთა კი განჯის მხრით და ბაქოსი. მიზეზები მათის მგზავრობის განსხვავების შესდგებოდა შემდეგის პირობებიდამ. ახალციხელ კათოლიკეთ სულიერი მდგომარეობა სწევდა ამათ და მათგან გამოწვეული ის ურთიერთ დახმარება, რაც კი ივინი ერთმანეთს აძლევდნენ და უჩენდნენ. გარდა ამისი, ოსმალეთის მფლობელობის მფარველობისაც დიდი იმედები ჰქონდათ. ახალციხის ფაშებთაგან მათ ეძლეოდათ მოწმობანი, სადაც ივინი ინიშნებოდნენ ოსმალეთის ქვეშევრდომად, ანუ ოსმალეთის კაცად და ძნელად, რომ ივინი ვისმეს სადმე გაეცარც-გაექუცათ, ანუ მოეკლათ. მათ მკვლელთ მწარე დღე დაადგებოდათ. ამიტომ უფრო ეტანებოდნენ ახალციხის მგზავრებს და თავიანთ თანამერჯულე კათოლიკეთაგან მფარველობას. მეორე, კათოლიკეთ გარდა მთლად მგზავრებსაც უფრო ეადვილებოდათ ახალციხიდან მგზავრობა სპარსეთსა და ინდოეთზედ.

საუწყებელია ისიც, რომ ოსმალეთის საქართველოს ქართველ კათოლიკეთ სხვადასხვა საქონელი არამც თუ მარტოდ საქართველოში შემოჰქონდათ, არამედ ოსმალეთშიაც გაჰქონდათ და ნამეტურ კონსტანტინეპოლს, ინდოეთს, სპარსეთს. ოსმალეთის ქართველი კათოლიკე ვაჭრები რიცხვით დიდათ იყო გამრავლებულ-გავრცელებული კონსტანტინეპოლს და იქ მათი კაი ქარვასლაც არსებობდა, რაზედაც ჩვენ სხვაგანაც გვისაუბრია. ოსმალეთის მთავრობა, ერთის მხრით, ამიტომ უფრო აფასებდა ახალციხელ ვაჭრებთ საქმეს და აღებ-მიცემას, რადგანაც ამათ უშორესის ქვეყნებიდამ მათს იმპერიაში სხვადასხვანაირი საქონელი შემოჰქონდათ, რაც ოსმალეთის ერის მოთხოვნილებასაც აკმაყოფილებდა. მთელს მცირე აზიის ვაჭრობას მარტოდ ბერძნები, სომხები და ქართველ კათოლიკენი მისდევდნენ. მუსულმანებს ამის ასპარეზზედ ღრმად ეძინათ, ვერაფერს აკეთებდნენ. მათი ხვედრი ოში იყო და ნადი-

რობა სხვადასხვა ტომთა კუთხეების დამორჩილება დაქვე-
ზედ. ქართველ კათოლიკეთ კაი სავაჭრო ბინა ჰქონდათ-
ქ. ყაზმინსაც.

სტეფანე ივანეს-ძე ზუბალაშვილს სპარსეთსა და ინდოეთ-
ში დიდი მნიშვნელობა ჰქონია იმის მხრითაც, რომ მას ახალ-
ციხილამ და თბილისილამ სხვადასხვა ვაჭრები მიმართავდნენ
და თავიანთის ფულით საქონლის სყიდვას ავალბდნენ, მერე
მგზავრ ქარავენების საშუალებით საქართველოში გამოგზავნას,
რასაც სტეფანე მართლაცა და ყოველთვის სინდისიერად ას-
რულბდა. იგი სხვადასხვა საქონელს არამც თუ მარტოდ
სხვადასხვა უცხო ვაჭრებს უგზავნიდა, არამედ თავის ნათესა-
ვებსაც, რადგანაც მას მიწერ-მოწერა აქენდა ყველა თავის
ნათესავებთან და მახლობლებთან. სულ მისი წყალობა იყო,
რომ 1830 წლებში დავითი, გიორგი, მიქელი და სხვანი ვაჭ-
რობით განითქვენენ და ამათ, თავიანთ თანამონათესავე სტე-
ფანეს მსგავსად, რუსეთში და ევროპაში იწყეს მგზავრობა და
აღებ-მიცემა. საქმე ისე წავიდა, რომ ერთი ამათ გვარის წევრ-
თაგანი გერმანიაშიც წავიდა 1823 წ. საკომერციო და საბუნ-
ვალტერიო სწავლას მისაღებად, სადაც შემდგომ ცნობილ
საგნების მაგიერ მკურნალობა შეისწავლა (ნახეთ ამაზედ ზუ-
ბალაშვილების გვარის ისტორია).

სტეფანეს ინდოეთში და სპარსეთში ყოფნას და ვაჭრობას
დიდი მნიშვნელობა აქენდა საერთოდ ვაჭრობის მხრით ზუბა-
ლაშვილების ოჯახის წევრებზედ და ნამეტურ იაკობ ივანეს-
ძეზე და დავითზედ. სტეფანეს ვაჭრულის შნოთი და მაგალი-
თით გატაცებულნი იყვნენ ესენი და მათთან სხვა მრავალი
კათოლიკე ვაჭრებიც, რომელთაც რუსეთში პირველად იწყეს
იარმუკობაზედ წასვლა და ვაჭრობა, ნამეტურ „მაკარიის ვა-
ჭრობა-იარმუკობაზედ“. ამის ცხადი მოწამეა ანტონ დავი-
თის-ძე ზუბალაშვილი, რომელმაც სთქვა, რომ მე პატარა
ვიყავ და ჩემთან სხვა ჩვენი გვარის ზუბალაშვილებიც, როცა
ჩვენმა მამა-პაპებმა „მაკარიის იარმუკაზედ“ წავვიყვანეს და
სპარსეთისა და ინდოეთის საქონელის მაგიერ რუსის საქო-
ნელი შემოვიტანეთო. ასე და ამგვარად კარგად სჩანს, რომ
რამდენათაც საქართველო ევროპას და რუსეთს უახლოვდე-
ბოდა, იმდენად ახალციხელ და თფილისელ ვაჭართ მისვლა-

მოსვლა სპარსეთთან და ინდოეთთან ისპობოდა. ამით ქართველთ შორის ისპობოდა თვით სტეფანე ზუბალაშვილის აღებ-მიცემის ხსოვნაც. კარგად სჩანს, რომ საქართველოდან ინდოეთსა და სპარსეთში სავაჭროდ 1835 წლების შემდეგიდამ აღარავინ წასულა, იქ თუ ვინმე იყვნენ ვაჭრებთავანნი, ისინიც კი საქართველოში ბრუნდებოდნენ. 1840 წლებში თითქმის სულ დაბრუნდნენ ინდოეთ-სპარსეთიდან საქართველოში.

იქ დარჩა ორიოდ ვაჭარი თფილისელი და ახალციხელი, ისინიც დიდი შეძლების პატრონები, რომელნიც ხანდისხან კვალად გზავნიდნენ თავიანთ მონათესავეებთან სხვადასხვა ძვირფას საქონელს და წერილებს. ასეთ იქ დარჩენილ მდიდარ ვაჭართავანია გრიგოლ ხურსიძე, რომელიც გარდაიცვალა 1829 წ. და სტეფანე ივანეს-ძე ზუბალაშვილი, რომლის გარდაცვალებაც 1858 წ. მიეწერება. მთელი ამათი შეძლების მფლობელობა გაფანტული იყო მადრასესა და კალკუტაში, სადაც ძველადგანვე იყვნენ გამრავლებულ საქართველოს ვაჭრები და სადაც მათგან კარგი სავაჭრო ქარვასლებიც არსებობდა. უწყებულა, რომ სტეფანე ივანესძეს იქ ცოლ-შვილიც ჰყოლია და რამდენიმე თანხლებულ ქართველ კათოლიკეთ ვაჭარი, თანზრდილ-თანამოსამსახურენი, რომელნიც საყოველთაოდ იქ დაშთენილან და საქართველოში აღარ დაბრუნებულან.

საქართველოში მობრუნდა მხოლოდ მათ თანამყოფი ახალციხელ ქართველ კათოლიკეთ მოძღვარი ანტონ ხუციშვილი, რომელმაც ინდოეთში და სპარსეთში მყოფ და მცხოვრებ ქართველ ვაჭართ აღებ-მიცემის შესახებ ბევრი რამ ცნობები იცოდა. ანტონ ხუციშვილს ინდოეთში მოგზაურობის და ცხოვრების შესახებ ბევრი ცნობებიც ჰქონია ანუსხული; ხოლო მის ცნობებმა ჩვენს დრომდე ვერ მოაღწიეს. მას მკვიდრი და დაახლოვებული ცხოვრება ჰქონია სტეფანე ივანეს-ძესთან და უეჭველია ეს მღვდელივე ასრულებდა მათ წინაშე მღვდელმოქმედებას. ცხადია, რომ ამას ყველა აქ მყოფ ქართველ კათოლიკებს თვით თავიანთის ოჯახებითაც კი ქრისტიანობაზედ ექმნებოდათ მიზიდულობა. იქ მათ გვერდით იმყოფებოდნენ და სცხოვრობდნენ ქალდეველთა ტომის

კათოლიკენიც, რომელნიც აღებ-მიცემით ირჩენდნენ თავს. ასე და ამგვარად, გრიგოლ ხურციძის შემდეგ საქართველოს ვაჭრობის ასპარეზზედ, ანუ ინდოეთში საყოველთაოდ ქართველთა რიცხვის მოსპობის უკანასკნელს მაგალითს წარმოადგენს სტეფანე ზუბალაშვილი, მისი აღებ-მიცემა და ვაჭრობა. სპარსეთსა და ინდოეთში ქართველთ ვაჭართ მოსპობის უკანასკნელ წლებთან მჭიდროთ არის დაკავშირებული სტეფანე ზუბალაშვილის ცხოვრება. ასევე უმწეოდ და უკვალოდ ისპობა და იკარგება თვით სტეფანეს ცხოვრების ცნობებიც და მის გვერდით მყოფ რამდენსამე ქართველთ ვაჭართა ცხოვრების ხსოვნაც.

ქართულ კათოლიკეთ მღვდელი ანტონ ხუციშვილი ინდოეთში *

ქართველთ კათოლიკე ვაჭრებთ მგზავრობა ძველად სპარსეთს და ინდოეთს იქამდის ხშირი იყო და უხვი, რომ XIX საუკ. დამდეგს, სხვადასხვა კათოლიკე ვაჭრებთა წახალისებით და მრევლის საჭიროებისა გამო, წასვლა გაბედა ახალციხის თემის ქართველ კათოლიკეთა მოძღვარმა ანტონ ხუციშვილმა. ქართველ კათოლიკეთა მოძღვრის ყოლას აქ თვალხილულად საჭიროებას შეადგენდა თვით ახალციხიდან და თბილისიდან გასულთ ქართველ კათოლიკე მრევლთა რიცხვიც. ესეც ერთი დარგია ჩვენის წარსულის დროის ვაჭართა და მრეწველთა გონებრივის შნოსი და გამჭრიახობის.

კარგად ვიცით რომ ანტონ ხუციშვილი ინდოეთში იყო. ამას თვით ანტონ მღვდელიც სწერს თავის დღიურში, რომ ინდოეთში წაველ, იქ დავრჩი რამდენსამე ხანსაო, ვინაიდან იქ ქართველ გვარის ანუ ახალციხის კათოლიკეთ ვაჭრებიც სცხოვრებდნო. ხოლო ის კი არ სჩანს, თუ ანტონ მღვდელი როდის წავიდა იქ, რამდენს ხანს დარჩა, ან საქართველოში როდის დაბრუნდა. ვიცით, რომ იგი 1815 წ. შემდეგ უკვე საქართველოშია და 1820 წ. ქარაულს ენახედ ერთის წიგნის თარგმანსაც ამთავრებს. არ ვიცით ისიც, თუ იქ ამაზე წინეთაც იყო ვინმე ქართველ გვარის მღვდელი და ან შემდეგაც იყო ვინმე, თუ მარტოდ ეს ანტონ ხუციშვილი გახლდათ, რომელიც პირველად წავიდა ინდოეთ-სპარსეთს ქართველ გვარის კათოლიკეთ სამწყსოდ და მის დაბრუნების შემდეგ დასრულდა კიდევაც იქ წამსვლელ ქართველ მღვდელთა რიცხვი.

ჩვენის ფიქრით ეს ასე უნდა ყოფილიყოს და ეს ანტონ ხუციშვილი უკანასკნელად უნდა იყოს ინდოეთში წასული, რადგანაც ქართველ კათოლიკე ვაჭართ კვალი იქით სწორეთ 1825 წლების შემდეგიდან შემცირდა. 1830 წელს შემდეგ

* ამოღებულია ბ. ჭიჭინაძის ხემოდასახელებულ წიგნიდან.

ინდოეთში ვინც კი ქართველთაგანი დაშთნენ, ისინი უეჭველია იქაურს ადგილ-მდებარეობის ერის სარწმუნოებრივ წესებს დაემორჩილებოდნენ. ამის მაგალითია გრიგოლ ხურსიძის და სტეფანე ზუბალაშვილის ცხოვრება და მათ შვილებთა სარწმუნოებრივი მხარეებიც, რომ მათ ცოლებათ ჰყავდათ ინდოელი ქალები, ამათგან შვილებიც ჰყვანდათ, შვილებს რა სჯული ეკავა ის კი არ სჩანს.

ბრონევესკი სწერს, რომ ინდოეთში უცხო ტომის ვაჭრები მრავლად იყვნენო. იქაური ვაჭრობა სულ უცხოელებს ექირათო. იქილამ თუ რამ საქონელი გაჰქონდათ აქა იქ სულ უცხოელებს გაჰქონდათო. სხვათა შორის, კასპის ზღვით საქართველოშიაც ამ უცხოელებს მოჰქონდათაო. ამ უცხოელებში ჩვენ ვინ უნდა ვიგულისხმოთ თუ არ საქართველოს ქართველ კათოლიკენი და თბილისის ვაჭარ სომხები. სხვა არავინა, რადგანაც იმ დროის მუსულმანებს არამც თუ ჩვენთან საქონლის შემოტანა და დასყიდვა, არამედ ფანატიკობით ლაპარაკიც კი სძულდათ, იგინი ჭირივით გვიყურებდნენ ჩვენ.

ანტონ ხუციშვილი სპარსეთში და ინდოეთში მრავალნაირად გამოწურთნილა. უსწავლია ინდური ენაც კი, სპარსულიც კარგად. ამას გარდა უსწავლია ინდური მისნობა, ჯადოქრობა და ასეთ საქმეებში ისე გაწვრთნილა, რომ იგი თურმე რაღაც ჯადობაზობით ტყავებსაც ათამეშებდა. ე. ი. ფოკუსნიკობაც სცოდნია. ეს ნაამბობია მის მნახველთაგან.

უწყებულა ისიც, რომ ინდოეთიდან წამოსული ვაჭრები გზაში მგზავრობის დროს დიდს შინს სცდიდნენო, რადგანაც თათრები ეცემოდნენ და სცარცვაფდნენო. დიახ, ეს მართალია და საქართველოს ვაჭრებს უფრო არბევდენ სპარსნი და სხვა მუსულმანები იმ ჯავრის გამოც, თუ თქვენ, ქრისტიანები რუსებს რად ჩაბარდითო. ამის გამო საქართველოს ვაჭრების ვაცარცვა XIX საუკუნის შემდეგიდამ უფრო წინ წავიდა. ამ გარემოებამ მთავრობის ყურადღებაც მიიპყრო თვისკენ, მიწერმოწერაც გაიმართა. ვაჭართ გარემოებას არა ეშველა რა, მხოლოდ მათი მიმოსვლა კი შემცირდა, ამას ბრონევესკიც შენიშნავს. *

* ბრონევესკი. „კავკასიის ტომთა და თემთა აღწერა“. პეტ. 1824.

ბევრჯერ გვითქვამს, რომ ქართველი თავის სამშობლოს გარეშე უცხოეთში სამუდამოდ არსად რჩებაო. სადაც უნდა წავიდეს, იქ იგი სამუდამოთ არ დასახლდება და უკანასკნელ ისევ საქართველოში დაბრუნდებაო. ამის წინააღმდეგ გარემოებას ჩვენ ვხედავთ გრიგოლ ხურსიძესა და სტეფანე ზუბალაშვილის ცხოვრებაში. ამას თავისებური გასამართლებელი ხასიათი აქვს და ამის ახსნას აქვე მოვიყვანთ. გრიგოლ ისარლოვი ანუ ხურსიძე საქართველოდამ ისეთის გარემოებით წავიდა, რომ მისი საქართველოში დაბრუნება ველარ მოხდებოდა, რადგანაც გიორგი მეფის ბრძანებით იგი ძალად იქმნა დანიშნული ნებიერიძის ქალზედ. გარდა ამისა, მეფე გიორგისა მას სხვა შიშიც ჰქონდა და ყველა ამაებს გარეშე ის გარემოებაც უნდა მივიღოთ სახეში, რომ იგი იქ დიდს აღებ-მიცემაში ჩაება, კაი საქმეები დაიკავა და კაი შეძლებაც. გარდა ამის იქაური ქალიც შეირთო.

სტეფანე ზუბალაშვილს საქართველოში სავაჭრო საქმეები ვერ წაუვიდა კარგად. რამდენჯერაც კი იყო ინდოეთს და სპარსეთს, რამდენჯერაც მან საქართველოში საქონელი შემოიტანა, იმდენჯერვე იზარალა. უკანასკნელ გადაწყვიტა საღმეფეხის გამაგრება და საქმეების მომართვა. ამასაც ინდოეთში მოემარჯვა სავაჭრო საქმე. ინდოელებთ შორის მარჯვე პირნი და გამოცდილნი ყოველთვის იპოვნიდნენ სახსარს და გზას საქმიანობისას, ვაჭრობისას და წარმატებისას. ასეც მოხდა და სტეფანე ინდოეთში იქმნა წარმატებით მოსილი, მასთანვე ცხოვრებაშიაც ჩაბმული. იგიც მიტომ დაემორჩილა ბედსა და გარემოებას და იქ დარჩა საყოველთაოდ სავაჭროდ.

ჩვენ აქ თუმც ეს ორი პირი დავასახელებთ, მაგრამ არ შეიძლება, რომ ამათ გარდა იქ სხვებიც არ ყოფილიყვნენ. რომ იყვნენ ამას კი ეჭვი არ უნდა, ახალციხელთ კათოლიკეთა გარდა ერივნენ თფილისის მოქალაქენიც, რომელთაც ინდოეთიდგან საქართველოში სხვადასხვა საქონელი შემოჰქონდათ. ასეთ ვაჭრებთა ამბები თბილისში 1850 წლამდე მრავლად იცოდნენ. დღეს კი ეს ჩვენში იშვიათია. ბრონევსკის ცნობების თანახმად ინდოეთში მყოფ უცხო აზიელ ქრისტიან ვაჭრებთ შესახებ ჩვენ ვიტყვით შემდეგს: ინდოეთში საქართველოს და სხვა აზიის ქვეყნების ქრისტიან ვაჭრებს მრავ-

ლად აქვნდათ სამღებროები, ტყავის ქარხნები, სამთლის, საპნის, რაც ინდოეთიდან სხვა ქვეყნებშიაც გაჰქონდათ. ჰქონდათ აბრეშუმის მალაზიები, ბამბის, მატყლის, ძაფეულობის და ვინ იცის რამდენი კიდევ სხვა ნივთების. ყველა ამ ნივთების კეთება და შექმნა ინდოეთში მათ იაფათ უჯდებოდათ, რადგანაც იქ მაშინ ყოველივე ასეთ ნივთების მასალა იაფი იყო და მასთანვე მუშა ხელიც მუქთი. ამით სარგებლობდნენ მრავალნი, ინდოეთიდან შემოხსენებული საქონელი გაჰქონდათ ავღანისტანს, ბუხარას, სპარსეთს, ქალდეა-ნინევიას, არმენიას და საქართველოშიაც შემოჰქონდათ.

XIX საუკუნის 30 წლებიდან, ინდოეთის ქრისტიანი ვაჭრები მხოლოდ ინდოეთისავე ახლო-მახლო ქვეყნებში მიეცნენ ვაჭრობას და აღებ-მიცემას, მათი ვაჭრობა იქ დატრიალდა, იქ მიეცა წარმატებას, მათი ცხოვრებაც იქ შეიზღუდა, საყოველთაო ინდოელების გვერდით მოთავსდა და იქვე აღესრულა ყოველივე მათის რიცხვის და არსებობის ხსოვნისა.

საერსათსა და ინდოეთს მავალი თბილელი ვაჭარები *

მეთვრამეტე საუკუნეში, თბილისელ მოქალაქეთა შორის მრავალნი იყვნენ განთქმულნი და ქებულნი ვაჭრობით. იყვნენ მეფე ვახტანგის და ერეკლეს ოჯახთან დიდათ დაახლოებულნი ვაჭარნი:

ფინშაშვილები—მდიდარნი დიდათ და მავალნი სპარსეთს, ოსმალეთს, ინდოეთს და სხვაგანაც. სარწმუნოებით კათოლიკენი იყვნენ. აქენდათ მალაზიები ფართლის, ძაფის და შალის. სადღეისოდ ეს გვარი ამოწყდა საქართველოში.

ნარშაშვილები—მდიდარი ვაჭრები და ქებულნი, მავალნი სპარსეთს, ინდოეთს და ოსმალეთს. სადღეისოდ აღარ არის ეს გვარიც. იყვნენ სარწმუნოებით კათოლიკენი.

ტერშმოვანნი—ძველნი ვაჭარნი და მდიდარნი, ცნობილნი მეფე ერეკლეს წინაშე. ერთ ამათგანმა დახატა თფილისის გეგმაც მეფის თხოვნით (პ. იოსელიანის „მეფე ვიორგის ცხოვრება“). ტერშმოვანნი კათოლიკენი იყვნენ. ნახეთ თფ. კათოლიკეთ ეკლესიის „კონდაკი“.

ბასტამიშვილები—ძველნი ვაჭარნი და ქებულნი აღებ-მიცემით. მოქალაქენი და მერე გააზნაურიშვილებულნი. ერთი ამათგანი იყო ბენია, მეორე ექიპი, წამლები ინდოეთიდანაც მოჰქონდათ. კათოლიკენიც იყვნენ. ნახეთ ამახედ თფილისის კათოლიკეთ „კონდაკი“.

ყაითმაზაშვილები—ძველნი მოქალაქენი და მდიდარი ვაჭრები თფილისს, მავალნი სპარსეთს, ინდოეთს და ოსმალეთს.

სააკაშვილები—მდიდარი ვაჭარნი და მავალნი სპარსეთს და ინდოეთს.

ხოჯიშინასოვი—მოქალაქენი, მერე გათავადებულნი მეფე ერეკლეს ბრძანებით. მდიდარნი ვაჭარნი და რუსეთის ქალაქებშიაც მოვაჭრენი, აღმოსავლეთის ქვეყნებშიაც მავალნი და მოვაჭრენი.

* ამოღებულია ზ. ჭიჭინაძის იმავე წიგნიდან.

შ ა დ ი ნ ა შ ვ ი ლ ე ბ ი — ძველნი ვაჭარნი და შეძლებულნი. 1780 წელს რუსეთის ეკატერინოდარის იარმუკობაზედ მავალნი და დიდი ძალი საქონლის გამტან-შემომტანნი, ზოგნი ამათგანი კათოლიკენიც იყვნენ.

ბ ა ბ ა ნ ა შ ვ ი ლ ე ბ ი — ძველნი მოქალაქენი და მდიდარნი ვაჭრობით. გლახა ბაბანაშვილი იყო მეფისაგან დადგენილ მათხოვრებზედ წყალობის დამრიგებელი. ერთს ძველს მდიდარ მოქალაქეს და მერე დაცემულს მეფისაგან ბოძებული წყალობის, 10 თუმნის მაგიერ 10 შაური გასცა. ეს ამბავი მეფემ შეუტყო, დატუქსა ძრიელ მეფის მოტყუებისათვის და აღარ ენდობოდა წყალობის გაღებას. მის შემდეგ ეს თანამდებობა სულ ჩამოერთვა ქალაქის ხალხის წინაშე მეფის ბრძანებით, ვინაიდგან მოტყუების დიდი რიდი აქვდათ თფილისიელ ლარიბ-ლატაკებს.

მ ი რ ი მ ა ნ ა ა ნ ი — ძველნი ვაჭარნი და ჩენილნი. ზოგნი კათოლიკობას ძველადვე დაკავშირებულნი. 1755 წ. სომხობაზედ გადავიდნენ. კათოლიკენი აღარავინ არის დღეს.

ყ უ ზ ა ნ ა ა ნ ი — ძველნი ვაჭარნი. მდიდარნი და მავალნი სპარსეთს და ინდოეთს ვაჭრობისთვის. ამათ გვარს სპარსეთიდან წერილს სწერდა თვით ალექსანდრე ბატონიშვილიც.

ს უ რ გ უ ნ ა ა ნ ი — მოქალაქენი და მავალნი ვაჭრობით სპარსეთს და ინდოეთს. ამათ წერილს სწერდა მეფე გიორგი და ალექსანდრე ბატონიშვილი სპარსეთიდან.

მ ი კ ი რ ტ უ მ ა შ ვ ი ლ ე ბ ი — მდიდარი ვაჭარნი და მავალნი სპარსეთს, ოსმალეთს და ინდოეთს. იყვნენ მეფის წინაშე ცნობილნი.

ს ა რ ა ჯ ი შ ვ ი ლ ე ბ ი — მავალნი სპარსეთს და ოსმალეთს. ძველადგანვე სარაჯობით განთქმულნი. ქებულნი და ცნობილნი კაის ვაჭრობით ჩვენის სამეფოს სახლის წინაშე.

წ უ რ ი ნ ა ა ნ ი — ძველნი ვაჭარნი, მდიდარნი და მავალნი აღმოსავლეთის ქვეყნებში ძველადგანვე.

ზ უ ბ ა ლ ა შ ვ ი ლ ე ბ ი — მერაბი, გიორგი, ივანე, ანდრია და სხვანი, ქებულნი და მავალნი ვაჭრობით ოსმალეთს, სპარსეთს და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს.

ხ უ რ ს ი ძ ე ბ ი — გამოჩენილი აზნაურისშვილები სამცხი-

დამ. ლუკა სპარსეთს გაგზავნილი მეფე ერეკლესაგან, იქვე გარდაიცვალა. შემდეგ ამის შვილი წავიდა ინდოეთს გრიგოლი და იქვე გარდაიცვალა.

ფინთუაშვილები—დღეს ფითოვეი. ძველდგანვე გამოჩენილი ვაჭრები და მდიდარნი, მავალნი სპარსეთსა და ინდოეთს. მეფე ერეკლესაგან ერთი ამათგანი დატუქსვილი და ფინთოდ წოდებული, რაის გამო მათ გვარათაც ფინთუაშვილი ეწოდათ.

ქიშიშიაანი—ძველნი მოქალაქენი თფილისისა და აღმოსავლეთით განთქმულნი.

ხალათაშვილები—ძველნი მოქალაქენი და მერე ერთი ამათგანი გააზნაურებული მეფისაგან. იყვნენ მდიდარნი ვაჭარნი და მავალნი რუსეთშიაც ვაჭრობისათვის. ერთი ამათგანი იყო გამგე იმ ბატონიშვილების მამულებისა, რომელნიც 1802 წლის შემდეგ რუსეთს გადასახლეს. ერთმა ამათგანმა მეფის ძეთ მისტაცა მამულები და მით გამდიდრდნენ უფრო დიდად. გარდახვეწილი ბატონიშვილების ქონება სულ ამ ხალათოეებს დაშთათ. (ნაამბობი იარალისძის ივანე შანშეშვილისაგან).

ხატისაანი—ძველნი მოქალაქენი და მავალნი აღმოსავლეთის ყველა ქვეყნებში ვაჭრობისათვის. ესენი ზოგნი კათოლიკენი არიან, ზოგნი გრიგორიანები და ზოგნიც მართლმადიდებელნი.

ამბარდაანი—ძველნი ვაჭარნი და მავალნი აღმოსავლეთის ქვეყნებში. ერთი ამათგანი რუსეთს გადასახლდა ვაჭრობისათვის. იყვნენ მეფის წინაშე ცნობილნი და ქებულნი.

ენაკოლოფაშვილი—ცნობილნი მეფის წინაშე როგორც ბრძენნი და კარგად მოუბარნი. მიტომ ეწოდათ „ენაკოლოფი“. ძველნი ვაჭარნი და მეფისაგან გააზნაურებულნი.

აღმაღაშვილები—ძველნი ვაჭარნი და მეფეთა წინაშე ცნობილნი.

აბიმელიქიშვილები—ძველნი ვაჭარნი, რუსეთში მავალნი და მეფის წინ ცნობილნი. შემდეგ გათავადებულნი მეფეთაგან. სომეხნი: დღეს აბამელიქოვა.

ამატუნი—სპარსეთიდან მოსული ექიმ ვაჭარი, მეფისაგან გათავადებული. სომეხნი არიან დღეს.

გურგენბეგიშვილი—ძველნი ვაჭარნი და გამოჩენილნი მეფეთა წინაშე. გურგენბეგიშვილები დღეს ახალციხეში სცხოვრობენ.

შერგილაშვილები—მდიდარნი ვაჭარნი ძველადგანვე და შავალნი სპარსეთსა და ოსმალეთს. ძველი მოქალაქენი. და მრავალიც სხვანი.

იყვნენ აგრეთვე სპარსეთსა და ინდოეთს მრავალნიც სხვა ვაჭრები ქართველთა, რომელთაც მრავლად გაჰქონდათ და შემოჰქონდათ სხვადასხვა საქონელი. მარტოდ 1780 წ. ო. იზმიროვის მამამ და მისმა ამხანაგებმა გაიტანეს რამდენიმე ათასი თუმნის მატყლი და იქიდანაც დიდი ძალი საქონელი შემოიტანეს. (ნამბობი მ. ო. იზმიროვისა).

ვეგონებთ ეს ცნობებიც კმარა, რომ ჩვენს საუბარზედ ეჭვი არავინ იქონიოს. ქართველთ ვაჭართ უცხო ქვეყნებში მგზავრობას აუცილებლად თხოულობდა თვით მათივე სიმრავლე თფილისში და ვაჭრობის მრავალნაირი მალაზიების წარმოება. მათი რიცხვი ერთობ დიდი იყო. ასეთ ცნობათა მასალები მრავლად მოიპოვება ენშიაძინის არქივში, საიდანაც ხშირად სარგებლობს მლ. ტერ გუტა თავის წიგნში „მდივანი სომხეთის ისტორიისათვის“.

რათიედ დანიბევაშვიდის თამასუქი ნი რუფიის სესხობაზე*

ავიდე დინიბეგაანთ ხუთასის თავ ოსეფას შვილმა რათიელმა შენ დეკანოზ ტერ-დავითასაგან სამოცი დანა რუფია სურათის სიქა, ორ მისხალნახეგრიანი, რომ იქს ამისი ნახევარი. ლ. ამდენი. ეს სამოცი რუფია მატრასს უფალი შამირაღას მარიფათით და ანუ სხვა ვისიმე მარიფათით, რომ მივაწიო ღვთით იქ, იქაური ხარჯი და ქირით მოგიტანო ქალაქს და უჯუქამოთ მოგაბარო. შენ ჯუქამთან საქმე არა გქონდეს და ვინათგან საკედელ-სიცოცხლე ღთს ხელთ არის,

* იხ. ძველ საბუთთა პირები, გადაწერილნი საქ. უმაღლესი მართებლობის ბრძანებით XIX ს. 55 წლ. დავთარი 25 საბუთი 100.

თუ ჩემს თავზედ ასეთს ადგილს განსაცდელი, ანუ სიკვდილი მოადგეს, რომ ქალაქს ველარ მოვაწიო, თუ ჩემი საქონელი რამე იყოს და ქალაქს მივიდეს, ხომ ამ ჩემი პირობისაებრ ჩემი საქონლითგან მოგვეცეს; თუ არა დამრწომოდეს და არა მოვიდეს რამე, ამის გირაოდ დამიწერია ჩვენი მონასტრის ბაღი. ამ ქვემო თარიღიდაჲ მოკიდებული, რაც ხანს გაეფლოს, თუმანი ორ შაურათ სარგებელი მოგვეცეს.

ნე თვით რაფიელს დამიწერია ორ აპრილს ქკს უპე

რაფიელ

მე პატრი ბერნარდისე ამის მოწმე ვარ.

ბექდის
ადგილი

რაფიელას მოწმე ვარ ფითუანთ ალა.

ხელჩარ
თული

რაფიელას სიტყვით მოწამე ვარ ანრანანთ ისაიას შვილი-
არუთინა

არუთინ

ასლთან სწორ არს
თნი რატიევი.

ინსტიტუტ-პეოგრაფიული კოლექცია

1 გვ. მადრასში ცხოვრობდა მდიდარი სომეხი...

ინდოეთის მესამე ქალაქი სიდიდით (ბომბეისა და კალკუტის შემდეგ). მდებარეობს ინდოეთის ოკეანის კორომანდელის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაპირზე. მადრასი გაშენდა ე. წ. შპ. გიორგის ფორტის გარშემო. ეს სიმაგრე ააგეს ინგლისელებმა იმ უბანზე, რომელიც ოსტ-ინდიის კამპანიამ მიიღო ადგილობრივ რაჯა ჩანდერისაგან. ინგლისელებისათვის ეს იყო პირველი დასაყრდენი პუნქტი ინდოეთში. მადრასი დიდხანს ითვლებოდა ოსტ-ინდიის კამპანიის სამფლობელოთა დედაქალაქად. უკვე მე-17 ს. მადრასში 300 ათასი მცხოვრები იყო. 1746 წელს იგი ლაბურდონეს წინამძღოლობით დაიპყრეს ფრანგებმა.

1749 წლიდან იგი ისევ ინგლისელების ხელში გადავიდა. ითვლება ერთ საუკეთესო პორტად. გააქვთ: ტყავი (კამეჩის, ცხვრის, თხის) ირმის რქები, თამბაქო, გვარჯილა, ჩაი, ყავა, ინდიგო, მარილი. ინგლისთან ინდოეთის მთელ ვაჭრობის ერთი მესამედი მადრასში იყრის თავს.

~ მდიდარი სომეხი, რომელიც ყოველწლივ უგზავნიდა ერეკლეს საჩუქრებს.

მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში ქ. ისპანის მახლობლად მდებარე დაბა ახალ-ჯულფიდან ერთი ახალგაზრდა მკერვალი (თერძი) სამუშაოსა და ბედის საქიებლად ინდოეთს გაემგზავრა. ვრცელ ინდოეთში კარგა ხნის მგზავრობის შემდეგ, იგი საბოლოოდ მადრასში დაემკვიდრა. პირველ ხანებში თავის ხელობით (მკერვალობით) ირჩენდა თავს. მოჭირნეობითა და ბეჯითობით მალე იმდენი ფული მოაგროვა, რომ ჯერ ზარაფხანა გახსნა და ბოლოს საბანკო კონტორა. მალე ძვირფასი ქვებითაც (თვალ-მარგალიტი) დაიწყო ვაჭრობა და ცნობილი მილიონერი გახდა. იგი იყო ახალ-ჯულფელი სომეხი იაკობ შამირის-ძე სულთანოვი, შემდეგში (შაჰაპირიან-ცის) შამირ-ალას სახელით ცნობილი მილიონერი. მისი წინაპარი შაჰ-აბას I წაიყვანა ტყვედ ქ. ნახჭევანიდან და ახალ-ჯულფაში დაასახლა. იაკობის მამა ერეკლე ბატონიშვილის ამაღლებაში მონაწილეობდა, როდესაც იგი ნადირ-შაჰს ახლდა ინდოეთის დაპყრობაში.

შამირ-ალა გარდაიცვალა მადრასში 74 წლისა (13 ივლისს 1797 წ.) შემკვიდრებებს დაუტოვა უძრავ ქონებისა და სხვადასხვა საუნჯის გარდა,

23 მილიონი რუფია,* რაც 52 მილიონ ფრანკს შეადგენს. (იაკობ შაჰამირიანცის შესახებ იხ. ა. ერიცოვის წერილები გაზ. „კავკაზ“-ში. А. Ерицов. Индийские богатые завещания. Газ. „Кавказ“, 1883 г. №№ 81, 82, 83, 100).

შამირ-ალას დარჩა ოთხი ვაჟი: იოანე, იაკობ, ელიაზარ და იოსებ, მე-19 საუკუნის დასაწყისისათვის შამირ-ალას მემკვიდრეები შემდეგ ვითარებაში ყოფილან: იაკობს ჰქონია თამბაქოს დიდი პლანტაციები მალაგაში, მაგრამ საბოლოოდ გაღარიბებულა და დიდ ვალებში ჩაფლული გარდაცვლილა.

ელიაზარი ჭკუაზე შემცდარა და მამის მიერ მადრასში აგებულ საკადმყოფოში გარდაცვლილა.

უმცროს ძმას, იოსებს თავისი ქონება ბანქოში წაუჟია, გალოაპებულა და სიცოცხლის უკანასკნელი დღეები დაუღვია ღარიბთა სახლში, რომელიც აგრეთვე მის მამის მიერ ყოფილა დაარსებული მადრასში.

დიდი ჭკუის პატრონი არც უფროსი ძმა ყოფილა. თავისი ქონება მასაც სახარალო საუკურო ოპერაციებზე გადაუჟია. ამგვარად: რამდენიმე წლის განმავლობაში განიავებულა შამირ-ალას მთელი როგორც ფულადი ქონება (52 მილიონი ფრანკი), ისე ძვირფასეულობა, უძრავი ქონება (ათეული სახლი, დუქნები, ბაღები, სოფლები, წისქვილები და ქარხნები).

რაც შეეხება ერეკლეს ნაწყალობებს დიდ სოფელ ლორს, იგი შამირ-ალას თავის ანდერძით შვილებისათვის საუკუნო სამფლობელოდ დაუტოვებია. მისი არც გაყიდვა და არც დაგირავება არ შეიძლებოდა.

ალბათ, ამიტომ ლორს ვერ დაეპატრონენ ვერც შამირ-ალას მემკვიდრეები და ვერც მათი კრედიტორები.

~ მეფემ უწყალობა მას დიდი სოფელი ლორი.

ჩვენამდე არ მოღწეულა, როგორც ჩანს, ეს სიგელი (დაწერილი 1790 წ. 16 ნოემბრის თარიღით) თუმცა 1883 წ. ა. ერიცოვს ხელთ ჰქონია ინგლის-ინდოეთის მთავრობის მიერ შემოწმებული ამ სიგელის პირი, რომელიც გამოსაქვეყნებლად უთხოვებია მისთვის თბილისში მცხოვრებ გენერალ ზ. ი. შაჰაზიზოვს.

~ მადრასში მისვლისას მე იგი სომეხი ცოცხალი აღარ დამხვდა.

როგორც ირკვევა, რ. დანიბეგაშვილის პირველი მგზავრობა ინდოეთის საკუთოდ ხანგრძლივი ყოფილა. თბილისიდან იგი გამგზავრებულა 1795 წ. მაოტის 15-ს და მადრასში ჩასულა, როგორც ირკვევა, 1798 წლის ზაფხულს. რადგან „მოგზაურობაში“ თვით წერს, რომ იგი გარდაცვლილიყო ერთი წლით ადრე ჩემს ჩასვლამდე. იაკობ შამირ-ალა კი, როგორც ცნობილია, გარდაიცვალა 1797 წლის 13 ივლისს.

* რუფია 2 $\frac{1}{4}$ ფრანკზე ცოტა მეტია. რევოლუციამდელი კურსით = 65 კაპ. (ოქროთი).

~ ხსენებული სიგელი მე მივართვი მის შვილს, რომელიც იმ
ჟამად მადრასში იმყოფებოდა.

აქ შამირ-ალას უფროსი ვაჟი იოანე უნდა იგულისხმებოდეს.

მ. ბროსეს არქივში (ლენინგრადი) შემონახული გიორგი მეფის წყა-
ლობის სიგელის პირი (რაფიელ დანიბეგაშვილის ინდოეთს გაგზავნის შე-
სახებზე) გვირკევეს, რომ რაფიელ დანიბეგაშვილი მეორედ უნდა ყოფილიყო
გაგზავნილი შამირ-ალას შვილთან 1799 წლის სექტემბრის 14-ს შემდეგ,
რადგან ამ თარიღით (სექტემბრის იდ წელსა ჩღჟო) დაწერილია სიგელი,
სადაც ვკითხულობთ: და შენ რაფიელა ამ ჟამათ ინდოეთს გაგზავნეთ შა-
მირ-ალას შვილთანა. (იხ. აქვე: მასალები საქართველოს და ინდოეთის
ურთიერთობაზე გვ. 55).

~ ოცი დღის შემდეგ მივედი არზრუმს.

არზრუმი (ერზერუმი)—ოსმალეთის ამავე სახელწოდების ვილაიეტის
მთავარი ქალაქი მდებარეობს სპარსეთ-ინდოეთის სავაჭრო გზების გზა-
ჯვარედინზე. მნიშვნელოვანია არზრუმზე გამავალი ტრაპიზონ-თავრიზის
ჰატრანზიტო შარავზა. სტრატეგიულ მნიშვნელობისა გამო, ხშირად ქცეუ-
ლა სამხედრო მოქმედებათა ასპარეზად. დაარსებულია 415 წ. თეოდოსეს
მიერ (თეოდოსიპოლის სახელით). 11 საუკ. დაიპყრეს სელჯუკებმა. 1473 წლ.
თურქ-ოსმანებმა.

2 გვ. [ძუმიდან] ოცდაათი ვერსის მანძილზე არის საფლავი
იოანესი...

ეს მონასტერი (სომხურ. კარაპეტის სახელობისა) იწოდებოდა აგრეთვე
გლავის მონასტრად, რადგან პირველ მის მოძღვრად ითვლებოდა ასურე-
ლი ბერი ზენობ გლავი. ეს მონასტერი ოსმალეთის სომხეთში დიდ პოლი-
ტიკურ როლს ასრულებდა. (ამის შესახებ იხ. ა. რ. იოანისიანის მონოგრაფია
„იოსებ ეზინი“. А. Р. Иоаннисян. „Иосиф Эзини“. Ереван. 1945.).

~ რვა დღის შემდეგ მივედი ქალაქს, რომელსაც ეწოდება არგანა.

არღანა—(Arghana) მცირე ქალაქი ოსმალეთში. მის მეზობლად, 8 კი-
ლომეტრზე ტიგროსის სათავეებიდან, მდებარეობს სპილენძის საბადოებით
მდიდარი ადგილი.

3 გვ. რამდენიმე დღის შემდეგ გავემგზავრე მერტინში.

მერტინი, მარდინი—ოსმალეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილის ამავე
სახელწოდების ვილაიეტის (ოსმალეთის ქურთისტანის) მთავარი ქალაქი,
სირიის საზღვრის მახლობლად, დიარბექირიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით
81 კილომეტრზე. მდებარეობს მოსულიდან ხმელთაშუა ზღვისაკენ და დი-
არბექირისაკენ მიმავალ სავაჭრო გზების გზაჯვარედინზე. ეწევა ვაჭრობას
ქასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებებით (ქერი, შვრია, შირბახტი).

~ გავემგზავრე ტიგრანაკერტში... ამ ქამად ტიარბეკირი ენოღება.

დიარბეკირი—ქალაქი სამხრეთ-აღმოსავლეთ ოსმალეთში (ძველად ამიდი), ამავე სახელწოდების ვილაიეტის (საფაშილიყოს) ცენტრი. მდებარეობს მდ. ტიგროსის მარჯვენა ნაპირას, 625 კილომეტრზე ბაღდადიდან (ჩრდილო-დასავლეთით), მნიშვნელოვან სავაჭრო გზების გზაჯვარედინზე. ეწეოდა დიდ ვაჭრობას სპირინასა, ალექოსა. ბასრასა და კონსტანტინეპოლთან. ძირითად მოსახლეობას ქურთები შეადგენენ. ქურთისტანის კულტურული ცენტრი. განთქმულია შინამრეწველობით (სნატი, აბრეშუმის, ბამბის და შალის ქსოვილები, თიხისა და სპილენძის კურკველი). დაარსებულია 230 წ. რომის კოლონიად (ამიდის სახელწოდებით). იყო რამდენჯერმე სპარსელების ხელში. 628 წ. დაიპყრეს არაბებმა. შემდეგ კვლავ სპარსელებს ჩაუვარდათ ხელში. 1515 წ. დაიპყრო სოლეიმან I-მა, რის შემდეგ ოტომანთა სახელმწიფოში ითვლება. ხუროთმოძღვრების ძეგლებიდან ყურადღებას იქცევს პორფირის სვეტებიანი მიზგითი.

~ გავემგზავრე ნინეიას. ეს ქალაქი ამჟამად იწოდება მოსულად.

მოსულაი—ერაყის ერთი მნიშვნელოვანი ქალაქთაგანი (ბაღდადისა და ბასრას შემდეგ). მდებარეობს მდ. ტიგროსზე, ძველ ნინეიის ნანგრევთა პირისპირ, ბაღდადიდან ჩრდილო-დასავლეთით 370 კილომეტრზე. აწარმოებს დიდ ვაჭრობას ხორბლეულით, პირუტყვითა და ხილეულით. მასზე გადის ძველი სავაჭრო გზები შავ ზღვიდან ბაღდადისკენ და ერაყიდან ხმელთაშუა ზღვისაკენ. მრავალჯერ იქმნა აღებული სალადინის, მონღოლების და თემურლენგის მიერ. უშედეგოდ ალყა შემოარტყა 1741 წ. შაჰ-ნადირმაც.

4 გვ. გავემგზავრე ბაბილონს. ეს ქალაქი ამჟამად ბაღდადად იწოდება.

ბაღდადი—ერაყის სატახტო ქალაქი სამხრეთ მესოპოტამიაში, მდინარე ტიგროსზე (სადაც იგი ძალზე უახლოვდება ეფრატს). ყველაზე უცხელესი ქალაქი მცირე აზიაში (წლის საშუალო ტემპერატურა +23°). სუეცის არხის გათხრამდე (1869) უდიდესი როლი ეკუთვნოდა მსოფლიო ვაჭრობაში, როგორც საქონლის გასაცვლელ ადგილს ევროპასა და ინდოეთს შორის. დაარსებულია 762 წ. (ხალიფა მანსურის მიერ) მე-9 ს. ჰარუნ-არ-რაშიდის დროს მიღწია აყვავების ხანას. აქ იყო არაბების მიერ 1065 წელს დაარსებული უმადლესი სკოლა. არაბულ მეცნიერებათა და ხელოვნებათა ცენტრი. სიძველეთა ძეგლები (9—13 სს.) ჩვენამდის ნანგრევებად არის მოღწეული. 1258 წ. დაიპყრო მონღოლთა ყაენმა ჰულაგუმ (ჩინგის ყაენის შვილიშვილმა) და სახალიფატო რეზიდენცია გააუქმა. თემურლენგმა ორჯერ (1392 და 1401) შემუსრა. ქალაქი შემდეგში სხვადასხვა თურქმანთა ტომების ხელში გადადიოდა. 1509 წ. დაიპყრო სპარსეთის შაჰმა ისმაილმა; 1534 წ. დაიპყრეს თურქებმა; 1623 წ.—სპარსელებმა. 1638 წ.—მურად V და უკანასკნელ ხანამდე თურქებს ეკუთვნოდა.

~ დავტოვე რა ბაბილონი, მე გავემგზავრე ბასრას.

ბასრა, ბასორა—ბასორიის ვილაიეტის დიდი ქალაქი მესოპოტამიაში (1914 წლამდე) ეკუთვნოდა ოსმალეთს. ახლა ერაყს ეკუთვნის. მდებარეობს შატელ-არაბის მარჯვენა ნაპირას, 90 კილომეტრზე სპარსეთის ყურედან. ადგილმდებარეობა ციებიანი აქვს. ერაყის უმნიშვნელოვანესი სავაჭრო ცენტრი და ნავსადგური. საზღვაო გემები თვით ქალაქს ადგებიან. გააქვთ: ნავთი, მატყლი, პურაეული, ხალიჩები, ხურმა და სხვა. ბასრა—არაბეთში მიმავალ ქარავანთა გამოსავალი წყაროა. დაარსებულია არაბების მიერ (617 წ.), იყო რამდენჯერმე სპარსელებისა და ოსმალების ხელში. 1914 წ. დაიპყრეს ინგლისელებმა.

5 გვ. აქედან ხომალდით... გავემგზავრე ზღვის პირას მდებარე ქალაქ მასკატში.

მასკატი—არაბულ სასულტნოს, ომანის მთავარი ქალაქი. მდებარეობს არაბეთის ნახევარკუნძულზე ომანის ყურეს ნაპირას, სავაჭრო ნავსადგური. უკვე მე-9-10 სს. მასკატი ცნობილი იყო როგორც პუნქტი, საიდანაც იგზავნებოდა ხომალდები ინდოეთს. დაკავშირებულია გემსაველ გზებით ბომბეასა და ბასრასთან. გააქვთ: ხურმა, ლიმონი, ხმელი თევზი. მე-16-17 სს. მასკატი პორტუგალელთა საზღვაო სადგური იყო.

1648—1741 წწ. ეჭირათ სპარსელებს. 1741 წ. მასკატი გადადის არაბულ სულთანთა ხელში. მე-19 საუკ. მეორე ნახევრიდან მასკატის სულთნები ინგლისის ემორჩილებიან.

~ მასკატიდან 22 დღის შემდეგ მივედი ქალაქ ბომბაიში.

ბომბაი—ქალაქი და ნავსადგური იმავე სახელობის კუნძულზე. ინდოეთის ერთი უმთავრესი სავაჭრო ნავსადგურთაგანი. ბუნების სილამაზით და ჯანსაღ ჰავით ბომბაი ერთ საუკეთესო ადგილად ითვლება მთელ ინდოეთში. ბომბაის კუნძული 1530 წ. პირველად პორტუგალიელებმა ჩაიგდეს ხელში, 1668 წ.—ინდოეთის კამპანიაში, რომელმაც 1668 წლიდან იგი თავის სატახტო ქალაქად გადააქცია.

6 გვ. ბომბაიდან ინგლისურ გემით გავემგზავრე ქალაქ კოლუმბს...

კოლუმბი—მსოფლიო მნიშვნელობის ნავსადგური და მთავარი ქალაქი კუნძულ ცეილონზე. მდებარეობს საზღვაო გზაზე, რომელიც მიიმართება ევროპიდან შორეულ აღმოსავლეთის ქვეყნებსა და ავსტრალიაში. გააქვს: ჩაი, ყავა, მიხაკი, ქოქოსის კაკალი, პალმის ხეთი, ებანოზი და სხვა ძვირფასი მერქნები, სპილოს ძვალი და მარგალიტი. პორტუგალიელებმა იგი დაიპყრეს 1517 წ., ჰოლანდელებმა—1603 წ., უკანასკნელად 1796 წ.—ინგლისელებმა.

~ მიველი ქალაქ მანარში.

მანარი—პატარა კუნძულია (ცეილონის მახლობლად) ე. წ. ადამის ხიდის სამხრეთ-აღმოსავლეთის კიდურში. ცეილონსა და სამხრეთ კარნატიკის შორის არსებულ მანარის მეჩხერ ყურეში, ბრიტანეთის მთავრობის ზედამხედველობით, წარმოებს დიდძალ მარგალიტის ჭერა.

~ ისინი თაყვანსა სცემენ ძროხებსა...

ძროხა ინდოეთში უხსოვარ დროიდან წმინდა ცხოველად ითვლება. ძროხის შარდი და ნეხვი სხვადასხვა ავადმყოფობის წამლად არის აღიარებული. ძროხის მოკვლა ინდოეთში უდიდეს ცოდვად ითვლება. ძროხის ნეხვით ტანს იგლესენ განდევნილები. ჰინდუიზმის თვით ერთი უდიდესი ღვთაების—შივას—სხეული ყოველთვის ძროხის წივის ნაცრით არის დაფარული.

7 გვ. [მანარიდან] ზღვით გავემგზავრე ქალაქ ბონდოჩერს...

ბონდოჩერი ანუ პონდიშერი მთავარი ქალაქია და ნავსადგური საფრანგეთის კოლონიისა ინდოეთში (კორომანდელის ნაპირზე). იგი მდებარეობს მადრასიდან 140 კილომეტრზე (სამხრეთ-დასავლეთით). პონდიშერი გაყოფილია შავსა და თეთრ ქალაქად. თეთრი ქალაქი პატარა პარიზად ითვლება.

~ აქედან ხმელეთით გავემგზავრე ქალაქ თრაკბერს...

თრაკბერი (Tranquebar)—ინგლისელთა ქალაქი კორომანდელის ნაპირზე ეწევა დიდ ვაჭრობას. 1616 წ. იგი შეიძინეს დანიელებმა ტანჯაურის რაჯასაგან. ინგლისელებმა იყიდეს 1845 წელს.

8 გვ. გავემგზავრე განთქმულ მადრასში.

იხ. 1 გვ. შენიშვნა: მადრასში ცხოვრობდა მდიდარი სომეხი...

~ აქ დიდ ხმარებაშია საღეჭავი ფოთოლი, რომელსაც მათებურად ფანი ეწოდება.

ფანი (ინდური pan) ანუ ბეთელი ერთგვარი პილპილია (Piper betel) რომლის ფოთოლს ღებენ ყველანი ინდოეთში. ფოთლებს ახვევენ პატარა პარკუჭებად, შიგნიდან სცხებენ კირს, რომელიც გაქნილია აკაცია კატეხუს ნაწურში, ურევენ ქინძის თესლებს, პალმის კაკლის, ილის, ჯავზის და მიზაკის ნაწილებს. ღებვის დროს პირში რჩებათ მომწარო-მშუშხავი გემო, იწვევს დიდ ნერწყვს და ამანთან ტუჩებსა და ღრძილებს მუქწითლად ღებავს. ფანის ღებვა იწვევს აგრეთვე ნერვიულ სისტემის ერთგვარ გაღიზიანებას. ღებენ ჩვეულებრივ საჭმლის შემდეგ და ძილის წინ. მოყვარული დღეში ას ფოთოლზე მეტს დაღებს. იგი ინდურ მასპინძლობის

აუცილებელ ჩაროხს წაომოადგენს თვით უკანასკნელ წლებშიაც კი. უმაღლეს ხარისხის ბეთელი ფაისად* 5 ცალი მოდის.

9 გვ. ლუზა ჩავაგდეთ ქალაქ მუშლიბანდართან.

ამ სახელწოდებით რ. დანიბეგაშვილი მასულიპატამს უნდა აღნიშნავდეს. იგი მდებარეობს პატარა კუნძულზე (კისტანის შესართავიდან ჩრდილოეთით 20 კილომეტრზე). კარგი ნავსადგურია და მნიშვნელოვანი სიმაგრე. აქედიდი ვაჭრობა ჩინეთსა, ბირმასა, სპარსეთსა და არაბეთთან. ინგლისელებმა ხელთ იგდეს 1754 წელს.

10 გვ. მივედით ქალაქ ბეკში.

რ. დანიბეგაშვილის ბეკი ანუ რანზუნი, ვფიქრობთ, რანგპურს უნდა უდრიდეს. ინდოეთში ინგლისელებს ორი რანგპური (Rangpur) ეჭირათ. ერთი—380 კილომეტრზე კალკუტიდან (ჩრდილო-აღმოსავლეთით); მეორე (იმავე მიმართულებით) კალკუტიდან 100 კილომეტრზე (ასამის სამთავროში).

12 გვ. გავემგზავრე ოკეანით ქალაქ კალკადაში.

კ ა ლ კ უ ტ ა, უფრო სწორედ კ ა ლ კ ა ტ ა—ბენგალიის პროვინციის მთავარი ქალაქი, —ყოფილ ბრიტანეთის ინდოეთის უმნიშვნელოვანესი ეკონომიური და კულტურული ცენტრი. მდებარეობს მდ. ჰუგლის მარცხენა (აღმოსავლეთ) ნაპირას, განგესის დელტაში, განგესისა და ბრამაპუტრას შესაყართან, ზღვიდან 140 კილომეტრზე დაშორებით.

1688 წელს, როდესაც ინგლისის ოსტ-ინდიის კამპანია მძარცველურაშ ამ აწარმოებდა დიდ მოლოლის იმპერიასთან, ბენგალიის გუბერნატორმა შაისტა-ხანმა წაართვა ინგლისელებს ყველა მათი ფაქტორია ბენგალიაში. ინგლისელები იძულებულნი იყვნენ დაეტოვებინათ ჰუმლი და გამაგრებულ იყვნენ სოფ. სუტანიტიში (ამჟამად კალკუტის ჩრდილო ნაწილი). 1688 წ. ინგლისელებმა მდ. ჰუგლიზე (სოფ. სუტანიტის მახლობლად) ააგეს ფორტი ვილიამი, რომელიც შემდეგ გადაიქცა კოლონიურ დაპყრობის საყრდენ პუნქტად. 1700 წელს ინგლისელებმა აურენგზების შვილის აზიმისაგან იყიდეს მიწის ნაკვეთი სამი სოფლით (სუტანიტი, კალკატა და გოვანდპური), რომელთაგანაც, ვილიამის ფორტის ჩართვით, წარმოიშვა თანამედროვე კალკუტა. ინგლისელებმა ქვეყნის შინაურ საქმეებში უზენაესი ჩარევით, ვაჭრობის ზეღში ჩადგებით და ბენგალიის ნავაბის მტრების მფარველობით მთლად აიჯანყეს იგი თავის წინააღმდეგ. 1756 წელს ფრანგების მოკავშირე ბენგალიის ნავაბის სურაჯა უდ-დაუდის ჯარებმა კალკუტა აიღეს, მაგრამ 1757 წ. ინგლისელებმა იგი კვლავ დაიბრუნეს კლაივის წინამძღოლობით. კლაივის ამ გამარჯვებით (პლესისთან) ინგლისელებმა ფაქტიურად მოა-

* 64 ფაისი ერთ რუფიას უდრის. რევოლუციამდელ კურსით რუფიას 65 კაპიკს უდრიდა (ოქროთი).

თავეს ბენგალიის დაპყრობა. ოსტ-ინდიის კამპანიამ ბენგალიის პირველ გუბერნატორად კლაივე დანიშნა. 1774 წ. ბენგალია საგენერალ-გუბერნატორად გამოცხადდა. მისი პირველი გენერალ-გუბერნატორი უორენ გასტინგის (1785 წლამდის) კალკუტიდან კონტროლს უწევდა ოსტ-ინდიის კამპანიის დანარჩენ სამფლობელოებს ინდოეთში. 1885 წ. გენერალ-გუბერნატორის ეწოდა ინდოეთის ვიცე-კოროლი. 1877 წ. როცა დედოფალ ვიქტორიას ინდოეთის დედოფალი ეწოდა, კალკუტა ახალ იმპერიის სატახტო ქალაქად გამოცხადდა. სატახტო ქალაქად ითვლებოდა იგი 1911 წლამდე. ამ წლიდან სატახტო ქალაქი დელია.

13 გვ. სამი დღის შემდეგ მივედით ქალაქ ბაჰარკანში.

ვეიქრობთ, რ. დანიბეგაშვილის ბაჰარკანი—ქალაქი Baskergandschi უნდა იყოს.

~ [კალკადაში] ბევრი სომეხია.

სომეხები ინდოეთში პირველად უკვე XVI საუკუნისათვის ჩნდებიან. ინგლისის ოსტ-ინდიის კამპანიას სომეხები უკვე მტკიცედ თეხმოკიდებულნი ხედებიან აღრასა, დელის, სურათსა, ბომბეიას და სხვა ადგილებში. ინდოეთში ახლად შეჭრილ ინგლისელებს სომეხები ერთგვარ მეტოქეობასაც კი უწევდნენ. ოსტ-ინდიის კამპანიამ ამიტომ სომეხურ სავაჭრო კაპიტალის წარძომადგენლებთან შეთანხმება არჩია. კამპანიის მიერ 1688 წ. 22 იენისს გამოცემულ ქარტიით ინდოეთში მყოფ სომეხებს ფართო უფლებები ენიჭებოდათ. მათ შეეძლოთ თავისუფლად შესვლა და გასვლა ინდოეთიდან კამპანიის ხომალდებით, შეეძლოთ ეცხოვრათ კამპანიის ყველა სამფლობელოში, სადაც კი მოისურვებდნენ და მიეღოთ ყველა სამოქალაქო თანამდებობა, როგორც ინგლისელს. ამ ხელისშემწყობმა პირობებმა XVII საუკუნის პირველ ნახევარში მრავალი სომეხი მიიზიდა ინდოეთში, განსაკუთრებით ირანიდან. ყველაზე დიდი სომეხური კოლონია კალკუტაში გაჩნდა. XVIII ს. ორმოციან წლებში სხვა სომეხ ვაჭრების მსგავსად აქვე გადმოსულა სომეხურ ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობის თვალსაჩინო მებრძოლის იოსებ ემინის მამა ჰამადანიდან...*

~ ინგლისური კამპანია ყოველწლივ შემოსავალს ღებულობს 500 მილიონ რუფიადლის

ინდოეთის დაპყრობა ხდებოდა XVII ს. დასაწყისში შექმნილ „ოსტ-ინდიის კამპანიის“ ხელმძღვანელობით. იგი იყო იარაღი ბრიტანეთის ფინანსისტების, ვაჭრებისა და არისტოკრატების ხელში.

კარლ მარქსი თავის ცნობილ „ქრონოლოგიურ ამონაწერებში ინდო-

* იხ. ამის შესახებ А.Р. Иоаннисян, „Иосиф Эмен“, Ереван, 1945. გვ. 11—12.

ვთის ისტორიიდან“ ცალკე განაყოფს უთმობს „ევროპელ ვაჭრების ინდოეთში შეღწევის“ ისტორიას და შექმდეგ საინტერესო ამონაწერებს აკეთებს ევროპულ კაპიტალის ინდოეთში შეჭრის შესახებ:

„1497 წლის დეკემბერში პორტუგალელმა ვასკო დე გამამ შემოუარა გემებით „კეთილ იმედის კონცხს“ და 1498 წლის მაისში ლუზა ჩაადლო კალკუტასთან. ამის შემდეგ გოასა, ბომბეისა და ჰალეში ცეილონზე დაარსდა პორტუგალელთა სავაჭრო კოლონიები.

1595 წ. (ასი წლით გვიან) ჰოლანდელებმა მოიპოვეს ახლანდელ ქალაქ კალკუტის მახლობლად დასახლების უფლება.

1600 წ. წარმოიშვა „ლონდონის ოსტ-ინდიის კამპანია“—კამპანია სიტის ვაჭრობისა.

1600 წ. დეკემბრის 30-ს მან მიიღო ელისავეტასაგან ქარტია აღმოსავლეთთან აბრეშუმის, ბამბეულის ქსოვილისა და ძვირფასი ქვების ვაჭრობისა.

კამპანიის მმართველად უნდა ყოფილიყვნენ გუბერნატორი და 24 დირექტორი.

1601 [ინდოეთს] გაემგზავრნენ პირველი ხომალდები. დიდმა მოლოლმა ჯაჰანგირმა 1613 წელს საგანგებო ფირმანით ამ ვაჭრებს უბოძა სავაჭრო პორტი სურათში და 1615 წება დართო სერ ტომას როუს, რომ იგი ვითარცა ელჩი გამოცხადებულიყო დელიში.

1624 კამპანიამ პეტეციით მიმართა იაკობ I-ს და მიიღო უფლება ასამართლოს თავისი მოსამსახურეები ინდოეთში როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო სამართლით, ამგვარად ფაქტიურად განუსაზღვრელი უფლება მოქალაქეთა სიცოცხლესა და ქონებაზე.

1634 შაჰჯეჰანის ფირმანით დაარსდა პირველი ფაქტორია ბენგალიაში.

1639 ინგლისელებს მადრასში ვაჭრობის წარმოების ნება დართეს.

1662 კარლოს II ცოლად შეირთო პორტუგალიის მეფის ასული, მის მზითვეში, სხვათა შოონის, შედიოდა სავაჭრო ნავსადგური ბომბეი, რომელიც ამგვარად გვირგვინის საძვლობელოდ გადაიქცა, მაგამ 1668 „მხიარულმა მეფემ“ ბომბეის ნავსადგური აჩუქა ოსტ-ინდიის კამპანიას. იმავე წელს ინგლისიდან მადრასი ლებულობს ჩაის პირველ დაკვეთას (იმ დროს ინგლისუად მას უწოდებდნენ არა tea-ს, არამედ tchaय-ს, ჩაის, როგორც ჩინურად).

1698 აურუნგზებმა ნება დართო „ძალღებს“ ე. ი. კამპანიას, იყიდონ სამი სოფელი: კალკუტა, სუტანუტი და გოვინდპური, რომლებიც შემდეგ გაამაგრეს. სერ ჩარლზ ეირმა ახალ სიმაგრეებს უწოდა „ფორტ-ვილიამი.“ ჰოლანდიის გამათავისუფლებელის პატროსაცემად. დღემდის ყველა ოფიციალურ დოკუმენტზე აღინიშნება სიტყვები: „ფორტ-ვილიამ, ბენგალიაში.“ იმავე წელს ინგლისში დაარსდა ახალი კამპანია „ინგლისის ოსტ-ინდიის კამპანია.“

1702 ძველი „ლონდონის კამპანია“ შეერწყო ახალს და იმ დროიდან

არსებობდა ბნოლოდ ერთი კამპანია სახელწოდებით: „ოსტ-ინდიასთან მო-
ვაკრე ვაკრების გაერთიანებული კამპანია.“*

დიდ მოლოღთა იმპერიის დაშლამ, რაც იმპერატორ აურენგზების სიკვ-
დილს (1707 წ.) მოჰყვა, შესაძლებლობა მისცა ურთიერთის მეტოქე ინგ-
ლისისა და საფრანგეთის ოსტ-ინდიის კამპანიებს გამოეყენებინათ ადგი-
ლობრივ მმართველთა ურთიერთშორისი მტრობა ტერიტორიულ დაპყრო-
ბათათვის ინდოეთში. შვიდწლიური ომის ამბებმა და კლაივეს გამარჯვე-
ბამ (1757) მოუპოვა ინგლისელებს პროტექტორატი დიდ მოლოღის სა-
ხელმწიფოზე და ზოგიერთ პროვინციების უშუალო მფლობელობა. ამ დრო-
იდან 1857 წლის აჯანყებამდის „ინგლისის ოსტ-ინდიის კამპანია“ ეწეოდა
ტერიტორიულ დაპყრობათა პოლიტიკას.

ზრიკების მოწყობით, დაქრთამვით, მოტყუებით და ომებით ინგლისის
ოსტ-ინდიის კამპანიამ დაიმორჩილა ბენგალია, ბიჰარა, ორისა, მანსორი
კარნატიკი, ტანკორი, რაჯპუტინა, ქვემო ბირმა, ფენჯაბი, სინდი და
აუღი.

15 გვ. ერთ დღეში მიველ ქალაქ სირამპურას.

სირამპური ან სერამპური—ბენგალის პროვინციის ქალაქი, მდებარე
მდ. ჰუგლის მარჯვენა ნაპირზე. დაარსებულია როგორც დანიის ფაქტორ-
ია ფრედერიქსნაგარის სახელით. 1845 წ. დანიის მთავრობამ სირამპუ-
რი, დანიის სხვა ინდურ სამფლობელოებთან ერთად მიჰყიდა ინგლისის
ოსტ-ინდიის კამპანიას.

~ სირამპურიდან გავემართე ქალაქ ჩიტრასკენ.

ფვიქრობთ, აქ დანიბეგაშვილი ქ. ჩიტორას უნდა გულისხმობდეს.

~ ჩიტრადან გავწიე მარშატბატს ანუ მახსუტბატს.

რ. დანიბეგაშვილის მარშატბატი იგივე უნდა იყოს, რაც მურშიდაბა-
დი (Murschidabad).

~ აქედან გავემგზავრე ქალაქ აზიმაპატს ანუ ფატონში.

ფატნა ანუ ფატონი ბიჰარის პროვინციის მთ. ქალაქია. აქვს ნავსადგუ-
რი მდინარე განგესზე.

16 გვ. დავტოვე რა აზიმაპატი, სსენებულ მდინარით გავემგზავრე
ქალაქ ბანარისში.

ბ ე ნ ა რ ე ს ა ნ უ ბ ა ნ ა რ ა ს ი (Varanasi)—ჩრდილო-დასავლეთ ინდო-
ეთის იმვე სახელწოდების ოლქის მთავარი ქალაქი. მდებარეობს მდინარე
განგესის (ღვთაებრივ მდინარის) მარცხენა (ჩრდილო) ნაპირზე. იწოდება
ინდოელთა რომად. ითვლება უწმინდეს ქალაქად და სწავლულ ბრამინთა

* იხ. К а р л М а р к с. Хронологические выписки по истории
Индии (664—1858 г.). Отгиз. Москва 1947.

ცენტრად. განვითარებულია ადგილობრივი მრეწველობა (აბრეშუმის ქსოვილები, შალეები, ვერცხლისა და ოქრომკედის ქარგულობა, ოქრომჭედლის ნაწარმოებნი, თითბრის ჭურჭელი და სხვ.). შინა ვაჭრობას ხელს უწყობს ნაოსნობა განგესზე. გააქვთ შაქარი, ინდიგო, გვარჯილა, განგესის „წშიდა წვალი“. ბენარესში მოაქვთ გასაყიდად ყველაფერი, რასაც კი ინდოეთი და მოსაზღვრე ქვეყნები წარმოქმნიან ძვირფასს, როგორც ხელოვნების, ისე შრომის დარგში, აგრეთვე ბუნებრივი პროდუქტები. ზოგიერთი ბენარესელი ვაჭარი მთელს ინდოეთში უმდიდრესად ითვლება.

ბენარესი—ერთი უძველეს ქალაქთაგანი—შექმნილია და ბრწყინვალედ წოდებული სანსკრიტულ ლექსებში. VI-ს. ჩვ. ერამდის ბუდიზმის ცენტრად ითვლებოდა. შემდეგ იქცა შივას (მაგადევას)* თაყვანისცემის მთავარ ადგილად. შივას ღვთაების ტაძართა რიცხვი ამ ქალაქში ათასს აღემატება. ყველა ამ ტაძარში თაყვანისცემის მთავარ საგანს შეადგენენ ქვის ლინგაგები.** შივასადმი შეწირული ხარები თავისუფლად დარბიან ქალაქის ყველა ქუჩებში. სამასზე მეტ მიხვითიდან ყველაზე დიდებულია აურენგზების მიხვითი.

1193 წ. იგი დაიპყრო ქუთუბ-ედ-დინმა, ხოლო 1524 ბაბერმა, რომელმაც ბენარესე დელის იმპერიას შეუერთა. 1776 წელს იგი ინგლისელების მფლობელობაში გადავიდა.

17 გვ. [ბანარესიდან] 120 ვერსზე მდებარეობს ქალაქი ლაკნაპორი.

ლ ა კ ნ ა პ ო რ ი —ამ სახელწოდებით რ. დანიბეგაშვილი ლაკნაუს ანუ ლუქნაუს უნდა აღნიშნავდეს. ეს ქალაქი აღრასა და აუდის პროვინციათა ადმინისტრაციული ცენტრია. მდებარეობს განგესის დაბლობის ცენტრალურ ნაწილში. ცნობილია ძველ ინდურ ხელნაწერთა კოლექციით, რომელიც დაცულია „მოტიმაჰალში“ (მარგალიტის სასახლეში).

~ აქედან გავემგზავ რ ქალაქ ფარახაბატში.

ფარახაბადი ანუ ფურუხაბადი („ბედნიერი თავშესაფარი“). მნიშვნელოვანი სავაჭრო ქალაქია. მდებარეობს მდ. განგესის მახლობლად.

~ მიველი ქალაქ მერედში.

რ. დანიბეგაშვილი ამ სახელწოდებით ქ. მირუტს, ან მირატს (რაც იგივეა) უნდა გულისხმობდეს. მნიშვნელოვანი სავაჭრო ადგილია ჩრდილო-ინდოეთში.

* შივა—ინდურ პანთეონის ერთი უმნიშვნელოვანესი ღვთაებაა, რომლის თაყვანისცემა ვრცელდება გვიანდელ ვედურ ეპოქაში. შივა სამების (ბრაჰმა, ვიშნუ, შივა) წევრია.

** ლინგა (membrum virile)—ფალოსი, როგორც შივას შემოქმედებითი ძალის სიმბოლო დიდ თაყვანისცემაშია შივას მიმდევრებში.

~ ამ ქალაქიდან გავემგზავრე დელის.

დელი (Delhi)—ერთი უდიდესი ქალაქთაგანი ინდოეთისა, აზიის რომი. იგი მდებარეობს განგესის მარჯვენა შენაკადის მდ. ჯამნას მარჯვენა მხარეზე. ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში იგი სიდიდითა და მოსახლეობით (2 მილიონ მცხოვრებზე მეტი) აღემატებოდა ლონდონს.

გადმოცემით დელი გაშენებულია „შაჰაბაჰარატას“ ეპოსის გმირის უდი-შტარას მიერ (300 წლების მახლობლად ჩვ. ერამდე). იგი მაშინ ინდოაპ-რასტად იწოდებოდა.

რომის ეპოქაში დელი დაქვეითდა, რადგან ინდოეთთან საზღვაო ვაჭ-რობა უფრო გაფართოვდა (ალექსანდრიასა და მეწამულ ზღვით) ვიდრე სახმელეთო. მე-10 საუკუნეში, როცა სახმელეთო ვაჭრობა კვლავ გამო-ცოცხლდა, დელის მნიშვნელობა კვლავ გაიზარდა.

1052 წ. აშენდა ახალი გამაგრებული ქალაქი, მე-16 საუკუნემდის დელი თანამიმდევრობით ეყრატ სატახტო ქალაქად პატანთა, თათართა და ავღანთა მეფეებს. 1398 წ. დელი დაიპყრო თემურ-ლენგმა, ხოლო 1526 წ. ობზეგების მეშვეობით ყაზლისა და ფერგანის მმართველმა ბაბერმა, რომელმაც დიდ მოღოლთა იმპერია დააარსა. ამ დროისთვის, რადგან 1498 წ. ვასკო დე გამამ იპოვა საზღვაო გზა ინდოეთისკენ (აფრიკის გარშემო) და ევროპის ვაჭრობამ ინდოეთთან ახალი მიმართულება მიიღო, დელიმ და-კარგა ეკონომიური ბაზისი და სამხედრო ბანაკად გადაიქცა. 1739 წ. დელი დაიპყრო ნადირ-შაჰმა. 9 თვის განმავლობაში სპარსელებმა ნადირ-შაჰის მეთაურობით გაანადგურეს მილიარდ მანეთამდე ღირებული ქონება.

1803 წ. დელი დაიპყრეს ინგლისელებმა.

1911 წ. დელი ინდოეთის სატახტო ქალაქად იქნა გამოცხადებული (კალკუტის ნაცვლად).

ძველი ქალაქი—შაჰ-ჯეჰან-აბადი—გაშენებულია მდ. ჯამნას ნაპირზე გაყოფებით და შემორტყმულია 8 კილომეტრის სიგრძის გალავნით. აქ ყურადღებას იქცევს მრავალი მშენიერი ნაგებობა, მათ შორის იმპერა-ტორის ძველი სასახლე, გაშენებული მე-17 საუკუნეში შაჰ-ჯეჰანის მიერ. მოღოლთა პერიოდის ხუროთმოძღვრების აყვავების ხანიდან ჩვენამდის მოღწეულია თეთრ და რუხ მარმარილოთი ნაგები „მარგალიტის მიზგით“ და სასახლის სამხრეთ-დასავლეთით, წითელ ქვით ნაგები დიდი მიზგითი (ჯუშა მიზგითი).

დელის მიდამოებში ხუროთმოძღვრების ძეგლებიდან შესანიშნავია ქუთუბ-მინარი (გამარჯვების კოშკი), წითელ ქვითა და მომარილოთი ნაგები (72 მეტრის სიმაღლისა). ამ მინარს ხუთ წყებად გარს ერტყმის ირგვლივ გალერეები ქანდაკებებითა და ამოზრტული წარწერებით. მე-14 საუკუნის ძეგლებიდან საყურადღებოა ფიროზაბადის სასახლე. უძველეს ძეგ-ლებიდან საყურადღებოა მეფე ასოკის რკინის სვეტი სანსკრიტულ წარწე-რებით (400 წ. წ. ე.) მე-16 საუკუნის ძეგლებიდან—ბაბერის შვილის—ჰუმაიუნის (1530-55) მავზოლეუმი და სხვ.

1857 წლის აჯანყებამდის შაჰ-ჯეჰანის სასახლეში ცხოვრობდნენ დიდი მოღოლები, როგორც ინგლისელების პენსიონერები, ინგლისელთა მცვე-

ლებით. ამ სასახლის განძეულობათაგან განსაკუთრებით ცნობილი იყო ე. წ. „ფარშევანგებინი ტახტი“, რომელიც მთლად ბაჯალლო ოქროდან იყო გაკეთებული. ორსვე მხარეს ტახტს ესხდნენ ბოლო გაშლილი ფარშევანგები, რომელთაც ბოლოები ძვირფას ქვებით ჰქონდათ მოოჭვილი. ფარშევანგების ზემოთ იჯდა მთლიან ზურხმუტიდან გამოკვეთილი თუთიყუში. ყველაფერი ეს, სხვა მრავალ განძეულობასთან ერთად, რომელიც შეადგენდა მრავალმილიონიან დოვლათს, ხელთ იგდო როგორც დავლა და დელიდან გაიტაცა ნადირ-შაჰმა (1736-47).

მ ი რ ზ ა მ ე ჭ თ ი ს ეს ამბავი ასე აქვს მოთხრობილი: „... მაჰმადშამ უძღვნა ნადირს გარდა სხვათა ძღვენთა სავარძელი იგი „თანთი თოუზად“ წოდებული. ესე იგი სავარძელი ფარშევანგისა, რომელიცა იყო წინაპართაგან მაჰმადშაჰისათა მოოჭვილ და რომლისა ფასი იყო ორისა ქურულისა. და გარდა ამისა მოართვა ლარი მრავალი, რომელთა შორის იყო ყვიანუს მდიდრისა მის მეფისა ძინდოელთასა სალაროცა და ეგრეთვე ინდოთაცა ჩინებულთა უმძღვნის ძღვენი. და შორის ამთსა გამოართვა სახლსა საადათ ხანისასა ქურული ერთი და რაოდენიმე სპილონი. და რააცა ინდოეთსა შინა ჩინებულთაგან მუნებურთა მოერთვა გარდა თვალთა და მარგალიტთა იყო ათხუთმეტი ქურული“* (იხ. „საქმენი, შრომანი და ღვაწლი დიდისა ხელმწიფისა ნადირ ავშარელისა, რომელიცა აღუწერის ნანდვილთა ისტორიითა მირზა მეჭთის, ვეზირსავე მისსა, რომელიცა თანა ჰყვებოდა ყოველსა საქმესა მისსა. ხოლო ესე ითარგმნა იმი-ისი უგანათლებულესობის საქართველოს მეფის ძის რუსეთის ღენერალ-ლეიტენანტისა და კავალერისა დავითისა. გიორგის მეფის პირშოს ძისაგან წელსა ჩყბ ხოლო ქკს უჟა დეკემბერს 3. (=1802. დეკემბრის 6). სრულიქნა ესე სამეფო საქალაქს ტფილისი**.

18 გვ. მერედიდან 300 ვერსზე მდებარეობს მთა სირინაგორი.

მთა სირინაგორთან ერთად (საიდანაც გამომდინარეობს მდინარე განგეს-სათავე), დანიბეგაშვილი იხსენიებს ამ სახელწოდების ქალაქსაც. სირინაგორი ანუ სრინაგარი მთავარი ქალაქია ჯაბუ და კაშმირის ფეოდალურ სათავადოსი ჩრდილო ინდოეთში. განვითარებულია შინ-მრეწველობა (ხალები. აბრეშუმის, ბამბეულის ქსოვილები, ტყავის, სპილენძის, ვერცხლის და ხის ნაწარმოებნი).

19 გვ. ძველად ეს ქალაქი იყო მოგოლთა მეფის სასახლე.

დიდ მოლოლთა იმპერიას ისტორიულ ლიტერატურაში უწოდებდნენ ფადიშაჰ ზაქირ-ედ-დინ მუჰამედის (1483—1530) მიერ (ზედწოდებით „ბაბერ“, „ბაბურ“—რაც ვეფხს ნიშნავს) ინდოეთში შექმნილ დიდ სახელ-

* ქურული = 100 ლაქსა; ლაქი = 100.000 რუფიას.

** იხ. აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცული H 2310. თავი 5. ბრძოლისათვის ნადირისა და მაჰმადშისა და დაპყრობისათვის შაჰჯანაბდისა.

მწიფოს. ბაბერი იწოდებოდა მოლოლად (რაც დამახინჯებული მონღოლია), რითაც გახაზადნენ მის ჩამომავლობას მამით თემურ-ლენგისაგან (მეექვსე თაობა), ხოლო დედით ჩინგის ყაენისაგან. ნამდვილად კი იყო სპარსეთიდან გამოსული ძე ფერგანის მპართველის ომარ შეიხისა. მის ლაშქარს შეადგენდნენ თურქები, სპარსელები და ავღანელები. მოლოლთა იმპერიის ოფიციალურ ენად აღიარებული იყო სპარსული. ბაბერი ისტორიაში შედის არა მარტო როგორც შესანიშნავი მთავარსარდალი და მოლოლთა დინასტიის ფუძემდებელი, არამედ როგორც შესანიშნავი პოეტი, რომელიც წერდა ჩაღათურ ენაზე. მისი ლიტერატურული მოღვაწეობა ემთხვევა ჩაღათურ ლიტერატურის აყვავების ხანას. შუაზიის კლასიკურ ლიტერატურაში ყურადღებას იქცევს მისი ლირიკული ლექსების კრებული და მემუარები (ბაბურ-ნამე). ბაბერმა მამის ტახტი მემკვიდრეობით 1495 წელს მიიღო. მისი მეფობის პირველი 20 წელი სამარყანდის დაპყრობისათვის წარმოებულ ომს მოუხდა. ომი ცვალებად გამარჯვებით წარმოებდა. 1514 წ. ოზბეგებმა ბაბერს ხელი ააღებინეს სამარყანდზე და აიძულეს ქ. ყაბულს დაბრუნებოდა (რომელიც მან ჯერ კიდევ 1504 წელს დაიპყრო). დასავლეთში დამარცხებული ბაბერი 1519 წლიდან აღმოსავლეთისაკენ (ინდოეთისაკენ) ილაშქრებს. გადამწყვეტ ბრძოლაში იგი (1526 წ. 27 აპრილს) ამარცხებს დელის იმპერატორ იბრაჰიმს (ავღანთა ლოდის დინასტიიდან) და აარსებს მოლოლთა იმპერიას. თავის უკანასკნელ ბრძოლებში ბაბერი იყენებდა არა მარტო შვილდისარს, არამედ თოფის წამალსაც. იგი იგონებს თავის ქვემეხებსა და ჯახაირჩებს (მუშეკტერებს). თვითონ ბაბერი შესანიშნავი მოისარი იყო. ბაბერი გარდაიცვალა 1530 წ. მისი მემკვიდრე ჰუმაიუნი (1530—1556) მალევე ჩაპოაგდეს ტახტიდან და იგო სპარსეთს გაიქცა. მხოლოდ სიცოცხლის უკანასკნელ წლებშიღა დაუბრუნდა იგი ტახტს თავისი შვილის, სახელგანთქმულ აკბარის დახმარებით. აკბარი მეფობდა 1556 წლიდან 1605 წლამდე. აკბარის მემკვიდრე სელიმი (ხედწოდებით „ჯაანგირი“—ქვეყნის დამპყრობი) მეფობდა 1605 წლიდან 1627 წლამდე. შაჰ-ჯეჰანს ტახტი ეპყრა 1627—1658 წწ. 1658 წელს იგი ტახტიდან ჩამოაგდო მისმა მესამე შვილმა აურენგზებმა (1658—1707). აურენგზების სიკვდილს იმპერიის დაშლა მოჰყვა, თუმცა 1857 წლამდის დელის ტახტზე მოლოლთა იმპერატორები განაგრძობდნენ ჯდომას.

~ გავემგზავრე ქალაქ ფადიფურს...

აქ, ალბათ, ფიროზპური უნდა იგულისხმებოდეს. ეს ქალაქი ფენჯაბის პროვინციაშია. მდებარეობს მდ. სეტლეჯის ნაპირზე. ხორბლით ვაჭრობის ცენტრია.

20 გვ. ფადიფურიდან მე გავემგზავრე ქალაქ ლაპორში.

ლაპორი—ამავე სახელწოდების ოლქის მთავარი ქალაქი ფენჯაბის პროვინციაში. მდებარეობს მდ. რავიზე. ქალაქს ამკობს მრავალი დიდი მიზრთა, ქარავასლა და შავზოლეუმი. დაცულია შესანიშნავი სასახლე დიდი მოლო-

ლისა. მრავალი ინდური ტაძარი. 1008 წლიდან ლაჰორი იყო სატახტო ქალაქი ადგილობრივ რაჯებისა (ინდოთა მეფეების). 1397 ლაჰორი დაანგრია თემურ-ლენგმა. 1525 წ. იგი დაიპყრო ბაბერმა. მას შემდეგ ლაჰორი დიდ მოგოლთა იმპერიაში შედიოდა. მე-17-18 სს. ლაჰორი ითვლებოდა ერთ უმდიდრეს და მრავალ მცხოვრებთან ქალაქად. ემეტოქებოდა დელის. ინგლისელებმა 1849 წელს დაიპყრეს.

22 გვ. ინდოეთის მოგოლმა აკბარმა განიზრახა ცეცხლის ჩაქრობა.

აკბარის შესახებ კ. მარქსს ჩვენ მიერ უკვე დასახელებულ ნაშრომში* შემდეგი ამონაწერი გაუკეთებია: ...„1542 წ. ოქტომბრის 14-ს [ჭუმაიუნს] მისმა ჰარენის მოცეკვავე ქალმა ტურფა ჰამილამ დაუბადა სახელოვანი აკბარი. აკბარი მეფობდა (1556—1605).

1568 აკბარმა ალყა შემოარტყა ჩატორს; ციხე დაეცა ვაჟკაცურ წინააღმდეგობის შემდეგ.

აკბარმა ცოლად შეირთო რაჯპუტანელი** ორი თავადის ქალი, რომ უზრუნველყო მეგობრული ურთიერთობა ჯეიპურთან და მარვართან. 1582—1585 წწ. მშვიდობიანობაა. აკბარი აწესრიგებს თავის იმპერიას. თვით იგი გულგრილად ეპყრობოდა რელიგიურ საკითხებს და ამიტომ იყო შემწყნარებელი; მისი მთავარი მრჩეველები ლიტერატურულ და სარწმუნოებრივ საკითხებში იყვნენ ფეიზი და აბულ-ფაზლი. ფეიზი თარგმნიდა ძველ სანსკრიტულ პოემებს, მათ შორის „რამაიანა“-ს და „მაჰაბჰარათა“-ს, (შემდეგ, როცა აკბარმა გაოდან კათოლიკურ სარწმუნოების პორტუგალიელი მღვდელი მოიყვანა, ფეიზიმ გადათარგმნა სახარება). შემწყნარებლური დამოკიდებულება ინდუსებისადმი. აკბარი დაბეჯითებით მოითხოვდა მხოლოდ სატის ჩვეულების*** გაუქმებას (ქვრივის დაწვა ქმრის საკრძალავ კოცონზე) და სხვ.

აკბარმა დელი გადააქცია იმ დროს არსებულ მთელ ქვეყნის ქალაქთა შორის ყველაზე დიდ და აყვავებულ ქალაქად.

ცნობილია აგრეთვე, რომ აკბარმა სახელი გაითქვა, როგორც მიწათმოქმედებისა და ვაჭრობის მფარველმა. მან სავაჭრო ურთიერთობა გააბა თვით ვერობელებთან. აკბარს სთვლიან მეცნიერებისა და ხელოვნებათა მეგობრად.

* იხ. К. Маркс, Хронологические выписки по истории Индии. ОГИЗ 1947.

** რაჯპუტანა—ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთის ოლქია.

*** ქმრის სიკვდილს, ტრადიციულ ინდურ შეხედულებათა თანახმად, იწვევს ცოლის ცოდვები. ამიტომ მოსიყვარულე ცოლები ჩვეულებრივ „სატის“ ასრულებდნენ ე. ი. გარდაცვლილ ქმრის კოცონზე იწვოდნენ ცოცხლები (სატი—ერთგულ მეუღლეს ნიშნავს), უკანასკნელად სატის დაწვა საჯაროდ მოხდა 1827 წ. ამ წელსვე ქვრივთა დაწვა ინგლისური კანონით აიკრძალა.

~ მე მომესურვა გამგზავრება ქალაქ ქაშშირში.

ქაშშირი მთიანი ქვეყანაა, ჰიმალაების დასავლეთ ნაწილში. მდ. ინდის სათავეებში. ძალიან ნაყოფიერი, ფლორითა და ფაუნით მდიდარი ალპიური ტიპის ველია. მცხოვრებნი უმთავრესად მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას მისდევენ. განთქმულია ქაშშირის შალი (აკეთებენ თხისა და ცხვრის მატყლისას). როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო ქაშშირი არსებობდა 1586 წლამდის. ამ წელს იგი დაიპყრო დიდმა მოგოლმა აკბარმა. 1756 წელს ქაშშირი ავღანლების ხელში გადავიდა. 1819 წელს ქაშშირის სიკხები დაეპატრონენ. ინგლის-სიკხების პირველ ომის შედეგად ქაშშირი ინგლისელებმა ჩაიგდეს ხელთ. ქაშშირის მთავარი ქალაქი სრინაგარია. დანიბეგაშვილი შეცდომით ქაშშირს უწოდებს. პირობითად ასევეა აღნიშნული რ. დანიბეგაშვილის ინდოეთს მოგზაურობის რუკაზე, რომელიც ამ წიგნს ერთვის.*

23 გვ. ამ ქალაქის მმართველი ყაბულის მეფის ქვეშევრდომია.

ყაბული—ავღანისტანის დედაქალაქია. მდებარეობს ყაბულ-დარიაზე (ინდის მარჯვენა შენაკადი), მცირე და შუა აზიის ინდოეთთან დამაკავშირებელ საქარავნო გზების კვანძზე. ავღანისტანისა და ინდოეთის ვაჭრობის დიდი ნაწილი გადის ყაბულზე. გააქვთ ხილი, ტყავი, მატყლი და სხვ. სიძველეთაგან საყურადღებოა: თემურ-ლენგისა და ბაბერის სასაფლაოთა ძეგლები.

25 გვ. გზა, რომელიც გაივლის ყალმუხთა მინაზე 500 ვერსის მანძილზე, მეტად მთიანია.

ყალმუხები ცხოვრობენ საბჭოთა კავშირის, ჩინეთის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის და ტანუ-ტუვინის სახალხო რესპუბლიკის საზღვრებში, თურქულ ეროვნების ამავე სახელწოდების ხალხისაგან გასარჩევად ამ დასავლურ მონღოლურ ეროვნებას, და განსაკუთრებით იმ ნაწილს, რომელიც დარჩა ცენტრალურ აზიაში, ჩვეულებრივ ოიროთ-მონღოლებს უწოდებენ.

~ ყირგიზთა ველიც მთლად სწორეა.

ყირგიზები—თურქთა ჩრდილო-დასავლური ჯგუფის ეროვნება. ცხოვრობენ მთიან რაიონებსა და ტიან-შანისა და პამირ-ალაის მთის ფერდობებში, საბჭოთა კავშირის, დასავლეთ ჩინეთისა და ავღანისტანის ბაღანშინის საზღვრებში. პამირის ყირგიზები მომთაბარობენ.

* რუკა დახატა მხატვარმა გიორგი ნათიძემ.

~ ჩინეთის საზღვრიდან ტურფანამდის 20-კერსის მანძილზე სწორედ ადგილებია.

კუნია-ტურფანად წოდებულ საბოქაულოს მთავარი ქალაქი. შედგება ერთმანეთისაგან 1 ვერსზე დაშორებულ ორ ქალაქიდან. ერთში ადგილობრივი მაჰმადიანები მოსახლეობენ. იგი შეადგენს მდიდარ ტურფანის ოლქის სავაჭრო ცენტრს. მეორე ქალაქში ჩინელები და მანჯურელები ცხოვრობენ. აქვეა ჩინელ ხელისუფალთა რეზიდენცია.

26 გვ. დაეტოვე რა ქაშმირი, მე გავემგზავრე ქალაქ ტიბეტში.

ტიბეტი—ჩინეთის გარე პროვინცია (მის დასავლეთ ნაწილში). უჭირავს ტიბეტის ზეგანის სამხრეთი და სამხრეთ დასავლეთი ნაწილი. ტიბეტელთა მთავარი საარსებო წყაროა მომთაბარული მესაქონლეობა, ჰყავთ იაკი (ტიბეტის ხარი), ცხენი, ცხვარი და თხა. ვაჭრობენ ინდოეთსა და ჩინეთთან. გააქვთ: მატყლი, ბეწვეული, მუშკი, ცხერის ხორცი, ტყავეული, ყენ-შენის ძირი, თქრო და მარილი. საქარავნო გადაზიდვას მთის ბილიკებზე აწარმოებენ იაკებით, ცხენებითა და ცხვრებით. ტიბეტის სატანტო ქალაქი ლჰასაა. რ. დანიბეგაშვილი ასახელებს ქალაქ ტიბეტს, რაც პირობითად აღინიშნა მის მოგზაურობის რუკაზედაც.

~ ლასადან ტიბეტში ბევრი თხის თიეთიკი მოაქვთ.

ლასა ანუ ლჰასა—ტიბეტის მთავარი ქალაქია, მისი პოლიტიკური და სარწმუნოებრივი ცენტრი: დალაი-ლამას ადგილსამყოფი. შინამრეწველურ ლითონის ნაწარმითა და ქსოვილებით ვაჭრობს ინდოეთსა, ჩინეთსა და შუა აზიასთან.

28 გვ. ტიბეტიდან გამოსვლის შემდეგ ორმოცი დღის მგზავრობამ მიმიყვანა ქალაქ იარყანტაში.

იარყანდი, იარკენდი—ქალაქი ე. წ. კაშგარიაში (ჩინეთის პროვინციის სინძიანის სამხრეთი ნაწილი). კაშგარია ესაზღვრება სსრკ-ას, ინდოეთსა და ტიბეტს. მდებარეობს იარყანდის ოაზისის ცენტრში. მიდამოები განთქმულია ხილის ბაღებითა და ვენახებით. აღმოსავლეთ თურქესტანის ერთი ძალზე დასახლებულ სავაჭრო ცენტრთაგანი (კაშგარადან 192 კილომეტრზე სამხრეთ-აღმოსავლეთით). ოლქი განთქმულია ბურეულით, ბამბეულით და კუნუტის (*sesamum indicum*) მოსავლიანობით.

30 გვ. ქალაქ ილში ანუ კულუქაში ბევრი ჩინელია.

ილი ამჟამად სადგურია თურქესტან-ციმბირის რკინიგზაზე. კულუქა—დასავლეთ ჩინეთის პროვინციის—სინძიანის—ქალაქი, მდ. ილზე საბჭოთა-კავშირის-ჩინეთის საზღვრის ახლო.

31 გვ. დაეტოვე რა ქალაქი იარყანტი, გავემგზავრე ქალაქ ახსუში.

ახსუ—აკსუ—დასავლეთ ჩინეთის პროვინციის—სინძიანის—ქალაქი.

~ გავემგზავრე რა ტურფანიდან, სამი თვის შემდეგ მივედი სემიპალატში.

სემიპალატი—სამიპალატინსკი. ქალაქი მდებარეობს ირტიშის მარჯვენა მხარეზე და მის შენაკად სემიპალატინკაზე. სემიპალატინსკის სიმაგრე ააშენა პოლკოვნიკმა სტუპინმა (1718 წ.). ქალაქმა სახელწოდება ამ შვიდ „პალატიდან“ მიიღო. (პალატა—ქვის ნაგებობა). ამ შვიდი პალატის ნანგრევები დღესაც ემჩნევა. 1745 წლიდან სიმაგრე შედიოდა ციმბირის გუბერნიისში. 1797 წლიდან კი—ტობოლსკის გუბერნიის მიეკუთვნა.

32 გვ. ბუხარის შაჰს ჰყავს 60 ათასი ჯარისკაცი.

ბუხარის სახანო (მდინარე ამუ-დარიის აუზში) შექმნეს (მე-16 საუკუნეში) უზბეგებმა (თურქთა ტომის ხალხი). მე-17 საუკუნეში და მე-18 საუკ. პირველ ნახევარში ბუხარის სახანო თურქესტანში წამყვან როლს ასრულებდა. სპარსეთთან ომის შემდეგ (მე-18 საუკ. შუა წლებში) ბუხარის სახანოს გავლენა შემცირდა. 1868 წლიდან იგი მეფის რუსეთის ვასალურ დამოკიდებულებაში მოექცა. 1924 წ. ბუხარა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადდა. შემდეგში ყოფილ ბუხარის სახელმწიფოს სამფლობელოები მოექცნენ უზბეკისტანის, თურქმენისტანისა და ტაჯიკისტანის ფარგლებში.

~ ბუხარიდან ყაბულამდის... ათასსუთასი ვერსია.

უზბეგთა სს რესპუბლიკის ბუხარის ოლქის ქალაქი (ძველი ბუხარა). მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი. ხუროთმოძღვრების ძეგლთა მიხედვით (9—17 ს.) ერთი უძველესი ქალაქთაგანი სსრ კავშირში. ყაბულის შესახებ იხ. 23 გვ. შენიშვნა.

~ ყაბულიდან პეშავარამდე ასი ვერსია.


პეშავარი—ინდოეთის ჩრდილო-დასავლეთის პროვინციის მთავარი ქალაქი ავღანისტანის საზღვრის მახლობლად. მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი. მნიშვნელობა აქვს ავღანისტანთან ვაჭრობით. გააქვთ: ხორბალი, ბრინჯი, ჩაი და შაქარი.

~ სემიპალატიდან 7 დღე ემგზავრობდი ფოსტის ცხენებით ომსკის ციხემდის.

ომსკი—ომსკის ოლქის ქალაქი, გაშენებულია მდ. ომი-ირტიშის შესაყართან.

~... მეღირსა ხილვა წარჩინებული პიროვნების გენერალი
გლაზენაპისა

გრიგოლ ივანეს-ძე გლაზენაპი (1750—1819) მეფის რუსეთის ერთი თვალსაჩინო მოღვაწეთაგანი კავკასიის დაპყრობის საქმეში. მონაწილეობდა რუმიანცევსა და პოტიომკინთან ერთად რუსეთ-ოსმალეთის I-სა და II ომში. აღექვანდრე I-მა იგი 1803 წ. დანიშნა კავკასიის ხაზის უფროსად. 1805 წ. გლაზენაპმა ყაზარდო დაუმორჩილა რუსეთს, 1806 წელს—დარუბანდი. 1807 წ. იგი დანიშნა ციმბირის ხაზის უფროსად. ამ თანამდებობაზე მას შეხვდა ომსკში ინდოეთიდან დაბრუნებული (1813 წ.) რ. დანიბეგაშვილი. 1815 წელს იგი დანიშნა ციმბირის პოლკის უფროსად. ამ წოდებაში გარდაიცვალა 1819 წ. (ომსკში).



59

64

69

74

79

84

89

94

99

45

45

40

40

35


35

30

30

25

25



64

69

74

79

84

89


94


სამხრეთი

სამხრეთი

სამხრეთი







რაფიელ დანიბეგაშვილის
ინდოეთის
მოგზაურობის მარშრუტი

წირობითი ნიშანი: → → უჩვენებს მანძილებს

33 40 45 50 55 60 65 70 75 80 85 90 95

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოსა და ინდოეთის წარსული ურთიერთობიდან—წინასიტყვაობა—ს. იორდანიშვილისა	III
„მოგზაურობა ინდოეთში“	XIX

მასალები საქართველოს და ინდოეთის ურთიერთობაზე

შესლუა ინდოეთს ვანტანგ გორგასლისაგან და ვანტანგისაგან გამარჯულება მათ-ზედა	37
შესლუა სინდეთს ვანტანგ გორგასლისაგან და გამარჯულება ვანტანგისაგან	37
მეფე თეიმურაზ II-ის წერილი თავის შვილის ირაკლისადმი, სპარსეთიდან მოწერილი	39
წერილი ერეკლე ბატონიშვილისა თავის დედა თამართან მოწერილი განჯიდან	39
მეფის ირაკლის წიგნი სპარსეთით	40
სითარხნის წიგნი თეიმურაზ II-ისა, ბოძებული გოგია ცისკარიშვილისადმი 1737 წ.	48
წყალობის წიგნი მეფე თეიმურაზ II-ისა, ბოძებული სოლომონ გურგენიძისადმი 1740 წ.	49
წყალობის წიგნი თეიმურაზ II-ისა, ბოძებული ნაზირის დავით ავალიშვილისადმი 1740 წ. ენკენისთვის 22	52
წყალობის წიგნი ერეკლე II-ისა, ბოძებული ასლან ვანჩაძისადმი 1751 დეკემბრის 1	54
გიორგი მეფის წყალობის სიგელი რაფიელ დანიბეგაშვილის ინდოეთს გაგზავნის შესახებ	55
პაატა ბატონიშვილი და იაკობ შაჰრიმანი	59
საქართველოს ვაჭრობა და მრეწველობა ძველად და გრიგოლ ლუკას-ძე ხურსიძე და სტეფანე ივანეს-ძე ზუბალაშვილი ინდოეთში	75
ქართველ კათოლიკეთ მღვდელი ანტონ ხუციშვილი ინდოეთში	94
სპარსეთსა და ინდოეთს მავალი თბილელი ვაჭრები	98
რაფიელ დანიბეგაშვილის თამასუქი 60 რუფიის სესხობაზე	101
ისტორიულ-გეოგრაფიული კომენტარი	103



10/1

29